

F-171  
1990

  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახალხო  
განათლების სამინისტროს  
ბრძანებითა და ინსტრუქციითა  
კრებული

1



თბილისი — 1990

ISUN — 0206—2674



საქართველოს სსრ სახალხო განათლების  
სამინისტროს ბრძანებითა და ინსტრუქციითა  
კ რ ე ბ უ ლ ი

1



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა  
თ ბ ი ლ ი ს ი 1990 წელი

რედაქტორი    ზ. ალადაშვილი  
შემდგენელი    ე. ბურდიაშვილი

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИИ МИНИСТЕРСТВА НАРОДНОГО  
ОБРАЗОВАНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета  
Тбилиси 1990



4009

საქართველოს სსრ სახალხო განათლების კოლეგიის  
1989 წლის 2 ოქტომბრის  
ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავის იუბილის  
აღნიშვნის შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით 1990 წელს ჩატარდება ჩვენი ერის სასიქადულო მგოსნის, აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე.

აკაკი წერეთლის შემოქმედებითი მემკვიდრეობა, მთელი მისი ცხოვრება ერის უკეთესი მომავლის, მისი ბედნიერებისათვის მოღვაწეობის ნიმუშია. ამიტომაცაა პოეტის სახელი ესოდენ ძვირფასი თითოეული ქართველისათვის, მისი იუბილე კი მნიშვნელოვანი მოვლენა ერის ცხოვრებაში.

აკაკი წერეთლის შემოქმედების სწავლებას დიდი ადგილი უკავია მშობლიური ენისა და ლიტერატურის პროგრამებში. მარტო ქართული სკოლის I-XI კლასებში მწერლის სავალდებულო შესწავლისათვის გამოყოფილია 50 აკადემიური საათი. გარდა ამისა, იმავე კლასებში სავალდებულო კლასგარეშე წასაკითხად გათვალისწინებულია აკაკი წერეთლის 20 ნაწარმოები. მისი პოეტური მემკვიდრეობის შესწავლას გარკვეული ადგილი ეთმობა არაქართულ სკოლებშიც.

აკაკი წერეთლის შემოქმედების სწავლების მეთოდის საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მასწავლებელთა და ხელოვნების ინსტიტუტების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა საკურსო ღონისძიებებში.

ამასთან, კოლეგია ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დიდი მგოსნის იუბილესათვის მზადებისას სასწავლო და სკოლისგარეშე დაწესებულებათა პედაგოგიური და მოსწავლეთა კოლექტივების მიერ სათანადოდ არ არის გამოყენებული მუშაობის მრავალმხრივი ფორმები და საშუალებები. კოლეგია თვლის, რომ აკაკი წერეთ-

საქართველოს  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ლის საიუბილეო თარიღისათვის მზადებამ ხელი უნდა შეუწყოს დიდი პოეტის ამაგის, მისი მემკვიდრეობის შესწავლასა და პოპულარიზაციას, ფასდაუღებელი სამსახური უნდა გაუწიოს ახალგაზრდობის ზნეობრივი და სულიერი სრულყოფის დიდმნიშვნელოვან ამოცანას. იუბილისათვის მზადების პროცესი იმგვარად უნდა წარიმართოს, რომ მან მთლიანად უბასუხოს მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდის სადღეისო ამოცანებს.

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასრ სახალხო განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, სისტემის სასწავლო და სკოლის-გარეშე დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა:

1.1. მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის, განათლების მუშაკთა, საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა შემადგენლობით შექმნიან დიდი მგოსნის, აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავისათვის მზადების კომისიები, მათში, სასწავლო-შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებებთან ერთად, გაითვალისწინონ რესპუბლიკის, ქალაქისა თუ სოფლის წინაშე მდგარი სადღეისო პრობლემათა გადაწყვეტის საქმეში ახალგაზრდობის პირადი მონაწილეობის საკითხები. იუბილესათვის მზადების მთელ პროცესს საფუძვლად დაუდონ აკაკის პიროვნებისა და შემოქმედებისათვის დამახასიათებელი პატრიოტიზმის, ერის სიყვარულისა და ერთგულების სულისკვეთება;

1.2. ფართო ხასიათი მისცენ დისპუტების, ლიტერატურული საღამოების, მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებების სხდომების, თხზულებათა კონკურსების და ა. შ. ჩატარებას, რომელთა მიზანი აკაკი წერეთლის პოეტური მემკვიდრეობის, საერთოდ ქართული მწერლობის, ისტორიის, ხელოვნებისა და კულტურის ღრმად შესწავლის ფორმებისა და მეთოდების ძიება უნდა გახდეს.

2. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებმა (ვ. ყვანია):

— ქართული და არაქართული სკოლების მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა საკურსო ღონისძიებებში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების გაცნობას, მისი ნაწარმოებების სწავლების მეთოდის სრულყოფას.

3. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (შ. ამონაშვილი):

3.1. დააჩქაროს ქართული ენისა და ლიტერატურის გაღრმავებული სწავლების პროგრამების შემუშავება. მასში ფართო დაუთმოს აკაკის ლიტერატურულ ფასეულობათა გაცნობა-შესწავლას;

3.2. ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევის გეგმაში ფართო ადგილი დაუთმოს აკაკი წერეთლის მემკვიდრეობის ღრმა მეცნიერულ ანალიზს;

3.3. მოამზადოს და იუბილის დღეებში ჩაატაროს აკაკი წერეთლის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

4. დაევალოს ზოგადსაშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველოს (ა. ეჯიბაძე) რესპუბლიკურ სამეცნიერო-მეთოდურ ცენტრთან ერთად (ა. კაპანაძე), აკაკი წერეთლის საიუბილეო წელს ჩაატაროს პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ქართული და არაქართული სკოლებისა და სასწავლებლების მოსწავლეთა თხზულებების რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსი, რისთვისაც ა/წლის ოქტომბრის ბოლოსათვის შეიმუშაოს და წარმოადგინოს დასამტკიცებლად დათვალიერება-კონკურსის დებულება.

5. დაევალოს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს უზრუნველყონ უმაღლეს სასწავლებლებში იუბილისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება.

6. დაევალოს უმაღლესი, საშუალო სპეციალური განათლებისა და მეცნიერების სამმართველოს (ამხ. ჯ. კორძაია), უზრუნველყონ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რესპუბლიკური კონფერენციის ორგანიზება.

7. აღმზრდელობითი მუშაობის განყოფილებამ (ე. ზარქუა)

— გაატაროს ღონისძიებები ელ. ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გალერეაში დიდი მგოსნის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ნორჩ მხატვართა გამოფენისა და ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ნორჩ-შემოქმედთა რესპუბლიკური შეკრების ჩასატარებლად.

8. სახელმძღვანელოებისა და ინფორმაციის განყოფილებამ (ნ. ლლონტი)

— უზრუნველყოს საიუბილეო გამოცემათა დროული ბეჭდვა და იუბილის დღეებში მათი გამრავლება.

9. გაზეთებმა „სახალხო განათლებამ“ (ა. სილაგაძე), „ქურნალმა“ „სკოლა და ცხოვრებამ“ (რ. ძერია) ფართო ადგილი დაუთმონ



მასალებს პოეტის შემოქმედებითი შემკვიდრების სწავლების შესახებ, გააშუქონ რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემაში იუბილისათვის მზადების მიმდინარეობა.

10. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის მოადგილეებს ამხ. ამხ. ნ. გურგენიძეს, რ. ხუროძეს, კ. სუჯაშვილს.

კოლეგიის თავმჯდომარე, მინისტრი გ. ენუქიძე

საქართველოს სსრ სახალხო განათლების კოლეგიის  
1989 წლის 2 ოქტომბრის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტისათვის  
სულხან-საბა ორბელიანის სახელის მინიჭების შესახებ

თანახმად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის  
გადაწყვეტილებისა, კოლეგია ადგენს:

ამიერიდან თბილისის ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედა-  
გოგიურ ინსტიტუტს ეწოდოს თბილისის სულხან-საბა ორბელიანის  
სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი.

კოლეგიის მდივანი, მინისტრი გ. ენუქიძე



საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს  
კოლეგიის 1989 წლის 30 ნოემბრის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო  
პედაგოგიური ინსტიტუტისთვის სახელწოდების შეცვლის  
შესახებ

სამინისტროში წინადადებით შემოვიდა ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორატი, პარტიული კომიტეტი, გაერთიანებული პროფკომი და ალკკ კომიტეტი, რათა ინსტიტუტის სტუდენტი ახალგაზრდობის, პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა აზრის გათვალისწინებით, ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს შეეცვალოს სახელწოდება და ამიერიდან ეწოდოს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი.

სამინისტროს კოლეგიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა :

1. დაკმაყოფილდეს ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორატის, პარტიული კომიტეტის, გაერთიანებული პროფკომისა და ალკკ კომიტეტის წინადადება, ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს შეეცვალოს სახელწოდება და ეწოდოს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი.

2. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რათა დაამტკიცოს წინამდებარე გადაწყვეტილება.

კოლეგიის თავმჯდომარე, მ ი ნ ი ს ტ რ ა გ. ე ნ უ ქ ი ძ ე

საქართველოს სსრ სახალხო განათლების კოლეჯის  
1989 წლის 30 ნოემბრის  
გ ა დ ა წ ე ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლეს სასწავლებლებში 1989 წლის  
მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ

კოლეჯი აღნიშნავს, რომ 1989 წლის მისაღები გამოცდები რესპუბლიკის უმაღლესმა სასწავლებლებმა ჩაატარეს გამოცდების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების ვითარებაში, ობიექტურობისა და საჯაროობის შემდგომი ზრდის პირობებში. კოლეჯი მიიჩნევს, რომ რესპუბლიკის უმაღლესმა სასწავლებლებმა ძირითადად გაითვალისწინეს ყველა ის შენიშვნა, რაც მათი მუშაობის შესახებ გამოთქმული იყო 1988 წლის მისაღები გამოცდების შეჯამებისას.

კოლეჯი დადებითად აფასებს იმ გადაწყვეტილებებს, რომელთა შედეგადაც პედაგოგიურ ინსტიტუტებში გასაუბრების წესით მიღებულ იქნა სოფლის სასწავლო, სკოლამდელი და კლასგარეშე დაწესებულებების მხოლოდ საშუალო განათლების მქონე მასწავლებლები, ხოლო უმაღლესი სასწავლებლების საღამო და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებებზე ჩაირიცხა ყველა ის აბიტურიენტი, რომელთაც მისაღებ გამოცდებზე მიიღეს დადებითი შეფასებები.

ამასთანავე, კოლეჯი მიუთითებს, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის მიმღებმა და საგნობრივმა კომისიებმა ვერ უზრუნველყვეს მისაღები გამოცდების ჩატარება მნიშვნელოვანი ხარვეზების გარეშე:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმღებმა კომისიამ ყველა შემთხვევაში სათანადოდ ვერ გადაწყვიტა ჩასაბარებელ საგანთან მიმდევრობა, რამაც მაგ. სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე გარკვეული გართულებანი გამოიწვია; თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის მიმღებმა კომისიამ ვერ შეძლო დიდი კონკურსის პირობებში გამოცდების ობტიმალური მართვა, ასეთ ვითარებაში



საგნობრივი კომისიების მიერ დაიწერა ძალზე ბევრი მართალი ხიზანი, რამაც გააძნელა თავდაპირველი ჩარიცხვები. ზოგიერთ სპეციალობაზე 18 ქულაც არ აღმოჩნდა საკმარისი ინსტიტუტში ჩასარიცხად; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ქიმიის საგნობრივმა კომისიამ არ ვაითვალისწინა სამინისტროს კოლეგიის მიერ 1987 წ. და 1988 წლების მისაღები გამოცდების შეჯამებისას ამ კომისიის მიმართ გამოთქმული შენიშვნები. წელსაც, მიუხედავად სამინისტროს არაერთგზის გაფრთხილებისა, ქიმიის საგამოცდო ბილეთებში წარმოდგენილი იყო ზოგიერთი არაპროგრამული საკითხი და არაკორექტურად შედგენილი ამოცანა. ამ ვითარებამ შექმნა მნიშვნელოვანი გართულებანი ინსტიტუტის მიმღები კომისიისა და სამინისტროს მუშაობაში. ინსტიტუტის რექტორატმა გადაწყვეტი ზომები უნდა მიიღოს, რათა მომავალ წელს ანალოგიური შემთხვევები არ განმეორდეს.

კოლეგია გარკვეულ პრეტენზიებს გამოთქვამს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის პედაგოგიური და სამედიცინო ინსტიტუტის საპრეტენზიო კომისიების მიმართ, რადგან მათ მუშაობაში ხშირად ირღვეოდა კოლეგიის მიერ დაწესებული რეგლამენტი, იგრძნობოდა გაუბედავობა და ზედმეტი ლიბალიზმი საგნობრივი საგამოცდო კომისიების მიმართ.

კოლეგიას მიაჩნია, რომ მისაღებმა გამოცდებმა გამოავლინეს აბიტურიენტთა მომზადებაში ჯერ კიდევ არსებული არსებითი ნაკლი. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მისაღებ გამოცდებზე ჩაიჭრა აბიტურიენტთა საერთო რაოდენობის 62,5%. ამასთანავე, დიდია გამოცდებზე მედალოსანთა და წარჩინების დიპლომის მქონე აბიტურიენტთა ჩაჭრის ხვედრითი წილი.

კომისია აღნიშნავს, რომ მისაღები გამოცდების ჩატარებისა და ჩარიცხვის წესები ჯერ კიდევ საჭიროებს სრულყოფას. ამ მიმართულებით შემდგომი მუშაობა უმაღლესი, საშუალო სპეციალური განათლებისა და მეცნიერების სამმართველომ ფაქტო მოცულობის მიზანდასახული მუშაობა უნდა წარმართოს სპეციალისტთა მონაწილეობით.

**კოლეგიამ გადაწყვიტა:**

1. სამინისტროს უმაღლესი, საშუალო სპეციალური განათლებისა და მეცნიერების სამმართველოსა და სასწავლო დაწესებულებების სახელმწიფო ინსპექციის მოხსენებით ბარათი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში 1989 წლის მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ მიღებულ იქნეს ცნობად (თან ერთვის).



2. რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების რექტორატების ყურადღება მიექცეს 1989 წლის მისაღებ გამოცდებზე დაშვებულ მეცდომებსა და ნაკლოვანებებს, რომელთა შესახებ ლაპარაკია წინამდებარე გადაწყვეტილების I პუნქტში მითითებულ მოხსენებით ბარათში.

3. დაევალოს ზოგად-საშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველოს მიმდინარე წლის ბოლომდე განიხილოს იმ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთა გამოშვებულმა მედალოსნებმა და წარჩინებით კურსდამთავრებულებმა მისაღებ გამოცდებზე დაიმსახურეს არადამაკმაყოფილებელი შეფასება.

4. დაევალოს საშუალო სპეციალური განათლების განყოფილებას 1989 წლის ბოლომდე განიხილოს იმ საშუალო სპეციალური სასწავლებლების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთა წარჩინებით კურსდამთავრებულებმაც მისაღებ გამოცდებზე დაიმსახურეს არადამაკმაყოფილებელი შეფასება.

5. დაევალოს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორატს 1989 წლის ბოლომდე გააანალიზოს ქიმიის საგნობრივი კომისიის მუშაობაში არსებული მეცდომები და ხარვეზები და შეიმუშაოს ქმედითი ღონისძიებანი, რათა 1990 წლის მისაღებ გამოცდებზე ქიმიის გამოცდა ჩატარდეს დამტკიცებული პროგრამის სრული შესაბამისობით.

6. დაევალოს სამინისტროს უმაღლესი, საშუალო სპეციალური განათლებისა და ძეცხიერების სამმართველოს:

6.1. უმაღლესი სასწავლებლების რექტორატებთან ერთად ქმედითი ორგანიზაციული და მეთოდური ღონისძიებებით უზრუნველყოს 1990 წლის მისაღები გამოცდებისათვის მზადება და მიღების წარმართვა მაღალ იდეურ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ დონეზე; დააწესოს კონტროლი უმაღლესი სასწავლებლების მიერ მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებულ ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ ღონისძიებათა დროულ და მაღალხარისხოვან შესრულებაზე;

6.2. უმაღლესი სასწავლებლების რექტორატებთან ერთად შეიმუშაოს წინადადებანი და 1990 წლის იანვარში პრესის საშუალებით აცნობოს აბიტურიენტებს 1990 წლის მისაღებ გამოცდებზე ჩასაბარებელი საგნების ნუსხის, გამოცდის ჩატარების ფორმისა და გამოცდების თანმიმდევრობის შესახებ.



7. დაევალოს სამინისტროს საგეგმო-საფინანსო და უმაღლესი, საშუალო სპეციალური განათლებისა და მეცნიერების სამმართველოებს უზრუნველყონ 1990 წლის მისაღები კონტინგენტის დაგეგმვა და უმაღლეს სასწავლებლებამდე დაყვანა არა უგვიანეს 1990 წლის 30 აპრილისა.

8. 1990 წლის მისაღები გამოცდების ორგანიზაციის სრულყოფისა და გაუმჯობესებისათვის წინადადებების შემუშავების მიზნით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით: რ. ხუროძე (თავმჯდომარე), ნ. ამბროსელი, ა. ასათიანი, კ. გაბაშვილი, კ. იმედაშვილი, ჯ. კორძაია, პ. მარგველაშვილი, გ. შავგულიძე, თ. ხუნდაძე. დაევალოს კომისიას საზოგადოებრივი ორგანიზაციის გაუმჯობესების წინადადებანი სამინისტროში წარმოადგინოს 1 თვის ვადაში.

9. წინამდებარე გადაწყვეტილებების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მინისტრის მოადგილეს ამხ. რ. ხუროძეს.

კოლეგიის თავმჯდომარე, მინისტრი გ. ენუქიძე

### ც ნ მ ბ ა

#### საქართველოს სსრ უმაღლეს სასწავლებლებში 1989 წლის მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ

რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების მიმღებმა კომისიებმა, რექტორატებთან, პარტიულ კომიტეტებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად გარკვეული მუშაობა გასწიეს 1989 წლის მისაღები გამოცდების ორგანიზებულად ჩატარებისათვის.

1989 წლის მისაღები გამოცდები, რომელიც ჩატარდა რესპუბლიკაში შექმნილ მწვავე და დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში, ძირითადად წარიმართა საჯაროობის, ობიექტურობის და მიღების წესების დაცვის პირობებში, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერების სულისკვეთებით. მიმდინარე წლის მისაღები გამოცდების ერთ-ერთი თავისებურება ისიც იყო, რომ გამოცდების პროცესზე კონტროლს ოფიციალურ უწყებებთან ერთად ახორციელებდნენ ე. წ. არაფორმალური ორგანიზაციებიც. ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში (თელავის, ბათუმის,



ქუთაისის პედაგოგიკური ინსტიტუტის (ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი) სახალხო ფრონტის ადგილობრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები უშუალო მონაწილეობას იღებდნენ მისაღები გამოცდების პროცესში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სახალხო ფრონტის საუნივერსიტეტო ორგანიზაცია აქტიურად მონაწილეობდა საჩივრების განხილვაში. მომავალი წლისათვის რექტორატებმა და მიმღებმა კომისიებმა თვითონვე უნდა განსაზღვრონ მისაღები გამოცდებში არაფორმალურ ორგანიზაციათა მონაწილეობის ფორმები, წესი და საზღვრები.

რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში 1989 წლის მიღების გეგმა შეადგენდა 10771 კაცს, დღის სწავლების განყოფილებაზე — 9006, საღამოზე — 1130, დაუსწრებელზე — 1610, მოსამზადებელი განყოფილებების მსმენელთა ჩარიცხვის შემდეგ საკონკურსოდ დარჩენილ 9120 ადგილზე აბარებდა 45853 აბიტურიენტი. ერთ ადგილზე საშუალო კონკურსი შეადგენდა 4,9 კაცს. ეს საშუალო მაჩვენებელი საგრძნობლად აღემატება საკავშირო მონაცემებს (1 ადგილზე 3 კაცი). ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ 1989 წლის მისაღები გამოცდებზე კვლავინდებურად დიდი კონკურსი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და რესპუბლიკის უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების ჰუმანიტარულ სპეციალობებზე, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, თბილისის სამხატვრო აკადემიაში. ამ სპეციალობებზე კონკურსის სიდიდე განსაზღვრება არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ თვისებრივი მაჩვენებლებითაც. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ რესპუბლიკის სასწავლო დაწესებულებებში ჯერ კიდევ ვერ გაუმჯობესდა საპროფორიენტაციო მუშაობა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნული სპეციალობები მიეკუთვნებიან ე. წ. „პრესტიჟულ“ სპეციალობათა რიცხვს და აბიტურიენტების სწრაფვა აღნიშნულ სპეციალობებზე ჩასარიცხად გარკვეულად განპირობებულია ოჯახური გარემოთიც და ტრადიციებითაც.

გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტს, რომ 1989 წლის მისაღები გამოცდებისათვის მზადებისა და გამოცდების ჩატარების პერიოდში უმაღლესი სასწავლებლების მიმღები კომისიების მიერ გათვალისწინებულ იქნა თითქმის ყველა ის შენიშვნა, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიის 1988 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში „საქართველოს სსრ უმაღლეს სასწავლებლებში 1988 წლის მისა-



ლები გამოცდების შედეგების შესახებ“. ამ შენიშვნების გათვალისწინების შედეგად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტებზე მოიხსნა გაერთიანებული კონკურსები, ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ქართულ ენასა და ლიტერატურაში მიღებული შეფასებები შეტანილ იქნა საკონკურსო ქულების რიცხვში. უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარულ სპეციალობებზე შემოღებულ იქნა ზეპირი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, სააპელაციო კომისიები გაემიჯნა საგნობრივ კომისიებს, გამოცდებზე ჩასაბარებელი საგნების ნუსხა პრესაში გამოქვეყნდა 1989 წლის იანვარში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ ვრცლად გამოაქვეყნა ცნობები უმაღლესი სასწავლებლების საგნობრივი საგამოცდო კომისიების შექმნის შესახებ, რაც კიდევ ერთ, არსებით მოძებტად უნდა ჩაითვალოს საგამოცდო კამპანიის საჯაროობისა და დემოკრატიულობის ზრდის ვაფართობაში.

1989 წლის მისაღებ გამოცდებზე განხორციელდა რამდენიმე სიახლე, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი:

1. რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით სოფლის სკოლების იმ მასწავლებლებს, რომელთაც აქვთ მხოლოდ საშუალო განათლება და სკოლაში მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი, უფლება მიეცათ გასაუბრების წესით ჩარიცხულიყვნენ პედაგოგიური ინსტიტუტების დაუსწრებელ გახყოფილებებზე. ამგვარი გასაუბრების შედეგად პედაგოგიურ სპეციალობებზე ჩაირიცხა 600-მდე მასწავლებელი. ამ აქციაში რამდენიმე წლის შემდეგ მკვეთრად უნდა აამალოს სოფლის სკოლების უზრუნველყოფა უმაღლესი განათლების მქონე პედაგოგებით. ძეორეს მხრივ კი, ახლად ჩარიცხულთა სწავლების მთელი პერიოდის მანძილზე სოფლის სასწავლებლები უზრუნველყოფილნი არიან კადრებით. ვფიქრობთ, რომ ეს პრაქტიკა ძოძაგალ წლებშიც უნდა გაგრძელდეს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გასაუბრებით ჩარიცხვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იმ მასწავლებლებს, რომლებიც ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიან არაქართულ სკოლებში. მთელმა ამ აქციამ რესპუბლიკის საზოგადოებრიობის დადებითი გამოხმაურება გამოიწვია.

2. საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით მისაღები გამოცდების შემდეგ სახალხო განათლების სამინისტროს სისტემის უმაღლესი სასწავლებლებში,




აგრეთვე ჯახდაცვის სამინისტროსთან ერთად მიღებული გადაწყვეტილებით საქმედიცინო ინსტიტუტში ჩაირიცხა ყველა დაღუპულ აბიტურიენტი. ასეთივე აქცია განხორციელდა კულტურის პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში, ნაწილობრივ — საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში. საბოლოოდ, რეალურად რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხა 16053 კაცი.

გეგმის ზევით ჩაირიცხვისას გათვალისწინებულ იქნა რესპუბლიკაში შექმნილი ძძიმე პოლიტიკური სიტუაცია, აგრეთვე ის, რომ გამსვლელი ქულის არ მქონე აბიტურიენტთა შორის მრავლად იყვნენ ძრავალშვილიანი ოჯახების წევრები, გათხოვილი და შვილებიახი ქალები, სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული აჭარის ასსრ და შესტია-ლენტეხის რაიონების მცხოვრებნი, 1989 წლის 9 აპრილის შედეგად დაავადებულნი. ეს აქცია, რომელსაც სავსებით დაეთანხმა რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოები, საზოგადოებრიობის მიერ სწორად იქნა გაგებული. საზოგადოებრიობამ იგი მიიჩნია, როგორც ჩვენს ახალგაზრდობაზე ზრუნვის კიდევ ერთი მკაფიო მაგალითი. გეგმის ზევით რამდენიმე ათასი აბიტურიენტის მიღება უმაღლესი სასწავლებლების რექტორატების, ფაკულტეტებისა და კათედრების მიერ გარკვეული სტიმული უნდა გახდეს სასწავლო პროცესის შემდგომში გაუმჯობესებისათვის, მომთხოვნელობისა და ობიექტურობის შემდგომი ზრდისათვის, საკურსო და სახელმწიფო გამოცდების გამკაცრებისა და ორგანიზაციული სრულყოფისათვის.

ძარძახდელთან შედარებით მისაღები გამოცდების ორგანიზაცია მკვეთრად გაუმჯობესდა საქართველოს პოლიტექნიკურ, თბილისის უცხო ენების, თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. კარგად ჩაატარეს მისაღები გამოცდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, გორის ეკონომიკურმა ინსტიტუტმა, სასოფლო-სამეურნეო და კულტურის პროფილის უმაღლესმა სასწავლებლებმა, ფიზკულტურის ინსტიტუტმა. საერთოდ, მისაღები გამოცდების ორგანიზაციის მიმართ შექმნილი საზოგადოებრივი აზრი დადებითია, უაღრესად საყურადღებოა, რომ გასული წლებისაგან განსხვავებით შესაბამის ორგანოებს არ გამოუვლინებიათ კორუფციისა და პროტექციონიზმის არც ერთი ფაქტი.

ამასთანავე, 1989 წლის მისაღებმა გამოცდებმა გვიჩვენა, რომ აბიტურიენტთა მომზადების საერთო დონე მაინც საჭიროებს მკვეთრ გაუმჯობესებას. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ გა-





მოცდებზე გამოსული 45853 აბიტურიენტიდან სხვადასხვა საგანში ჩაიჭრა 28000 აბიტურიენტი, ანუ აბიტურიენტთა საერთო რაოდენობის 62%. გასულ წელს ეს ციფრი შეადგენდა 70%. ჩაჭრილ აბიტურიენტთა ასეთი მაღალი პროცენტი ერთხელ კიდევ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სასწავლო პროცესის შინაარსი, მოსწავლეთა მიმართ მომთხოვნელობა და საერთოდ, სწავლების ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ დვას სასურველ დონეზე. აბიტურიენტთა უმრავლესობა ჯერ კიდევ არაა სათანადოდ მომზადებული საკურსო გამოცდებისათვის ისეთ საგნებში, როგორცაა მათემატიკა, ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მათემატიკაში ჩაიჭრა აბიტურიენტთა 75%, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ქიმიის ჩაბარება ვერ შეძლო კონკურსში მონაწილეთა 40%-ზე მეტმა, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ფიზიკაში დადებითი ნიშნის მიღება ვერ შეძლო ამ საგანში გასულ აბიტურიენტთა 53%-მა. მათემატიკაში სუსტი ცოდნა გამოამჟღავნეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აბიტურიენტებმა. ეს ვითარება ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს ჩვენს სასწავლო დაწესებულებებში საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების შემდგომი გაუმჯობესების აუცილებლობას.

კვლავ არადამაკმაყოფილებელია მისაღებ გამოცდებზე საშუალო სკოლის ძედალოსანთა, პროფესიულ-ტექნიკური და საშუალო სპეციალური სასწავლებლების წარჩინებით კურსდამთავრებულთა ძიერ მიღწეული შედეგები. სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებენ, რომ გამოცდებზე მონაწილე 535 მედალოსნიდან უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხა 371, მათ შორის ერთი საგნის ჩაბარებით 153; საშუალო სპეციალური სასწავლებლის 689 წარჩინებით კურსდამთავრებულთაგან უმაღლეს სასწავლებლებში ჩაიჭიციხა 225, ხოლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების 380 წარჩინებით კურსდამთავრებულთაგან უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხა მხოლოდ 172. ერთი საგნით ჩაირიცხვის უფლების აბიტურიენტთაგან ყველაზე ძეტი ჩაიჭრა სამედიცინო ინსტიტუტში. ამ უმაღლეს სასწავლებელში 561 ასეთი კატეგორიის აბიტურიენტიდან არადამაკმაყოფილებელი შეფასება პირველ საგანში მიიღო 215-მა.

ეს ფაქტები გვიჩვენებენ, რომ რესპუბლიკის სასწავლო დაწესებულებებში ჯერ კიდევ არ დვას სათანადო დონეზე გამოსაშვები და სახელმწიფო საკვალიფიკაციო გამოცდები, რომ ჯერ კიდევ



ნაკლებია მოძთხოვნელობა მედლის ან წარჩინების დიპლომის  
 კანდიდატთა მიმართ. 1988 წელს სამინისტროს მიერ გატარებუ-  
 ლი ზომები ამ საქმეში სრული წესრიგის დამყარებისათვის საკმაო  
 არ აღმოჩნდა. საჭიროა სამინისტროს ზოგად-საშუალო და პროფე-  
 სიულ-ტექნიკური განათლების სამმართველომ და საშუალო სპე-  
 ციალური განათლების განყოფილებამ განახორციელონ ქმედითი  
 ღონისძიებანი, რათა მედლები და წარჩინების დიპლომები მიიღონ  
 მხოლოდ ნამდვილად ღირსეულმა მოსწავლეებმა. შემუშავებულ  
 უნდა იქნეს აგრეთვე მოსწავლეთა ცოდნის დონისა და შეფასებე-  
 ბის გამო მასწავლებელთა პირადი პასუხისმგებლობის ამაღლების  
 ეფექტური საშუალებანი და ფორმები.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი უმაღლესი სასწავლე-  
 ბლის მიმღებმა და საგნობრივმა კომისიებმა ვერ უზრუნველყვეს  
 1989 წლის მისაღები გამოცდების ჩატარება მნიშვნელოვანი ხარ-  
 ვეზების გარეშე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმღებმა კომისიამ,  
 როგორც ჩანს სათანადოდ ვერ გადაწყვიტა საკითხი ზოგიერთ ფა-  
 კულტეტზე, კერძოდ, იურიდიულზე, ჩასაბარებელ საგანთა თანა-  
 მიმდევრობის შესახებ. მომავალი წლისათვის უნივერსიტეტის რექ-  
 ტორატმა და მიმღებმა კომისიამ ამ საკითხზე უფრო სერიოზულად  
 უნდა იფიქროს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ზედმეტი გარ-  
 თულებანი.

თბილისის სულხან საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური  
 ინსტიტუტის მიმღებმა კომისიამ სათანადოდ ვერ შეძლო დიდი  
 კონკურსის პირობებში გამოცდების მართვა. ასეთ ვითარებაში  
 საგნობრივმა კომისიებმა დაწერეს ძალზე ბევრი მაღალი ნიშანი,  
 რამაც გააძნელა თავდაპირველი ჩარიცხვა. საქმე იქამდეც მივიდა,  
 რომ ზოგიერთ სპეციალობაზე 18 ქულაც კი არასაკმარისი აღმოჩ-  
 ნდა ინსტიტუტში ჩასარიცხად. მომავალში ინსტიტუტის რექტო-  
 რატმა და მიმღებმა კომისიამ მაღალი კონკურსის პირობებში გა-  
 მოცდების მართვას მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მიმღებმა  
 კომისიამ და ქიმიის საგნობრივმა კომისიამ არ გაითვალისწინეს სა-  
 მინისტროს კოლეგიის მიერ 1987 და 1988 წლების მისაღები გამოც-  
 დების შეჩაძებისას მათ მიმართ გამოთქმული შენიშვნები. წელსაც,  
 ძიუხნედავად სამინისტროს მიერ არაერთგზის გაფრთხილებისა, ქი-  
 შიის ბილეთებში წარმოდგენილი იყო ზოგიერთი არაპროგრამუ-

1009-7

საქართველოს  
 ეროვნული  
 ბიბლიოთეკა

ლი საკითხი და არაკორექტულად შედგენილი ამოცანა  
რება, ერთი მხრივ, შექმნა უარყოფითი საშუალებრივი აზრი სამე-  
დიცინო ინსტიტუტში ჩატარებული გამოცდების მიმართ, ხოლო,  
მეორე მხრივ, უამრავი გართულებები შექმნა ზემდგომ ორგანოებ-  
ში და კერძოდ, სახალხო განათლების სამინისტროში. ამას ადას-  
ტურებს ის გარემოება, რომ სამინისტროს ენერგიული ჩარევის  
შედეგად ქიმიკში გადასწორებული იქნა ბევრი ნაშრომის თავდა-  
პირველი შეფასება. სამედიცინო ინსტიტუტის რექტორატმა აქე-  
დანგე უნდა იზრუნოს, რათა მომავალ წელს ქიმიის საგნობრივმა  
კომისიამ გამოცდები წარმართოს ზუსტად პროგრამის მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს კოლეგიამ სპეციალური  
გადაწყვეტილება მიიღო სააპელაციო კომისიების მუშაობის გარ-  
დაქმნის შესახებ, ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის საგნობრი-  
ვი სააპელაციო კომისიები გაუბედავად მუშაობდნენ. სამინისტრო-  
ში შემოსულ საჩივრებს უმეტეს შემთხვევაში თან არ ახლდა საა-  
პელაციო კომისიის დასკვნა მიღებული შეფასების ობიექტურობის  
შესახებ. გარკვეული პრეტენზიები ვაკეის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის, სამედიცინო ინსტიტუტის, თბილისის პედაგოგიუ-  
რი ინსტიტუტის საგნობრივი სააპელაციო კომისიების მიმართ. ამ  
კომისიებს შარებდათ მეტი დამოუკიდებლობა თავიანთ მუშაობა-  
ში. ახლა ამოცანა ის არის, რომ უმაღლესი სასწავლებლების სას-  
წავლო ნაწილის პროექტორებმა, რომელთაც ევალუბათ სააპელა-  
ციო კომისიების საერთო ხელმძღვანელობა, შეიმუშაონ და განა-  
ხორციელონ აღნიშნულ კომისიათა მუშაობის გაუმჯობესების ღო-  
ნისძიებანი, მომავალ მისაღებ გამოცდებზე სააპელაციო კომისიებ-  
მა უფრო მკვეთრად უნდა დაატყონ თავიანთი ხელი გამოცდების  
ორგანიზაციის საერთო გაუმჯობესებას.

1990 წლის მისაღები გამოცდების მაღალორგანიზებულ დონე-  
ზე ჩატარებისათვის, საჭიროდ მიგვაჩნია, რათა სამინისტროს უმაღ-  
ლესი, საშუალო სპეციალური განათლებისა და მეცნიერების სამ-  
მართველოს, აგრეთვე სპეციალისტთა წარმომადგენლების მონაწი-  
ლეობით შეიქმნას გარკვეული სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევა-  
ლება მისაღები გამოცდების ორგანიზაციის, სტრუქტურის, ჩატა-  
რების წესის შესახებ წინადადების შემუშავება და სამინისტროში  
წარმოდგენა. ანგარიშგასაწევია აგრეთვე უკვე წამოყენებული წი-  
ნადადებანი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ფასიანი  
სწავლების შეძლების შესახებ (ცხადია, სახელმწიფო დაფინანსე-  
ბით მოცემული კონტინგენტის შენარჩუნებით). ამ მოსაზრების



შესწავლაც და საკითხის საშუალო გადაწყვეტისათვის წინადადებების წარმოდგენაც იმავე სამუშაო ჯგუფს უნდა დაევალოს.

აქვე უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ 1989 წელსაც, სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილების მოთხოვნის მიუხედავად, კვლავაც დაგვიანებით მოხდა მიღების გეგმების დამტკიცება და უშალღეს სასწავლებლებამდე დაყვანა. ასეთი ვითარება ძალზე უშლის ხელს მისაღები გამოცდების მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარებას. ამ ვითარების 1990 წლის მიღებისას ნამდვილად და რეალურად უნდა დავალწიოთ თავი, აქ გადამწყვეტი სიტყვა უნდა იქვას სახალხო განათლების სამინისტროსა და სხვა შესაბამისი უწყებების საგეგმო-საფინანსო სამმართველოებმა.

**საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს  
კოლეგიის 1989 წლის 30 ნოემბრის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ბ ი ლ ე ბ ა**

**სახალხო განათლების მუშაკთა 1989 წლის აგვისტო-სექტემბრის  
კონფერენციებზე გამოთქმული წინადადებებისა და კრიტიკული  
შენიშვნების შესახებ**

კოლეგია აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში მასწავლებელთა და სახალხო განათლების სხვა მუშაკთა 1989 წლის აგვისტო-სექტემბრის კონფერენციებში ძირითადად ორგანიზებულად, მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე ჩატარდა. პრინციპული შეფასება მიეცა სახალხო განათლების მთელი სისტემის მუშაობას. განსაკუთრებით ხაზი გაესვა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, დიფერენცირებული სწავლების დანერგვას და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის აპაღლებისა და სრულყოფის საკითხებს.

კონფერენციების და პლენარული სხდომების მაღალ დონეზე ჩატარებას ერთგვარად ხელი შეუწყო სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა, სახალხო განათლების მუშაკთა რეგიონალურმა თათბირებმა, ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის, საზოგადოებრივი დისციპლინების და საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლების რეკომენდაციების, ქართული ეროვნული სკოლის კონცეფციების და საკავშირო სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის მიერ შემუშავებული სკოლისა და სასკოლო საბჭოების დებულებების პროექტის განხილვამ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სოფლის სკოლის მასწავლებელთა კადრებით უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიებების შესახებ სამინისტროს კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარების, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საკითხებს.



ამასთან, კონფერენციებზე გამოითქვა მთელი რიგი საგულეს-  
მო და მნიშვნელოვანი წინადადებები, კრიტიკული შენიშვნები,  
რომელთა ცხოვრებაში გატარება ხელს შეუწყობს სასწავლო-  
სააღმზრდელო პროცესის ამაღლებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასპრ განათლების სამინისტროებმა,  
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქები-  
სა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. ქ.  
თბილისისა და ქუთაისის სახალხო განათლების სამმართველოებმა:

1.1. აგვისტო-სექტემბრის კონფერენციებზე გამოთქმული კრი-  
ტიკული შენიშვნებისა და მიღებული ანალიზის საფუძველზე მიმ-  
დინარე წლის 15 დეკემბრამდე დასახონ კონკრეტული ღონისძიე-  
ბები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

1.2. ყველა ზომა იხმარონ სასწავლო დაწესებულებების პედა-  
გოგიური კადრებით უზრუნველსაყოფად; აქტიურად გამოიყენონ  
მასწავლებელთა ატესტაცია პედაგოგიური შრომის შედეგების ასა-  
მაღლებლად;


1.3. პედაგოგთათვის პრაქტიკული დახმარების აღმოსაჩენად  
ძიხახძიძე მართულად წარმართონ მეთოდური სამსახურის საქმიანო-  
ბა, სრულყოფილად გამოიყენონ შემოქმედებითად მომუშავე მას-  
წავლებელთა მოწინავე პედაგოგიური გამოცდილება და ინიციატი-  
ვა. უზრუნველყონ პედაგოგიურ მუშაკთა დროული და ხარის-  
ხიანი გადამზადება სწავლებისა და მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის  
ღრმა ანალიზის საფუძველზე.

2. სამინისტროს აპარატის სამმართველო-განყოფილებებმა:

2.1. მასწავლებელთა და სახალხო განათლების სხვა მუშაკთა  
აგვისტო-სექტემბრის კონფერენციებზე გამოთქმული კრიტიკული  
შენიშვნებისა და წინადადებების ღრმა ანალიზის საფუძველზე და-  
სახონ და განახორციელონ ღონისძიებები სასწავლო-აღმზრდელო-  
ბითი ძუშაობის გასაუმჯობესებლად, მიმდინარე წლის 30 დეკემ-  
ბრამდე ოპერატიულად უზასუხონ კრიტიკული შენიშვნებისა და  
წინადადებების ავტორებს;

2.2. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სახალხო განათ-  
ლების სისტემის დაწესებულებების კადრებით დაკომპლექტებას  
და ახალგაზრდა სპეციალისტების ადგილებზე გამოყენებასა და და-  
მაგრებას;

2.3. ქართული ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის გან-  
ხორციელების მიზნით განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანონ



ქართული ენის სწავლების საკითხი ყველა ტიპის სასწავლო და  
წესებულებაში;

2.4. იზრუნონ დიფერენცირებული სწავლების დანერგვისათ-  
ვის.

3. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე  
დაევალოს მინისტრის მოადგილეს აშ. კ. გაბაშვილს.

კოლეგიის თავმჯდომარე, მინისტრი გ. ენუქიძე

მასწავლებელთა აკადემიის-სექციების კონფერენციებზე წიგნი საშუალო  
და პრიფესიული განათლების სამმართველოს მიმართ გამოქვეყნული  
კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები



საგანმანათლებლო  
სამართავი

| კრიტიკული შენიშვნა, წინადადება  | კრიტიკული შენიშვნა, წინადად. ავტორი   |
|---|---|
| <p>შეზღუდული ენისა და ლიტერატურის პროგრამა არ ემთხვევა საზღვრსადაც უნდა იყოს.</p>   | <p>ე. ნიკიძე — ლაგოდეხის რაიონის ვარდისებნის საშუალო სკოლის მასწავლებელი.</p>   |
| <p>ბიოლოგიის სასკოლო სახელმძღვანელოები მოკლებულია ერთნაირ საფუძველს.<br/>ისტორიის სახელმძღვანელოებში ძველი მსოფლიოს მასალებთან ერთად წარმოადგინონ ბაბილონი ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობა და რუკები.<br/>შედგის კანდიდატებისათვის სავალდებულო გახდეს ილიშვილის ერთ-ერთ დასკვნა ტურში მონაწილეობის მიღება.</p> | <p>დ. კობახიძე — კასპის რაიონი, ივრეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი.<br/>ნ. ზერიშვილი — ჭ. ფოთის № 12 საშუალო სკოლის პირველი ენის მასწავლებელი.</p>       |
| <p>სკოლის დებულებაში უფრო უნდა გამოიკვეთოს სკოლისა და განათლების განყოფილების ურთიერთობა.</p>   | <p>ე. კარტიანი — ქარელის რაიონის ზვედურეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი.<br/>ე. ჩხეიძე — ჭ. თბილისის კლინიკის საბავშვო განათლების განყოფილების გამგე.</p> |
| <p>ანასწორია სკოლებისათვის შეკრებილობის გატეხვა. გარდა გამოხატულებისა მისწავლებაში სკოლებში უნდა განაწილდნენ შეკრებილობის მიხედვით.<br/>საქართველოს ისტორიის სწავლებისათვის სკოლებს არ გააჩნიათ შესაფერისი რუკები.</p>  | <p>ჭ. ფოთის № 10 საშუალო სკოლის დირექტორი ზ. სამერკაშვილი.</p>  |
| <p>რესპუბლიკური ილიშვილის შედეგები დღესაც არ არის ცნობილი.</p>  | <p>ლაგოდეხის რ-ნი იფენის საშუალო სკოლა—მასწავლებელი ლ. ტყემალაძე.<br/>ლაგოდეხის რაიონი, ცოდნის საშუალო სკოლა — მასწავლებელი ზ. ხუნიშვილი.</p>             |





საქართველოს  
საქართველოს

სამამდე ორიანით მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანა ხელს არ უწყობს სკოლაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და დისციპლინის განმტკიცებას.

ქრისტამთავრებულთა შრომით საქმიანობაში ზაბზა სკოლას აღარ უნდა ევალებოდეს.

სასურველია მე-5, მე-6 კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის საბელმძღვანელოს დაერთოს ორთაოგრაფიული ლექსიკონი.

ელ. მწვლაძე — ქ. თბილისის კალინინის რაიონის საბაღო განათლების განყოფილების გამგე.

ქ. ფოთის მე-5 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თ. გოგიჩაიშვილი.

მასწავლებელია აგვისტო-სექტემბრის კონფერენციებზე საბელმძღვანელო-  
ბისა და ინფორმაციის სამართლებლის მიმართ გამოქვეყნებული კრატაყული  
შენიშვნები და წინადადებები



|  |  |                                  |
|--|--|----------------------------------|
| <p>ისტორიაში მოქველდა და იშვიათად გამოდის რუკები<br/>სასურველია მე-5 მე-6 კლასების ქართული ენისა და ლიტერატურ-<br/>ის საბელმძღვანელოს დაერთოს თართოგრაფიული ლექსიკონი</p>  | <p>ქარელის 1 საშუალო სკოლის მასწავ-<br/>ლებელი თ. ბაქრაძე<br/>ქ. ფოთის მე-5 საშუალო სკოლის ქარ-<br/>თული ენისა და ლიტერატურის მას-<br/>წავლებელი თ. გოგიჩაიშვილი<br/>ქ. ფოთის № 12 საშ. სკოლის დირექ-<br/>ტორი</p> | <p>განათლების<br/>სამინისტრო</p> |
| <p>რეარგისა საბელმძღვანელოების გამოცემის ხარისხი</p>   | <p>წილენჯიხის რ-ნი ქუარის 11 საშუალო<br/>სკოლა. ქართული ენის მასწავლებელი—<br/>მ. ასონია<br/>წილენჯიხის განათლების განყოფილების<br/>გამგე</p>  | <p>განათლების<br/>სამინისტრო</p> |
| <p>საჭიროა ქართულ მასალაზე დაფუძნებული საოჯახო ცხოვრების<br/>ეთიკისა და ფსიქოლოგიის საბელმძღვანელოს გამოცემა, რომელ-<br/>შიც გათვალისწინებული იქნება ერის ტრადიციები და წეს-ჩვეუ-<br/>ლებანი<br/>გამოიცეს და სავაჭრო ქსელში გაიუიღოს წიგნები იმ ვა-<br/>რუდით, რომ თითოეულ მოსწავლეს ჰქონდეს საკუთარი საბელმ-<br/>ძღვანელო</p> | <p>ქ. ფოთის № 12 საშუალო სკოლის ქარ-<br/>თული ენის მასწავლებელი ნ. ბერიშვი-<br/>ლი</p>   |                                  |
| <p>ისტორიის საბელმძღვანელოებში ძველი მსოფლიოს მასალბთან<br/>გრთად წარმოადგინონ ბიბლიური ტექსტების გეოგრაფიული მდებ-<br/>რარეობა და რუკები</p>  |  |                                  |



საქართველოს  
აкадеმიის

მ

შობლივი ენისა და ლიტერატურის პროგრამა არ ემთხვევა სა-  
ხელმძღვანელოებს

ლაგოდეხის რაიონი ვარდისუბნის სა-  
შუალო სკოლა—ე. ნიშაძე

ბიოლოგიის სასკოლო სახელმძღვანელოები მოცულებულია ერთ-  
ნელ საფურცლებს

ქაბულ რაიონის ივრეთის საშუალო  
სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი დ.  
კობაძე

ვანათუნის  
სამეცნიერო

მასწავლებელი: აგვისტო-სექტემბრის კონფერენციებზე ხელმძღვანელი,  
 საშენიანო-პედაგოგიური კადრებისა და კვალიფიკაციის ამაღლების  
 სამართავებლს მიმართ გამოიქმნული კრიტიკული შენიშვნები და  
 წინადადებები



საგარეო ურთიერთობების  
 სამსახური

|  |  |
|--|--|
| <p>ქაშის რაიონის პედაგოგებმა დახელოვნების კურსები გაიარონ ქ.<br/>         აბილისში</p> | <p>ქაშის I საშუალო სკოლის დირექტორი<br/>         მ. გოგიშვილი</p>        |
| <p>მასწავლებელი: ატესტაციას უნდა პქონდეს გამოცდის სახე</p>                             | <p>ახმეტის I საშუალო სკოლა, მასწავლებელი<br/>         თ. ბასილაშვილი</p> |



შასწავლებელია აგვისტო-სექტემბრის კონფერენციებზე საგანმანათლებლო სამართავლოს მიმართ გამოიქმნული კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები

სკოლის დებულების მოვლი რიგი პუნქტები უნდა შეთანხმდეს მხარეებთან, შეუძლებელია ზედმეტი გასცეს განათლების განვითარებას იმ მიზნებზე, რომლებსაც ნიშნავს და ათავსებს სკოლა. ცენტრალური ბუღალტერიის არსებობის ვითარებაში შეუძლებელია სკოლის დირექტორმა განახორციელოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა, რასაც დებულება ანიჭებს.

ბაიონის სკოლა-ინტერნატი რესპუბლიკური მნიშვნელობისაა, ამიტომ უნდა გადაყვანილ იქნეს რესპუბლიკური ბიუჯეტზე.

სკოლაზე გამოყოფილი ბიუჯეტი შიდასკოლური ხარისხისაა, სკოლის ანგარიშზე და სკოლის საბჭოს მიეცეს მისი ხარჯვის სრული თავისუფლება.

ქ. თბილისის კალინინის განათლების განვითარების გამგე ე. ძნელაძე

წარუწყობის განათლების განვითარების გამგე

წარუწყობის № 1 საშუალო სკოლის მეთვლიყის შასწავლებელი რ. კვარაცხელია.

მისწავლელთა აკადემიკოსების კონფერენციებზე მომზადება.  
 განათლების სამმართველოს მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები  
 და წინადადებები



საქართველოს  
 განათლების  
 სამმართველო

- |   |  |
|---|--|
| 1. მიზანდარტ წელს განათლების განყოფილებას გამოეცის შუბუ-<br>ტი ავტომანქანა.   | მარტვილის განათლების განყოფილე-<br>ბის პ. ორგანიზაციის მდივანი ბ. წე-<br>ლია |
| 2. არსაქმარისად მარაგდება სკოლები ცარციო.                                     | თეთრიწყაროს რუსული საშუალო სკო-<br>ლის დირექტორი                             |
| 3. სკოლების მეჩხებით მომზადებისას არ ითვალისწინებენ ასა-<br>კობრავ სხვაობებს. | ლაგოდეხის რ-ნი ნინიგორის საშუალო<br>სკოლა — მისწავლელთა ა. ძინძიხაძე         |
| 4. გამოივოს ქარელის რაიონის ფელმოთეკისათვის მანქანა                           | ქარელის რაიონის განათლების განყო-<br>ფილების გამგე.                          |
| 5. ბავა-ბალები არ მარაგდებიან ხარისხიანი და მრავალფეროვანი<br>პროდუქტებით.    | ტ. თბილისის 162-ე ბ/ზალის გამგე მ.<br>ჩხენკელი                               |
| 6. რაიონის სასკოლო ინვენტარ-მიწყობილობა გამოივოს ხელშე-<br>რღლების მიხედვით,  | წილენჭიხის განათლების განყოფილებას<br>გამგე ბ. ჩაჩღავა.                      |
| 7. რაიონისათვის აუტანლადია დისბლების კლასი.                                   | წილენჭიხის განათლების განყოფილებას<br>გამგე ბ. ჩაჩღავა.                      |

განათლების  
 სამმართველო

მასწავლებელი: აგვისტო-სექტემბრის კონფერენციებზე კა.  
შენებლობის განყოფილების მამარა გამოქმული კრატეული  
შენაშენები და წინადადებები

|   |  |
|---|--|
| დაქარაღვს ქვალისა და ღის საშუალო სკოლების შენებლობა | ქვალის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ლ. კვარაცხელია |
|---|--|

მასწავლებელთა აგვისტო-სექტემბრის კონფერენციებზე რესპუბლიკური  
სამეცნიერო მეთოდური ცენტრის მიმართ გამოქმუნდა კრატეული  
შენაშენები და წინადადებები



საგარეო ურთიერთობების  
სამსახური

|  |  |
|--|--|
| სკოლები განიცდიან შრომით სწავლებაში ქართული მეთოდური<br>ლიტერატურის ნაკლებობას (მეთოდცენტრი)           | ქარელის განათლების განყოფილების<br>ინსპექტორი შ. კაცელაშვილი |
| გამოიყენ კონკრეტულ მეთოდური მითითებანი კლასკომპლემ-<br>ტინი სკოლების მასწავლებლებისათვის (მეთოდცენტრი) | ქარელის რ-ნო. დედოფლის დსკოლის<br>გამგე ნ. კარმაზოვა         |



საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს  
კოლეგიის 1989 წლის 30 ნოემბრის

გ ა დ ა წ უ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

რესპუბლიკის უმაღლეს სკოლაში სამეცნიერო-პედაგოგიური  
და სამეცნიერო კადრების მომზადებისა და გამოყენების  
შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ სამეცნიერო-პედაგოგიური და სამეცნიერო კადრების მომზადებისა და გამოყენების გაუმჯობესება წარმოადგენს უმაღლესი სკოლის გარდქმენის, უმაღლესი განათლების დემოკრატიზაციის, განათლების, აღზრდისა და მეცნიერული კვლევის დონის ამაღლების საკვანძო რგოლს.

რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის პრაქტიკაში დანერგილია რექტორების არჩევითობა და შემოღებულია კოლექტივის წინაშე მათი ანგარიშგება (ალტერნატიულ საწყისებზე ჩატარდა რექტორების არჩევნები საქართველოს და ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტებში, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თბილისის, თელავის, სამხრეთ-ოსეთის პედინსტიტუტებში, გორის ეკონომიკურ ინსტიტუტში). საკონკურსო საწყისების გაძლიერება პროფესორ-მასწავლებელთა თანამდებობების დაკავების დროს და მასწავლებელთა ატესტაცია სტუდენტთა აზრის გათვალისწინებით ხელს უწყობს ხელშეღწევად და სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაკთა კადრების განახლებას, ახალი ძალების მოზიდვას, ახალგაზრდობის შემოქმედებით ზრდას. გაფართოებულია და დემოკრატიზირებულია სამეცნიერო საბჭოების წარმომადგენლობა, რომლის შემადგენლობაში 25 პროცენტი სტუდენტია და 25 პროცენტი კოლექტივების მიერ არჩეული თანამშრომლები. ამის შედეგად მნიშვნელოვანწილად გადალახულია მასწავლებელთა და სტუდენტთა გაუცხოება უმაღლესი სკოლის ზოგადსახელმწიფოებრივი ამოცანებისაგან, გააქტიურებულია სამეცნიერო, პედაგოგიური და სასწავლო ცხოვრება, ილაზება კონსერვატიული განწყობილება, გაძლიერებულია პირობები ახალი მიდგომების სარეალიზაციოდ.

გადამოწმებულია ნორმატიული ბაზა და უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების ორგანიზაცია. მიღებულია ზომები დოქტორანტურისა და ასპირანტურის, როგორც უწყვეტი განათლების ერთიანი სისტემის მნიშვნელოვანი საფეხურების განსავითარებლად, სადისერტაციო ნაშრომების სამეცნიერო დონისა და პრაქტიკული მნიშვნელობის ასამაღლებლად, მათი თემატიკის მოსაწესრიგებლად, სამეცნიერო ხარისხების მინიჭების საქმეში ფორმალიზმის გამოვლენის გადასალახად. თბილისის უნივერსიტეტსა და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გახსნილია დოქტორანტურა შესაბამისად 14 და 3 სამეცნიერო მიმართულებით. სისტემის უმაღლეს სასწავლებლებში ფუნქციონირებს 32 სპეციალიზირებული საბჭო, მათ შორის 16 სადოქტორო და 16 საკანდიდატო, რომლებსაც უფლება აქვთ დისერტაციები განიხილონ 71 სპეციალობით. სისტემის უმაღლესი სასწავლებლების თანამშრომელთა მიერ 1988 წელს დაცულია 27 სადოქტორო და 129 საკანდიდატო დისერტაცია. მეცნიერებისა და ტექნიკის პრიორიტეტულ დარგებში გამოყოფილია სტაჟიორ-მკვლევრის 40 საშტატო ერთეული. ასპირანტურაში ადგილების დაგეგმვის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კადრების მომზადებას ისეთ სპეციალობებში, როგორცაა რადიოფიზიკა, ნახევარგამტარებისა და დიელექტრიკების ფიზიკა, ფიზიკური ელექტრონიკა, რობოტები და მანიპულატორები, მართვის ავტომატიზირებული სისტემები, ბიოტექნოლოგია და სხვა. ამასთან უპირატესი განვითარება მიენიჭა ასპირანტურას წარმოებიდან მოწყვეტით (1989 წ. დასწრებული ადგილები შეადგენდა 64 პროცენტს გამოყოფილი ადგილების საერთო რაოდენობიდან). გარდა ამისა ამჟამად სისტემის უმაღლეს სასწავლებლებში ასპირანტების 49 პროცენტი მზადდება მიზნობრივი დანიშნულებით პერიფერიის იმ უმაღლესი სასწავლებლებისათვის, რომლებიც განიცდიან სამეცნიერო ხარისხის მქონე სასწავლებლების ნაკლებობას.

გაშლილია მუშაობა უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელ მუშაკთა და სასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების გარდასაქმნელად. პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის ატესტაციის დროს კვალიფიკაციის ამაღლების შედეგების გათვალისწინებამ ხელი შეუწყო მათი პასუხისმგებლობის გაძლიერებას პროფესიული ცოდნის განახლებასა და გამდიდრებაში, პედაგოგიური ოსტატობის სრულყოფაში.



დიდი დადებითი მნიშვნელობა აქვს უმაღლეს სკოლებში კვალიფიციური სპეციალისტების მოწვევის საქმეში პროფესორ-მასწავლებელთა თანამდებობებზე არჩევის ახალ დებულებას, რომელიც შესაძლებელს ხდის პროფესორის, დოცენტის, კათედრის გამგის თანამდებობებზე სახალხო მეურნეობის სპეციალისტების არჩევას, რომელთაც არა აქვთ შესაბამისი სამეცნიერო ხარისხი, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ მინისტრთა საბჭოსა და პროფესიული კავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1987 წლის 13 მარტის № 329 დადგენილებას „უმაღლესი სასწავლებლების მუშაკთა ხელფასის გადიდების შესახებ“, რომლის შესაბამისად ამჟამად რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარეობს პროფესორ-მასწავლებელთა მთელი შემადგენლობის ატესტაცია.

ამასთან უმაღლესი სკოლის კადრების მომზადებასა და გამოყენების გარდაქმნისათვის გატარებული ღონისძიებები ჯერ კიდევ ვერ ახდენს სათანადო გავლენას უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო-აღმზრდელობით და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მდგომარეობაზე.

ხშირად თავის საქმიანობაში უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებს გამორჩევათ საკადრო საკითხები. მარტივად უღგებთან დემოკრატიზაციას, ცვლიან მას თვითდინებით, პასუხისმგებლობის შესუსტებით ან მისი გადატანით კოლექტივზე, სამეცნიერო საბჭოებზე, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კომპეტენტურობაზე ზრუნვის გარეშე.

გარდაქმნის პირობებში გამოვლინდა არსებითი ხარვეზები მასწავლებელთა სამეცნიერო, პოლიტიკურ და ზოგად კულტურაში. კადრების კომპეტენტურობის დეფიციტი, განსაკუთრებით საზოგადოებრივ და ზოგიერთ სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებების წარმომადგენლებში, ხოლო ასპირანტურა, პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა და პრაქტიკა ჯერ კიდევ არ ითვალისწინებს ამ რეალურ გარემოებებს, შინაარსობრივად სუსტად ხალისდება. ამასთან 1988 წლის ასპირანტურადამთავრებულთა მარტო 26,7 პროცენტმა წარადგინა დასაცავად დისერტაცია ვადაში.

ნელა წარმოებს კვალიფიკაციის ამაღლების ისეთი ახალი ფორმების დანერგვა, როგორცაა მასწავლებელთა გრძელვადიანი (4 თვიდან 1 წლამდე) სტაჟირება მოწინავე საწარმოებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში.



ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ლექციების წასაკითხად მეთოდური დახმარების გაწევის მიზნით ქვეყნის წამყვან სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებიდან ცნობილ მეცნიერთა მოწვევის საქმეს.

ხშირად უზრუნველყოფილი არ არის ჯეროვანი მომთხოვნელობა პროფესორ-მასწავლებელთა თანამდებობების კონკურსით დაკავების მიმდინარეობის დროს, ადგილი აქვს საკადრო საკითხებზე ნორმატიული აქტების თვითნებურ გააზრებას, აშკარა დამახინჯებას და უგულვებლყოფას, სუბიექტივიზმის გამოვლენას. კერძოდ, იშვიათი არ არის შემთხვევები პროფესორ-მასწავლებელთა ამა თუ იმ თანამდებობაზე ბრძანებით დანიშვნის, კონკურსების გამოცხადების გაჭიანურებით (თბილისის უნივერსიტეტი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი, სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტი და სხვა). ყველა უმაღლესი სასწავლებელი არ იცავს ხელძღვანელ მუშაკთათვის დადგენილ ასაკობრივ ცენზს, რაც წარმოადგენს მოქმედი აქტების უხეშ დარღვევას. ფართოდაა გავრცელებული საშტატო ერთეულების დაქუცმაცების პრაქტიკა. ძრავლადაა იურიდიული პროცედურის დარღვევის ფაქტები თანამშრომელთა განთავისუფლების, პენსიაზე გადაყვანის დროს და ა. შ. ასეთი მდგომარეობის შედეგია კონფლიქტური სიტუაციების რიცხვის ზრდა, მათი გადაწყვეტის ვადების გაჭიანურება, წერილების, საჩივრებისა და განცხადებების ნაკადის მატება.

სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადებისა და გამოყენების გაუმჯობესების აუცილებლობიდან გამომდინარე

**კოლეგია ადგენს;**

**1. უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს:**

1.1. კოლეგიის წინამდებარე გადაწყვეტილების შუქზე ჩაატარონ დამატებითი ღონისძიებები სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 13 მარტის № 327 დადგენილების „სამეცნიერო-პედაგოგიური და სამეცნიერო კადრების მომზადებისა და გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ შემდგომი რეალიზაციისათვის, გაამახვილონ ყურადღება გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, გააძლიერონ ხელძღვანელობა კადრების მომზადებასა და გამოყენებაზე, ამ საქმეში კომპეტენტურობის, კონკრეტულობისა და მომთხოვნელობის ამაღლებაზე.

1.2. ძირულად გააუმჯობესონ მუშაობა დოქტორანტურის, ასპირანტურის და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების, დი-

სერტაციის დასამთავრებლად მასწავლებელთა მეცნიერ-თანამშრომლებად გადაყვანის პრაქტიკის განვითარებასა და განმტკიცებისათვის, გააძლიერონ პირადი პასუხისმგებლობა ახალგაზრდა მკვლევართა მეცნიერულ და პედაგოგიურ ზრდაზე, დოქტორანტებისა და ასპირანტების პროფესიულ და საერთო კულტურის ამაღლებაზე, მათ შიერ კვლევის მეთოდოლოგიის, გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების ჩვევების, უცხო ენების დაუფლებაზე, მოწინავე მოწყობილობებზე და ხელსაწყოებზე სადისერტაციო კვლევის შესრულებაზე.

1.3. გააფართოონ ლექციების წასაკითხად ქვეყნის წამყვან სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებიდან, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლებიდან ცნობილ მეცნიერთა და სპეციალისტთა მოწვევის პრაქტიკა.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრკ სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტი იხილავს საკითხს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოებისათვის დოცენტისა და პროფესორის სამეცნიერო წოდების მინიჭების უფლების მიცემის შესახებ.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრკ სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის 1989 წლის 4 აპრილის № 10/1 გადაწყვეტილებით მიზანშეწონილად მიჩნეული, ექსპერიმენტის სახით, კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტისათვის უფლების მიცემა, უმაღლესი სასწავლებლებისათვის დადგენილი წესით წარადგინონ დასამტკიცებლად დოცენტისა და პროფესორის სამეცნიერო წოდებაზე სახალხო მეურნეობის წამყვანი სპეციალისტები, რომლებსაც არა აქვთ შესაბამისი სამეცნიერო ხარისხი.

4. ხელმძღვანელი, სამეცნიერო, პედაგოგიური კადრებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სამმართველოს (ამხ. ქაქია):

4.1. გააძლიეროს კონტროლი უმაღლესი სასწავლებლებში საკადრო საკითხებზე ნორმატიული დოკუმენტების დაცვისადმი, დროულად აღკვეთოს მათი დარღვევის შემთხვევები.

4.2. ჩაატაროს თათბირ-სემინარი უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებისა და მათი საკადრო სამსახურების სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების შერჩევის, დანიშვნისა და გამოყენების საკითხებზე.

4.3. მოამზადოს წინადადებები სსრკ სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტში წარსადგენად სსრკ მეცნიერებისა და ტექ-



ნიუსის სახელმწიფო კომიტეტის 1988 წლის 4 დეკემბრის № 386 და 1989 წლის 27 ივლისის № 503 დადგენილებების შესაბამისად მცხოვრები ხიერებათა დოქტორებისა და კანდიდატების სამეცნიერო ხარისხების შიძინებელი სპეციალიზირებული საბჭოების ქსელის მოწესრიგების თაობაზე.

4.4 შეიმუშავოს და წარმოადგინოს კოლეგიაზე განსახილველად 1990 წლის მარტამდე XIII ხუთწლედში უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელი და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების ხარისხობრივი შემაღენლობის გაუმჯობესების კონკრეტული პროგრამა, რომელიც ორიენტირებული იქნება ამ საქმეში გარდატეხის მიღწევაზე, მასწავლებელთა სამეცნიერო და პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლების ახალი შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენებაზე, მ. შ. საერთაშორისო კავშირებისა და მსოფლიო გამოცდილების გამოყენების საფუძველზე.

4.5 ჩაატაროს პროფესორ-მასწავლებელთა თანამდებობების დაკავების, სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების საქმეში ნორმატიული აქტების გამოყენების პრაქტიკის ანალიზი და სსრკ სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტში წარსადგენად 1989 წლის ბოლომდე მოამზადოს წინადადებები ამ აქტებში მიზანშეწონილი ცვლილებების შესატანად.

4.6 შეამოწმოს წინამდებარე გადაწყვეტილების შესრულება და შედეგები მოახსენოს კოლეგიას 1990 წლის თებერვალში.

4.7 შემდგომში სისტემატურად განიხილოს სამმართველოში უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადებისა და გამოყენების მდგომარეობა.

5. ამ გადაწყვეტილებისადმი კონტროლი დაევალოს მინისტრის პირველ მოადგილეს ანხ. ნ. ვასაძეს.

კოლეგიის თავმჯდომარე, მინისტრი გ. ენუქიძე

საქართველოს სსრ სახალხო განათლების  
სამინისტროს კოლეგიის 1989 წლის 30 ნოემბრის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგიკისა  
და ფსიქოლოგიის კათედრების მუშაობის შესახებ უმაღლესი  
განათლების გარდაქმნის ძირითად მიმართულებათა  
მოთხოვნების შუქზე

კოლეგია აღნიშნავს, რომ მიუხედავად უკანასკნელ პერიოდში  
სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით და აღმზრდელობით მუშაობაში  
შოპოვებული გარკვეული წარმატებებისა, რესპუბლიკის უმაღლესი  
სასწავლებლების პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრების  
საქმიანობა უმაღლესი განათლების გარდაქმნის ძირითად მიმარ-  
თულებათა მოთხოვნების სარეალიზაციოდ ჯერ კიდევ არასაკმა-  
რისია და ხასიათდება მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებებით.

კოლეგია თვლის, რომ გეგმაზომიერ მუშაობას მოითხოვს პედა-  
გოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრების პროფესორ-მასწავლებელ-  
თა შემადგენლობაში ასაკობრივი თანაფარდობის რაციონალური  
დონის მიღწევა. ძალზე დამაფიქრებელია, რომ ამ დარგებში მეც-  
ნიერებათა დოქტორების აბსოლუტური უმრავლესობა გადაცილე-  
ბულია 60 წელს, ხოლო 40 წლის ასაკამდე არცერთ პედაგოგს  
არა აქვს დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. მკვეთრ გაუმჯობესებას  
შოითხოვს ასპირანტურის გზით სამეცნიერო კადრების მომზადების  
საქმე როგორც თვისობრივად, ასევე რაოდენობრივად.

კოლეგია მიიჩნევს, რომ პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კა-  
თედრები ჯერ კიდევ არასაკმარისად იბრძვიან სასწავლო პროცესის  
ძირეული გაუმჯობესებისათვის. კათედრების მუშა-პროგრამები  
ყოველთვის ჯეროვნად არ ასახავენ პედაგოგიკური და ფსიქოლო-  
გიური აზროვნების განვითარების თანამედროვე მიღწევებს, პედა-  
გოგიური პრაქტიკის მონაპოვრებს. ნელი ტემპით ინერგება აქტიუ-  
რი სწავლების ფორმები და მეთოდები, ძალზე დაბალია სწავლება-

ში კომპიუტერების გამოყენების დონე. ასამაღლებელია მომთხოვნელობა სტუდენტთა ცოდნის მიმართ როგორც საკურსო, ასევე სახელმწიფო გამოცდებზე.

კოლეგია ძიუთითებს, რომ პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ჯერ კიდევ ვერ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რაც დაყენებულია უმაღლესი განათლების გარდაქმნის ძირითად მიმართულებებში. სუსტად მუშავდება თანამედროვე პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიური მეცნიერების აქტუალური პრობლემები. შემდგომ გაძლიერებას მოითხოვს კათედრების სამეცნიერო საქმიანობის კოორდინაცია. ყოველგვარ კრიტიკანე დაბლა დგას სტუდენტების უზრუნველყოფა სახელმძღვანელოებით. კოლეგია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტს, რომ უკანასკნელი 15 წლის მანძილზე ასაკობრივ და პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში არ გამოცემულა არცერთი თარგმნილი და ორიგინალური სახელმძღვანელო.

კოლეგია კატეგორიულად მიუთითებს იმაზე, რომ სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკა არსებითი ხარვეზებით ხასიათდება და ჯერ კიდევ ვერ ასრულებს გადამწყვეტ როლს სტუდენტთა პედაგოგიზაციისა და პედაგოგიური დაოსტატების საქმეში. კოლეგიას ძიანხია, რომ სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკის ახალი დებულების დახერგვა დადებით როლს შეასრულებს პედპრაქტიკის საერთო გაუქმების საქმეში. ამ მიმართულებით პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრებმა მეტი მიზანსწრაფვით უნდა იმუშაონ. საჭიროა პედპრაქტიკისათვის სამუშაოდ გამოყოფილი სკოლების მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცება.

კოლეგია თვლის, რომ არადამაკმაყოფილებელია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში პედაგოგიური პრაქტიკისათვის სტუდენტთა მომზადების მდგომარეობა. კოლეგიას ძიანხია, რომ სკოლების ფსიქოლოგიური სამსახურისათვის კადრების მომზადების მიზნით უნდა გაფართოვდეს მისაღები კონტინგენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის განყოფილებაზე. საჭიროა პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში ასპირანტთა ადგილების რეგულარული გამოყოფა. კოლეგია თვლის, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის კათედრამ მოკლე ხანში უნდა უზრუნველყოს სკოლების ფსიქოლოგიური სამსახური სათანადო მეთოდური ლიტერატურით.

უმაღლესი სასწავლებლების რექტორატები და დარგობრივი სამსახურები ჯერ კიდევ ნაკლებად ზრუნავენ პედაგოგიკისა და



ფსიქოლოგიის კათედრების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად. ამ პროფილის კადრების უმეტესობა განიცდის არა მხოლოდ ლაბორატორიების მოწყობილობებისა და სასწავლო-სააუდიტორიო ფართობების ნაკლებობას, არამედ სათანადოდ არ არის მომარაგებული სასწავლო, მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურითაც. კოლეგიას, მიაჩნია, რომ ამ მიმართულებით მუშაობა თვისობრივ გაუმჯობესებას მოითხოვს.

რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგიკის და ფსიქოლოგიის კათედრების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და კათედრების სასწავლო, სამეცნიერო და აღზრდელობითი საქმიანობის თვისობრივი გარდაქმნის მიზნით კოლეგიამ

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. უმაღლესი განათლების განყოფილების ინფორმაცია რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგიკის კათედრების მუშაობის შესახებ მიღებულ იქნეს ცნობად (დანართი № 1).

2. დაევალოს უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს მიმდინარე სასწავლო წლის მიმდინარე სემესტრის დასასრულამდე სამეცნიერო საბჭოების სხდომებზე განიხილონ პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრების მუშაობის საკითხი და მათი საქმიანობის თვისობრივი გარდაქმნის მიზნით დასახონ კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა. შემუშავებულ გეგმებში ღონისძიებანი უნდა დაისახოს იმ მიზანდასახულობით, რომ მათმა განხორციელებამ უზრუნველყოს პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრების სასწავლო, სამეცნიერო და აღზრდელობითი მუშაობის, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მკვეთრი გაუმჯობესება.

3. დაევალოს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრების გამგეებს:

3.1. განაგრძონ კათედრების სასწავლო პროგრამების შემდგომი დახვეწა იმ მიზანდასახულობით, რომ პროგრამებში რეალური ასახვა ჰპოვოს პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის თეორიისა და პრაქტიკის თანამედროვე აქტუალურმა პრობლემებმა, მათ შორის ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლების რეფორმასთან, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების ძირითად მიმართულებებთან, ეროვნული სკოლის კონცეფციასთან, პატრიოტულ აღზრდასთან, მომავალ მასწავლებელთა პროფესიულ დაოსტატებასთან დაკავშირებულმა საკითხებმა.

3.2. თვისობრივად გააუმჯობესონ სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკა: ქმედითი ღონისძიებანი გაატარონ, რათა განუწყვეტელი



პედაგოგიური პრაქტიკა განხორციელდეს მთელი მოცულობით; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკის გავლას სოფლის სკოლებში.

3.3. ძირეულად გადაახალისონ კათედრების სამეცნიერო კვლევითი მუშაობის გეგმები. გეგმების გადახალისება განხორციელდეს იმ მიზანდასახულობით, რომ აღმოთხერას წვრილთემიანობა და კათედრების მუშაობაში პარალელიზმი; დაწესდეს, რომ პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები შეფასდეს განათლების თეორიასა და პრაქტიკაში მათი დანერგვის მიხედვით.

4. დაევალოს სახალხო განათლების სამინისტროს ზოგადსაშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლებისა და უმაღლესი, საშუალო სპეციალური განათლებისა და მეცნიერების სამმართველოებს 1989—1990 სასწავლო წლის II სემესტრის დაწყებამდე შეიმუშაონ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკის ჩატარებისათვის საბაზო სკოლების ახალი ნუსხა. ახალი ნუსხის შემუშავებით თავიდან უნდა იქნეს აცილებული ერთსა და იმავე სკოლებში სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების მიერ პედაგოგიური პრაქტიკის ჩატარება.

5. დაევალოს განათლების რაიონული განყოფილებების გამგეებს იმ საშუალო სკოლებში, რომლებიც დამტკიცდება სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკისათვის, — უზრუნველყონ პედაგოგიური პრაქტიკის ნორმალური ჩატარებისათვის საჭირო პირობები.

6. დამტკიცდეს უნივერსიტეტებსა და პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკის ახალი დებულებანი (დანართი № 2 და № 3).

7. დაევალოს სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის სარედაქციო — საგამომცემლო განყოფილებას — უახლოეს ხანში უზრუნველყოს სტუდენტთა პრაქტიკის დამტკიცებული დებულების გამრავლება და უმაღლესი სასწავლებლებამდე დაყვანა.

8. უფლება მიეცეთ უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს არსებული ფინანსების ფარგლებში გაადიდონ პედაგოგიური პრაქტიკის საათები ორპროფილიან სპეციალობაზე.

9. დაევალოს სახალხო განათლების სამინისტროს კადრების სამმართველოს 1989—1990 სასწავლო წლის მე-2 სემესტრის დაწყებისათვის უზრუნველყოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფსიქოლოგთა გადამზადე-

ბის ფაკულტეტის ვახსნა 10 თვიანი ხანგრძლივობით სამეურნეო ანგარიშზე.

10. დაევალოს სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოსა და უმაღლესი, საშუალო სპეციალური განათლებისა და მეცნიერების სამმართველოს 1990 წლიდან გადიდონ მისაღები კონტინგენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის განყოფილებაზე იმ მიზნით, რომ მკვეთრად გაუმჯობესდეს სკოლის ფსიქოლოგთა მომზადება.

11. დაევალოს სამინისტროს სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების განყოფილებას 1990—1995 წლებში თითო ასპირანტის ადგილი გამოუყოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის კათედრას.

12. დაევალოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის კათედრას —

12.1. 1990—1991 სასწავლო წლებში უზრუნველყოს „ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის“ სახელმძღვანელოს მომზადება უნივერსიტეტებისა და პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტებისათვის (მოცულობა 25—30) ფორმა.

12.2. 1990 წელს უზრუნველყოს სამეცნიერო-მეთოდური კრებულის „ფსიქოლოგიური სამსახური სკოლაში, პრობლემები და ამოცანები“ მომზადება (მოცულობა 5—6 ფორმა).

13. დაევალოს გამომცემლობა „განათლებას“ ხელშეკრულება დაუდოს თსუ ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის კათედრას წინამდებარე გადაწყვეტილების მე-12 პუნქტში მითითებული ნაშრომების გამოცემაზე.

14. წინამდებარე გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მინისტრის მოადგილეს ა.ხ. რ. ხუროძეს.

კოლეგიის თავმჯდომარე, მინისტრი გ. ენუქიძე

საქართველოს სსრ სახალხო განათლების  
სამინისტროს კოლეგიის 1989 წლის 30 ნოემბრის  
გ ა ლ ა წ ე პ ე ტ ი ლ ე ბ ა

ბათუმის № 44 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური  
სასწავლებლის დირექტორის ა. მ. შ. გვარიშვილის ანგარიშში  
პროფტექსასწავლებლების მოსწავლეთა საწარმოო  
სწავლებისა და პრაქტიკის პროცესში შრომის ორგანიზაციის  
პროგრესული მეთოდების გამოყენების მდგომარეობის  
შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სამშენებლო პროფი-  
ლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ზოგად-  
საგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის მოთხოვნე-  
ბიდან გამომდინარე, ისახება რეალური გზები ახალ ეკონომიკურ  
პირობებში თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე თანდა-  
თანობითი გადასვლისათვის.

საწარმოო პრაქტიკის პერიოდში მოსწავლეები რეალურად  
ეუფლებიან შრომის ორგანიზაციის თანამედროვე ფორმებსა და  
პროგრესული ტექნოლოგიის მეთოდებს, ინერგება ბრიგადული  
იჯარა, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა ძაღე-  
ბით დამოუკიდებელი ობიექტების მშენებლობას მოიჯარის უფ-  
ლებით, მოსახლეობის მომსახურების სფეროს გაფართოებას, რთუ-  
ლი პროდუქციის გამოშვებას.

სახალხო მეურნეობაში ახალი ეკონომიკური მექანიზმის ჩამო-  
ყალიბების, საწარმოო პროცესში უახლესი ტექნიკისა და ტექნო-  
ლოგიის ინტენსიური დანერგვის მიმდინარე პროცესების შესაბა-  
მისად ბათუმის № 44 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავ-  
ლებლის ინჟინერ-პედაგოგიური კოლექტივი (დირექტორი შ. გვა-  
რიშვილი) აქტიურად ზრუნავს სწავლებისა და აღზრდის პროგრე-  
სული ფორმებისა და მეთოდების შემუშავებისა და პრაქტიკაში  
განხორციელებისათვის.

სასწავლებელი ყოველწლიურად 300-მდე კვალიფიციურ მუშას უმზადებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის (მმართველი ი. ხალვაში) ორგანიზაციებს.

სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში ფართოდაა დანერგილი მოსწავლეთა თვითმმართველობის ფორმები: იჯარული ბრიგადების შექმნა, კონტროლი მათ საქმიანობაზე, მატერიალური წახალისების საკითხების კოლექტიური განხილვა, ზრუნვა სამშენებლო მასალების უდანაკარგოდ და ყაირათიანად ხარჯვაზე, დისციპლინის დამყარება სამუშაო ადგილებზე, უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვა და სხვა.

ასეთი მიდგომითაა შესრულებული მთელი რიგი სამშენებლო სამუშაოები: ოთხსართულიანი საერთო საცხოვრებელი საბაზო ორგანიზაციისათვის, ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლი, ბათუმის არქიტექტურის მუზეუმი, კათოლიკური ეკლესიის რესტავრაცია, სასწავლებლის სახელოსნოების კომპლექსისა და სასწავლო ტირის მშენებლობა, სულ 800 ათას მანეთამდე მოცულობის სამუშაოები.

საბაზო ორგანიზაციისთან ერთობლივი, მიზანმიმართული მუშაობის შედეგად სასწავლებლის კოლექტრის საქმიანობამ უფრო ფართო მასშტაბები მიიღო — სასწავლებელი ჩაება 16-სართულიანი საცხოვრებელი სახლისა და ბაგა-ბაღის მშენებლობაში.

მიღებულ მაღალ ეკონომიკურ ეფექტთან ერთად ყოველივე ამან დიდად აამაღლა სასწავლებლის ავტორიტეტი ახალგაზრდობისა და მოსახლეობის ფართო მასებს შორის და შესაძლებელი გახადა მოსწავლეთა კონტინგენტის საკონკურსო შერჩევით დაკომპლექტება.

თანამედროვე მოთხოვნების დონეზე აღჭურვილ სასწავლო კლას-კაბინეტებში და ლაბორატორიებში მაღალი კვალიფიკაციის მქონე ინჟინერ-პედაგოგიური კადრების ძალებით წარმართულმა საწარმოო სწავლებისა და პრაქტიკის სწორმა ორგანიზაციამ, მოსწავლეთა თავისუფალი დროის რაციონალურმა გამოყენებამ აამაღლა სწავლა-აღზრდის შედეგიანობა, სრულიად გამოირიცხა მოსწავლეთა განთესვისა და სამართალდარღვევების ფაქტები.

დღეისათვის ბათუმის № 5 ტრესტის 3000-ან მუშათა კოლექტივის 75%-ს სასწავლებლის კურსდამთავრებულები შეადგენენ.

სასწავლებლის საბაზო ორგანიზაციის № 5 სამშენებლო ტრესტის ახალ სამეურნეო პირობებზე გადასვლამ მას გარკვეულწილად რთული ფინანსური მდგომარეობა შეუქმნა და გააძნელა პროფტექნიკურ სასწავლებელში მუშათა კადრების მომზადებისათვის



საჭირო თანხების გამოყოფა; მიუხედავად ამისა, სასწავლებლის ინჟინერ-პედაგოგიური კოლექტივი საწარმოო სწავლებისა და პრაქტიკის რაციონალური ორგანიზაციით, მოიჯარის წესით დამოუკიდებელი ობიექტების მშენებლობაზე სასწავლო გეგმებისა და პროგრამების სრული განხორციელებით აღწევს მოსწავლეთა დაოსტატების ხარისხის ამაღლებას, მონათესავე პროფესიების დაუფლების შესაძლებლობებს (შემღესველი ეუფლება დურგლის, კალატოზის და სხვა პროფესიებს) და შრომის მაღალმწარმოებლურ, მატერიალურ ეფექტს. თუ დამოუკიდებელი ობიექტების მშენებლობისა და ბრიგადული იჯარის მეთოდის დანერგვამდე სასწავლებლის წლიური სასწავლო-საწარმოო შემოსავალი შეადგენდა 70 ათას მანეთს, ამ მეთოდების დანერგვამ თანხა 120 ათას მანეთამდე გაზარდა, ხოლო თითოეული მოსწავლის ფულადმა გამომუშავებამ საწარმოო პრაქტიკის დროს 40 მანეთის ნაცვლად 90—100 მანეთი შეადგინა, ანალოგიურად გაიზარდა საწარმოო სწავლების ოსტატების მატერიალური შემოსავალი.

მოსახლეობის მომსახურების სფეროს გაფართოება, რაც ამჟამად ხორციელდება, რიგი სასწავლო ჯგუფების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა, მთელი ფულადი შემოსავლის ყაირათიანი, სწორი დანიშნულებით ხარჯვა სასწავლებლის თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურებაზე გადასვლის გარანტიას, იძლევა.

ამასთან კოლევციას მიიჩნია, რომ დასახული მიზნის მიღწევისათვის შემდგომ გეგმანომიერ სრულყოფას მოითხოვს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, ჯერ-ჯერობით ყველა კურსდამთავრებულის პროფესიული მომზადების დონე ბოლომდე არ პასუხობს მშენებლობისათვის კადრების მომზადების გაზრდილ მოთხოვნებს, რაც აძნელებს მომზადებული კადრების მიზნობრივად გამოყენებას.

რიგი საწარმოო სწავლების ოსტატები არ შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას, საჭიროა მათი გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა არ ქმნის ყველა პირობას სასწავლებლის ახალ ეკონომიკურ პირობებზე გადასვლისათვის. სრულყოფილ აღჭურვას მოითხოვენ სასწავლო სახელოსნოები ჩარხდანადგარებითა და მოწყობილობებით სრულფასოვანი საწარმოო პროცესის განხორციელებისათვის, სწავლების პროცესში ჯერ კიდევ არ გამოიყენება კომპიუტერული

ტექნიკა, საქიროა სასწავლებლის ღია სპორტული ბაზებისა და ეზო-კარმიდამოების კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარება.

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნეს ცნობად ბათუმის № 44 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის ამხ. შ. გვარიშვილის ინფორმაცია თანამედროვე გარდაქმნის პირობებში მოსწავლეთა საწარმოო სწავლებისა და პრაქტიკის დროს შრომის ორგანიზაციის პროგრესული მეთოდების გამოყენების გზით ახალ ეკონომიკურ პირობებზე, თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე თანდათანობით გადასვლის შესახებ.

2. დავალოს ბათუმის № 44 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექციას (ამხ. შ. გვარიშვილი):

— სასწავლებლის პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად, ინჟინერ-პედაგოგიური კოლექტივისა და მოსწავლეთა ერთობლივი მუშაობის გზით პრაქტიკული ნაბიჯები გადადგას რეფორმის განსახორციელებლად, ახალ ეკონომიკურ პირობებში სასწავლო-საწარმოო საქმიანობაში ჩამოყალიბებული დადებითი ტენდენციების გასაღრმავებლად; უზრუნველყოს გარდაქმნის ძირითადი პრინციპების ღრმად გააზრება, შიდაწიოს გადამწყვეტ გარდატეხას თითოეული მასწავლებლის, საწარმოო სწავლების ოსტატისა და მოსწავლის საქმიანობაში;

— პროფესიული სკოლის გარდაქმნის გზაზე არ დაუშვას სასწავლო-აღმწრდელობით პროცესში ფორმალიზმისა და შაბლონის შემთხვევები, ხელი შეუწყოს სასწავლებლის ინჟინერ-პედაგოგიურ კოლექტივში შემოქმედებითი ძიების გაღრმავებას; მუშაობა წარმართოს საჯაროობის, დემოკრატიზაციის პრინციპების საფუძველზე; ფართო გზა მისცეს მოსწავლეთა თვითმმართველობასა და ინიციატივას; სრულყოს მათთან თანამშრომლობისა და გულახდილი დიალოგის მეთოდები;

— საბაზო ორგანიზაციასთან ერთად, სასწავლებლის ახალ სამეურნეო პირობებზე — თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე გადასვლის საფუძვლის მოსამზადებლად დასახოს და განახორციელოს ღონისძიებები სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიზნით, სრულყოს და გააფართოოს მოსახლეობის მომსახურების სფეროს მასშტაბები; ახალი სასწავლო წლიდან შიდაწიოს რიგი სასწავლო ჯგუფების სამეურნეო ანგარიშზე გადასვლას;



3. ეთხოვოს საბაზო ორგანიზაციას, ბათუმის № 5 სამშენებლო ტრესტს (ამხ. ი. ხალვაში):

— შექმნას ყველა პირობა პროფესიული მომზადების დონის ამაღლებისა და კურსდამთავრებულთა შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის;

— 1989 წლის ბოლომდე უზრუნველყოს სასწავლებლის სახელოსნოების აღჭურვა ჩარბ-დანადგარებითა და მოწყობილობებით, რათა შესაძლებელი გახდეს სახელოსნოების მაქსიმალური დატვირთვით მუშაობა და სასარგებლო პროდუქციის გამოშვება;

— გამოუყოს სასწავლებელს საჭირო სამშენებლო მასალები და სათანადო ტექნიკა სასწავლო კორპუსის გარე ფსადის კაპიტალურად შესაკეთებლად.

4. დაევალოს რესპუბლიკის სამშენებლო პროფილის საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს:

— აქტიურად დანერგონ ბათუმის № 44 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ინჟინერ-პედაგოგიური კოლექტივის მიერ საწარმოო სწავლებისა და პრაქტიკის პროცესში პროგრესული მეთოდების გამოყენების გამოცდილება; გაამდიდრონ პედაგოგიური კოლექტივების საქმიანობა მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის ფორმებისა და მეთოდების ურთიერთგაზიარების გზით; გააძლიერონ ინჟინერ-პედაგოგიური მუშაკების მეთოდური სწავლება, მათი სტაჟირებისა და ატესტაციის ეფექტურობა, ფართოდ გამოიყენონ ამ მიზნით უმაღლესი სასწავლებლებისა და საბაზო ორგანიზაციების შესაძლებლობანი;

— დასასონ კონკრეტული ღონისძიებები და ახალი სასწავლო წლიდან განახორციელონ მოსწავლეთა ძალებით დამოუკიდებელი ობიექტების მშენებლობა, ამასთან, მაქსიმალურად გამოიყენონ მოსწავლეთა შესაძლებლობები საწარმოო სწავლებისა და პრაქტიკის პროცესში საკუთარი და ახლომდებარე სასწავლო დაწესებულებათა შენობების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების ჩასატარებლად.

5. საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ი. ისაშვილი), მატერიალურ-ტექნიკური და სოციალური ბაზის განვითარების სამსახურებმა (ამხ. ამხ. რ. ხიტირი, რ. ბიწაძე):

— 1990 წლის აპრილამდე უზრუნველყონ სათანადო დოკუმენტაციის შედგენა და საჭირო თანხების გამოყოფა სასწავლო





კორპუსის გარე ფასადის კაპიტალური შეკეთებისა და ტულის მოედნების კეთილმოსაწყობად.

6. საწარმოო-ტექნიკურმა განყოფილებამ (ამხ. დ. დავითაშვილი), პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების განყოფილებამ (ამხ. თ. კიკნაძე), მომარაგება-გასაღების სამმართველომ (ამხ. გ. გოდერძიშვილი):

— განახორციელონ ღონისძიებანი 1990 წლის მაისამდე სასწავლებლის სახელოსნოების ჩარხ-დანადგარებითა და მოწყობილობებით დაკომპლექტებისა და სასწავლო დანიშნულების მიზნით სამშენებლო მასალებითა და იარაღებით უზრუნველყოფისათვის;

6. ინფორმატიკის მთავარმა ცენტრმა (ამხ. გ. გვარამია):

— 1989 წლის ბოლომდე გადაწყვიტოს სასწავლებლისათვის სასწავლო გამოთვლითი ტექნიკის გამოყოფის საკითხი და იზრუნოს სასწავლო პროცესის პროგრამულ უზრუნველყოფაზე.

7. დადგენილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ზოგადსაშუალო და პროფტექგანათლების სამმართველოს (ამხ. ა. ეჯიბაძე).

კოლეგიის თავმჯდომარე, მინისტრი გ. ენუქიძე



**საქართველოს სსრ სახალხო განათლების  
სამინისტროს კოლეგიის 1989 წლის 30. ნოემბრის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს  
სასწავლო დაწესებულებებისა და სამეურნეო ორგანიზაციების  
სამრეწველო პროდუქციის გამოშვებისა და მოსახლეობის  
ფასიანი მომსახურების რეალიზაციის 1989 წლის 9 თვის  
გეგმის შესრულების შედეგები

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს 1988 წლის 29 დეკემბრისა და 30 დეკემბრის № 421, № 414 ბრძანების შესასრულებლად და მიმდინარე წლის 9 თვის შედეგებიდან გამომდინარე

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. შიღებულ იქნეს ცნობად საგეგმო-საფინანსო სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია „საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს სასწავლო დაწესებულებებისა და სამეურნეო ორგანიზაციების სამრეწველო პროდუქციის გამოშვებისა და მოსახლეობის ფასიანი მომსახურების რეალიზაციის 1989 წლის 9 თვის გეგმის შესრულების შესახებ“.

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა, სასწავლო დაწესებულებათა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს:

2.1. დაუყოვნებლივ განაზოციელონ დამატებითი ღონისძიებანი სამრეწველო საქმიანობასა და მომსახურების სფეროში არსებული ჩაპორჩენის დასაძლევად. გაითვალისწინონ, რომ 1989 წლის გეგმას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა მთლიანი ხუთწლიანი გეგმის შესასრულებლად;

2.2. მოსახლეობის მოთხოვნის უფრო სრულად დაკმაყოფილებისა და ფულადი მიმოქცევის განმტკიცების მიზნით გააუმჯობესონ



პროდუქციისა და მომსახურების ხარისხი, ამოქმედდა ახალი ტექნოლოგიები და არ დაუშვან მეოთხე კვარტლის გეგმის შეუსრულებლობა;

2.3. გააუმჯობესონ საბაზო ორგანიზაციებთან ურთიერთსაქმიანობა კავშირი. უზრუნველყონ თითოეული მოსწავლე ფასიანი სამუშაო ადგილითა და საწარმოო პრაქტიკის კარგი ორგანიზებით;

2.4. შექმნან აუცილებელი წინასწარი პირობები მომავალი წლის გეგმიური დავალებების შესასრულებლად. სახელმწიფო შეკვეთების შესაბამისად უზრუნველყონ პროდუქციის მიწოდებაზე ხელშეკრულებების დროული გაფორმება. სასწრაფოდ წარმოადგინონ ადგილობრივ საბჭოებთან შეთანხმებული 1990 წლის გეგმის პროექტები;

2.5. აამაღლონ საშემსრულებლო დისციპლინა. განახორციელონ კონტროლი სტატისტიკური ანგარიშების წარმოდგენის ვადების მტკიცე დაცვაზე.

3. დაევალოს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს (ი. ისაშვილი), ამაღლოს სასწავლო დაწესებულებათა და სამეურნეო ორგანიზაციების შესაბამისი სამსახურების პასუხისმგებლობა ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმით დადგენილი დავალებების აუცილებელი შესრულებისათვის.

4. სამრეწველო პროდუქციის გამოშვების 1989 წლის პირველი ნახევრის და 9 თვის სასწავლო-საწარმოო გეგმების შეუსრულებლობის გამო არადამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმის (რ. მერკვილაძე), ქუთაისის № 21 სპტს (ბ. ხიზანიშვილი), თბილისის № 23 სპტს (რ. სოკურაშვილი), თბილისის № 26 სპტს (ო. გიორგობიანი), თბილისის № 32 სპტს (დ. მეზურნიშვილი), თბილისის № 41 სპტს (ლ. ხაჩიძე), თბილისის № 65 სპტს (დ. მახარაძე), თბილისის № 71 სპტს (ა. ნუცუბიძე), თბილისის № 80 სპტს (ლ. ნეფარიძე), თბილისის № 95 სპტს (გ. გოგუაძე); თბილისის № 108 სპტს (ა. გურაბანიძე), თბილისის № 111 სპტს (თ. ინწკირველი), ვანის № 68 სპტს (დ. ერეშიშვილი), შაიაკოვსკის № 69 სპტს (დ. გულეიშვილი), რუსთავის № 162 სპტს (თ. ფერაძე), ცხინვალის № 78 სპტს (დ. თუაფვი); თერჯოლის № 87 სპტს (ო. ჭანტურიძე) ხელმძღვანელთა მუშაობა. დაევალოთ უმოკლეს ვადაში ქმედითი ზომების მიღება მიმდინარე წლის გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად.

5. მოსახლეობის ფასიანი მომსახურების რეალიზაციის 1989 წლის პირველი ნახევრისა და 9 თვის გეგმის შეუსრულებლობა



სათვის არადამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს (ნ. ბუგინაშვილი), № 4 სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს (ზ. ნაცვალაძე), ქ. ქუთაისის სახალხო განათლების განყოფილების (თ. ფირცხალაშვილი), ქ. გორის (მ. აბუაშვილი), ქ. ტყიბულის (ბ. ორჯონიკიძე), ბოგდანოვკის (რ. სკოიანი), ბოლნისის რა-ნის (მ. დავითაშვილი), მარტელის რ-ნის (ლ. ჯვებენავა), ლანჩხუთის რა-ნის (ა. ანთაძე), ოზურგეთის რა-ნის (ც. შვეგრელაძე), სამტრედიის რა-ნის (კ. ძნელაძე), სახალხო განათლების განყოფილების ხელმძღვანელთა მუშაობა და მათი პასუხისმგებლობის საკითხი განხილულ იქნეს წლიური შედეგების მიხედვით, მათვე დაევალოთ, წარმოადგინონ მოსახლეობის ფასიანი მომსახურების გაფართოების ღონისძიებათა გეგმა პერსპექტიული პერიოდისათვის.

6. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ გააანალიზოს 1989 წლის სამრეწველო პროდუქციის გამოშვებისა და მოსახლეობის ფასიანი მომსახურების გეგმის შესრულების მდგომარეობა და შედეგები მოახსენოს კოლეგიას.

კოლეგიის თავმჯდომარე, მინისტრი გ. ე ნ უ ქ ი ძ ე

### მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ XII ხუთწლედის განვლილ პერიოდში განათლების სამინისტროს სასწავლო დაწესებულებებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის წარმოების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სახელმწიფო შეკვეთებისა და საწარმოთა შორის დადებული პირდაპირი ხელშეკრულებების საფუძველზე, ყოველწლიურად მნიშვნელოვანი გადაჭარბებით სრულდება.

რესპუბლიკის პროფტექსასწავლებლების სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში XII ხუთწლედში წარმოებულია 14,0 მლნ. მანეთის პროდუქცია, ხოლო საწარმოო პრაქტიკის პერიოდში მოსწავლეთა შიერ გამომუშავებულია 13,0 მლნ. მანეთი, რაც 550,0 ათ. მანეთით მეტია გეგმაზე და შეადგენს 105%-ს. სახელოსნოებში წარმოებული პროდუქციის 55% მსუბუქი მრეწველობის და საყოფაცხოვრებო მომსახურების პროდუქტების სასწავლებლებზე მოდის 30% — მანქანათმშენებლობაზე, ხოლო მშენებლობაზე და სოფლის მეურნეობაზე 15% (დანართი № 1).

XII ზუთწლედის განვლილ პერიოდში სამრეწველო პროდუქციისა და საბაზო ორგანიზაციებში გამომუშავების გეგმის შესრულების დონე ყოველწლიურად თანდათან იზრდება, მაგრამ კონტინგენტის მიღების გეგმის შეუსრულებლობამ უარყოფითი გავლენა იქონია გეგმიური შაჩვენებლის ზრდის ტემპზე. (97%).

სამეურნეო ორგანიზაციებმა წარმატებით უზრუნველყვეს სამრეწველო პროდუქციის გამოშვებისა და მიწოდების გეგმის შესრულება. მიმდინარე წლის 9 თვის შედეგების მიხედვით, ნაცვლად დამტკიცებული 1459,0 ათ. მანეთისა აწარმოეს 1529,0 ათ. მანეთის პროდუქცია, რაც 70,0 ათ. მანეთით მეტია გეგმაზე და შეადგენს 105%-ს.

განსაკუთრებით კარგი შედეგები აქვთ მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის სახელოსნოს (105%), სახალხო განათლების სტამბას (125%), თსუ სტამბას (110%).

მასალის დეფიციტის გამო ძალზე რთული მდგომარეობა შეიქმნა პოლიგრაფიულ მრეწველობაში, დაირღვა მასალების მიწოდების რიტმი, მხოლოდ სტამბის ხელმძღვანელობის მიერ დროულად განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად დაძლეულ იქნა ნედლეულითა და მასალით მომარაგებაში არსებული სიძნელეები და პროდუქციის მიწოდების გეგმა 100%-ით შესრულდა.

რესპუბლიკის პროფტექსასწავლებლების სასწავლო-საწარმოო საქმიანობის 9 თვის საერთო შედეგებიდან ჩანს, რომ სამრეწველო პროდუქციის გამოშვებისა და საბაზო ორგანიზაციებში გამომუშავების გეგმები არადამაკმაყოფილებლად სრულდება. (დანართი № 2).

მიმდინარე წელს შექმნილმა რთულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ვითარებამ, სტიქიურმა მოვლენებმა, აქედან გამომდინარე სიძნელეებმა ნედლეულითა და მასალებით მომარაგებაში გამოიწვია დაგეგმილი სახალხო სამეურნეო პროპორციების მნიშვნელოვანი შეფერხებები.

პროფტექსასწავლებლების სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში გეგმით უნდა გამოშვებულიყო 2610,0 ათ. მანეთის საერთო პროდუქცია, ფაქტიურად გამოშვებულია 2525,0 ათ. მან. ანუ 85,0 ათ. მანეთით ნაკლები.

საბაზო საწარმოებში და ორგანიზაციებში საწარმოო პრაქტიკის პერიოდში მოსწავლეთა გამომუშავებული თანხა დაგეგმილიყო 2322,0 ათ. მანეთით, ფაქტიურმა შეადგინა 2264,0 ათ. მანეთი, ანუ 586,0 ათ. მანეთით ნაკლები.

ზრდის ტემპი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მისაღები კონტინენტის შემცირების გამო შეადგენს 88%-ს.

საპრეწველო პროდუქციის წარმოებისა და საბაზო ორგანიზაციებში გამოქმედადების გეგმის შეუსრულებლობას ადგილი ჰქონდა წლის პირველ ნახევარში. საერთო პროდუქციას დააკლდა 152,0 ათ. მანეთი, ძირითადად ნედლეულისა და მასალების დეფიციტის გამო, საბაზო ორგანიზაციებში გამოქმედადბას 88,0 ათ. მანეთი. აქედან 70,0 ათ. მანეთი მოდის ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სხვა დარგის სასწავლებლებზე, რომლებიც წელს პირველად დაიგეგმა საწარმო-ტექნიკური განყოფილების წინადადებით. (თბილისის № № 41, 79, 80 107, 74 ქუთაისის 46, 161, სოხუმის 160) ამ სასწავლებელთა საბაზო ორგანიზაციებმა დარგის სპეციფიური პრობემების გამო ვერ უზრუნველყვეს მოსწავლეები ფასიანი სამუშაო ადგილებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წლებშიც ანალოგიური სურათი იყო.

შესამე კვარტალში პროდუქტისასწავლებელთა ხელმძღვანელებმა ვერ დაძლიეს გეგმის შეუსრულებლობა, რადგანაც სექტემბრის ოვეში პროდუქციის გამოშვებაში მოსწავლეები არ მონაწილეობდნენ.

გეგმის შესრულების საერთო მაჩვენებლებს თუ განვიხილავთ დარგობრივ კრილში ასეთ სურათს მივიღებთ:

1. მანქანათმშენებლობის პროფილის 46 პროდუქტისასწავლებლიდან მხოლოდ 25 პროდუქტისასწავლებელს გააჩნია საწარმოო სახელოსნო სადაც იქმნება 1,0 მლნ. მანეთის საერთო პროდუქტია.

ბოლო სამი წლის მანძილზე გეგმის შესრულების დონე საშუალოდ 106%-ს შეადგენს. საბაზო ობიექტებზე გამოქმედადების გეგმები არ სრულდება და ზრდის ტემპიც საკმაოდ დაბალია (94%). საბაზო ორგანიზაციები გადავიდნენ თვითდაფინანსებაზე, რის გამოც თანდათან რთულდება მოსწავლეთა უზრუნველყოფა ფასიანი საწარმოო პრაქტიკით. მიმდინარე წლის 9 თვის შედეგების მიხედვით საერთო პროდუქციის გეგმა შესრულდა მხოლოდ 84%-ით.

მანქანათმშენებლობის დარგის პროდუქტისასწავლებლებში არ შესრულდა დაგეგმილი ნომეკლატურის არცერთი სახე. წლის განმავლობაში გეგმის შეუსრულებლობას ჰქონდა ადგილი ლითონმკრელი ჩარხების წარმოებაში. არ მოხერხდა მაკომპლექტებელი ნაწილების მიწოდება თბილისის 6,95 წულუკიძის 8, პროდუქტისასწავლებლებზე, თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიურ ტექნიკუმზე. ქუთაისის № 4 სპტს — არ შესრულდა თუჯის სხმულის წარმოების



გეგმა 72%. წულუკიძის № 8 სპტ სასწავლებელში ძირითადი დონეების შეფერხებით მიღების გამო არ შესრულდა სამსწავლებლო ლურსმნის და მავთულბადის წარმოების გეგმა. საერთო პროდუქციისა და საბაზო ობიექტებზე გამომუშავების გეგმები ვერ შეასრულეს: თბილისის 5, 32, 26, 95, 111, 60, 65, ლანჩხუთის 48, რუსთავის 162, ქუთაისის 145 და 112 პროფტექსასწავლებლებში, თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიურ ტექნიკუმში.

2. მსუბუქი მრეწველობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და ვაჭრობის დარგის 35 პროფტექსასწავლებლიდან 18 სასწავლო-საწარმოო სახელოსნოში ყოველწლიურად იქმნება 2,2 მლნ. მანეთის სასაქონლო პროდუქცია. გეგმის ზევით წარმოებულა 521,0 ათ. მანეთის პროდუქცია. საბაზო ორგანიზაციებში გამომუშავების ძხრივ, გეგმის შესრულების დონე საშუალოდ 112%-ია, მაგრამ ბოლო წლებში ზრდის ტემპი საგრძნობლად შემცირდა. მისი კლება გამოიწვია ბოლო წლებში კონტინგენტის მიღების გეგმის შეუსრულებლობამ, რომელიც საშუალო წგუფებში 25%-ით, ხოლო ტექნიკურ წგუფებში 35%-ით მცირდება, ამის გამო სამკერვალო ნაწარმის გეგმა ბოლო ორი წლის მანძილზე 250,0 ათ. მანეთით შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მოთხოვნა კვალიფიციურ კადრებზე დიდია, მაინც არ ხერხდება საბაზო ორგანიზაციებსა და სასწავლებლებს შორის ხელშეკრულებების გაფორმება (თბილისის № 23, 74, 80, 107, სპტს). დღის წესრიგში დგას საბაზო ორგანიზაციებსა და სასწავლებლებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების საკითხი.

თბილისის № 24, 36 სპტს, თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის სახელოსნოს შრომითმა კოლექტივებმა დროულად და გადაჭარბებით უზრუნველყვეს ტრიკოტაჟის ნაწარმის (107%), საფეიქრო გალანტერიის (104%), შალის ნართის (114%) ქალის წინდების (169%) გამოშვების გეგმების შესრულება. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გეგმას გადააჭარბეს 400,0 ათ. მანეთით.

მიმდინარე წლის პირველი ნახევრის შედეგებით სამკერვალო პროდუქციაზე საერთო დანაკლისმა პირველ ნახევარში შეადგინა 74,0 ათ. მან. რასაც დაემატა სექტემბრის თვეში გამოსაშვები 88,0 ათ. მანეთის მოცულობაც და საერთო შეუსრულებლობამ შეადგინა 162,0 ათ. მანეთი ანუ გეგმის 31%.

სამკერვალო ნაწარმის გამოშვების გეგმა არ შესრულდა ვანის № 68, მაიაკოვსკის № 69, თბილისის № 80, სენაკის № 66, კულაშის



№ 92 პროფტექსასწავლებლებში, თბილისის ინდუსტრიულ პედაგოგიურ ტექნიკუმში. გეგმის შეუსრულებლობა ძირითადი და დადამატებითი ხმარე მასალების დეფიციტმა გამოიწვია.

3. მშენებლობის პროფილის 35 სასწავლებლიდან 20 სასწავლებელი სასწავლო-საწარმოო სახელოსნოში ყოველწლიურად ქმნის 300,0 ათასი მანეთის პროდუქციას, ხოლო საბაზო ობიექტებზე გამოქმნეული თანხა 1,3 მლნ. მანეთია. სასწავლო-საწარმოო სახელოსნოში გეგმის შეუსრულებლობა სამშენებლო მასალების უქონლობამ გამოიწვია. პროფესიული დაოსტატების მიზნით, მოსწავლეთა ძირითადი ნაწილი პრაქტიკის პერიოდში საბაზო ორგანიზაციებში დასაქმდა, შედეგად მივიღეთ გამოქმნეული გეგმიური თანხის დიდი გადაჭარბება (საშუალოდ 100,0 ათ. მანეთი წელიწადში). შიშდინარე წლის საანგარიშო პერიოდში საერთო პროდუქციის მოცულობას დააკლდა 25,0 ათ. მანეთი, ხოლო საბაზო ობიექტებზე გამოქმნეულ თანხას 59,0 ათ. მანეთი. გეგმა შესრულდა 93%-ით. გეგმის შესრულება ვერ უზრუნველყვეს ქუთაისის 21, ძარხეულის 70, თბილისის 71, ცხინვალის 78, ბათუმის 105, თბილისის 108, რუსთავის 142 პროფტექსასწავლებლებმა.

სახალხო განათლების სისტემის სასწავლო დაწესებულებებმა და სამეურნეო ორგანიზაციების კოლექტივებმა წარმატებით უზრუნველყვეს სახალხო მოხმარების საქონლის 1989 წლის 9 თვის გეგმის შესრულება (დანართი № 3). ნაცვლად დაგეგმილი 3202,0 ათ. მანეთისა გამოშვებულია 3500,0 ათ. მანეთის პროდუქცია, რაც დაახლოებით 300,0 ათ. მანეთით მეტია გეგმაზე და შეადგენს 109%-ს. ზრდის ტემპი გასულ წელთან შედარებით 109%-ია. მე-XII-ე ხუთწლედის განვლილ პერიოდში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება გაიზარდა 45%-ით, ნაცვლად ხუთწლედის გეგმით გათვალისწინებული 19%-სა. გეგმის ზევით წარმოებულია 1855,0 ათ. მანეთის პროდუქცია.

მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანი მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილების მიზნით საჭიროა საწარმოთა ხელმძღვანელებმა გააუმჯობესონ გამოსაშვები პროდუქციის ხარისხი, სამრეწველო პროდუქციაზე დაამუშაონ ახალი მოდელები და გადაახალისონ პროდუქციის ასორტიმენტი.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო 3 წლის მანძილზე მოსახლეობის ფასიანი მოძსახურების რეალიზაციის გეგმა 2-ჯერ გაიზარდა, ნაცვლად ხუთწლედის გეგმით გათვალისწინებული 1,5-ისა.



გეგმიური დავალებების ასეთი ტემპით ზრდა წინ უსწრებს მდ-  
სი უზრუნველყოფის რეალურ შესაძლებლობებს, რის გამოც გეგმის  
შესრულების დონე საშუალოდ 92%-ს შეადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ გასული წლის შესრულება 13,0 მლნ.  
მახეთია, მიმდინარე წელს რესპუბლიკის საგეგმო კომიტეტმა დაგ-  
ვიმტიცა 16,0 მლნ. მანეთი, აქედან 2,0 ათ. მანეთი დაგვიგეგმა გა-  
ნათლების სისტემაში არსებული კოოპერატივების შემოსავლების  
გათვალისწინებით. მიმდინარე წლის გასულ პერიოდში კოოპერა-  
ტივების შემოსავალმა შეადგინა 77,0 ათ. მანეთი ანუ გეგმის  
14,7%.

9 თვის მაჩვენებლების მიხედვით მოსახლეობის ფასიანი მომ-  
სახურების რეალიზაციის გეგმა იყო 13,4 მლნ. მანეთი. ფაქტიუ-  
რად შესრულდა 8,9 მლნ. მან., რაც 4,5 მლნ. მანეთით ნაკლებია  
და შეადგენს 66,4%-ს. (დანართი № 4). მესამე კვარტალში მუხი-  
კალურ სტუდიებში დაგეგმილი 1,3 მლნ. მანეთი არ შესრულდა  
სასწავლო დაწესებულებებში არდადეგების ოქტომბრამდე გავრ-  
ძელების გამო.

სკოლამდელი დაწესებულებების შემოსავლების გეგმას დააკლ-  
და 500,0 ათ. მანეთი. უნდა აღვნიშნოთ, რომ წლების მანძილზე  
სკოლამდელ დაწესებულებებში მშობელთა გადასახადი, რომელიც  
საერთო გეგმის 42%-ს შეადგენს, სახელმწიფო საგეგმო კომიტე-  
ტის მიერ არასწორად იგეგმება. 1988—1989 წლებში ფაქტიურად  
გადახდილი თანხა რესპუბლიკაში საშუალოდ 1 ბავშვზე 37—38  
მახეთია, ხოლო საგეგმო კომიტეტიდან გვიმტიცდება 60 მანეთი,  
რის გამოც მთელ რიგ რაიონებში, გეგმიური მაჩვენებელი ხელოვ-  
ნურად არის გაზრდილი.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სკოლამდელ დაწე-  
სებულებებში გადასახადისაგან თავისუფლდებიან ის მშობლები,  
რომელთა ოჯახის თითოეულ წევრზე შემოსავალი თვეში 60 მა-  
ნეთი და მასზე ნაკლებია.

მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა და გაფართოვდა  
საყოფაცხოვრებო მომსახურების სფერო. გეგმიური მაჩვენებლის  
ზრდის ტემპი 126%-ია, ხოლო ფაქტიურისა 275%. გაიზარდა სა-  
ყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ქსელი, 18 ორგანიზა-  
ციაში პირველად დაიგეგმა საყოფაცხოვრებო მომსახურება, საი-  
დანაც მიმდინარე წელს შემოსავლებმა 90,0 ათასი მანეთი შეად-  
გინა. დაინერგა მომსახურების ახალი სახეები, როგორცაა ქიმწ-  
მენდისა და სამრეცხაოს მომსახურება. მიუხედავად გატარებული



ლონისძიებებისა საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმა შესრულდა 80%-ით. გეგმას დააკლდა 53,0 ათ. მანეთი, რაც ძირითადად გამოწვეულია საამშენებლო მასალების დეფიციტთან. სახალხო განათლების სისტემის ორგანიზაციების უმეტეს ნაწილს ჯერ კიდევ არ უჭირავს აქტიური პოზიციები მოსახლეობის ფასიანი მომსახურების საქმეში. მიუხედავად დამტკიცებული გეგმებისა თბილისის პოლიტექნიკურ ტექნიკუმს, გორის 151 სპტს, თბილისის ინდუსტრიულ პედაგოგიურ ტექნიკუმს, წულუკიძის 9 სპტს, სურამის 14, ენისელის № 2, თბილისის 110, მაიაკოვსკის № 69 სპტს, რუსთავის № 17 სპტს სასწავლებლების ხელმძღვანელებმა ვერ გაუწიეს ორგანიზაცია ფასიანი მომსახურების სამუშაოებს, გასულ პერიოდში ვერ უზრუნველყვეს დამტკიცებული გეგმების შესრულება.

სახალხო განათლების განყოფილებები სუსტად იყენებენ თავიანთ უფლებებს ამ მეტად მნიშვნელოვანი მიმართულებით. არ არის გამოყოფილი პასუხისმგებელი მუშაკი ფასიანი მომსახურების საკითხებზე, რის გამოც სისტემატურად ირღვევა სააღრიცხვო დისციპლინა. ორგანიზაცია-დაწესებულებების ხელმძღვანელები არ უწევენ კონტროლს სამინისტროში გამოსაგზავნი საანგარიშგებო მასალების წარმოდგენის საკითხს. დღეისათვის 50%-ს არ აქვს წარმოდგენილი ადგილობრივ აღმასკომებთან შეთანხმებული 1990 წლის გეგმის პროექტი.

1989 წლის პირველი ნახევრისა და 9 თვის შედეგების მიხედვით გეგმის შესრულება ვერ უზრუნველყვეს ქუთაისის (82%), გორის (81%), ტყიბულის (76%), ადიგენის (78%), ბოგდანოვკის (64%), ბოლნისის (46%), მარტვილის (68%); ოზურგეთის (71%), სამტრედიის (69%), ხაშურის (58%) სახალხო განათლების განყოფილებებმა, თბილისის სახ. უნივერსიტეტმა, სარემონტო სამშენებლო სამხარტველომ № 2 და № 3 (5%).

**საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს  
კოლეგიის 1989 წლის 30 ნოემბრის  
გ ა ლ ა წ ყ ვ ე ბ ი ლ ე ბ ა**

**1988-89 სასწავლო წელს დაწყებითი სამხედრო მომზადების  
შედგენისა და ახალი სასწავლო წლის ამოცანების შესახებ**

კოლეგია აღნიშნავს, რომ 1988-89 სასწავლო წელს დაწყებითი სამხედრო მომზადება ტარდებოდა 1866 საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, 125 პროფტექნიკურ სასწავლებელში და 19 საშუალო სპეციალურ სასწავლებელში, სადაც ღსმ გადიოდა 148.842 მოსწავლე, მათ შორის 89212 ქაბუკი.

სასწავლო წლის განმავლობაში სახალხო განათლების ორგანოების ძიერ სამხედრო კომისარიატებთან და სხვა დაინტერესებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად ჩატარებულია გარკვეული ძუშაობა მოსწავლე ახალგაზრდობის დაწყებითი სამხედრო მომზადების, ფიზიკური და სამხედრო პატრიოტული აღზრდის სრულყოფისათვის ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების, ახალგაზრდობის დაწყებითი სამხედრო მომზადების შესახებ დებულებისა და პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად. რამდენადმე მიღწეულია გაუმჯობესება სამხედრო ხელმძღვანელთა ხარისხობრივ შეძადგენლობაში, აგრეთვე დაწყებითი სამხედრო და ფიზიკური მომზადების სასწავლო-მატერიალური ბაზის შექმნასა და სრულყოფაში.

ამასთან ერთად საჭიროა აღინიშნოს, რომ საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის დონე ჯერ კიდევ დაბალია.

რესპუბლიკაში შექმნილი ცნობილი მდგომარეობის გამო 1988 წლის დეკემბრის თვიდან საშუალო სასწავლებლებიდან ამოღებულია სატაბელო იარაღი და მცირეკალიბრიანი შაშხანები. ამის შედეგად პრაქტიკული მეცადინეობების ნაწილი ღსმ პროგრამის ისეთი თავებიდან, როგორცაა საცეცხლე, ტაქტიკური და სამწ-



ყობრო მოშადება, არ ჩატარებულა. ამავე მიზეზით არ ყოფილა ჩატარებული რესპუბლიკის რიგი რაიონებისა და ქალაქების შუალო სასწავლებლების უფროსკლასელ ქაბუკთა სასწავლო-სავლე შეკრებები.

იგივე მიზეზით ზოგიერთი სასწავლებლის მოსწავლეებთან არ ჩატარებულა 4 (ოთხი) მოსამზადებელი ვარჯიში მცირეკალიბრიანი შაშხანებიდან სროლაში, რაც უარყოფითად მოქმედებს კალაშნიკოვის ავტომატიდან საბრძოლო ვაზნებით სროლების ხარისხზე.

ამრიგად, რესპუბლიკის საშუალო სასწავლებლებში მოსწავლეთა დაწყებითი სამხედრო მომზადების პროგრამა შესრულებულია არაძთლიანად (მთლიანად ვერ შესრულდა).

ამავე გარემოებებმა უარყოფითი გავლენა მოახდინეს ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ზოგიერთ ფორმასა და მეთოდზე.

მნიშვნელოვნად შემცირდა ქვეყნის სამხედრო სასწავლებლებში შემსვლელი ახალგაზრდების რაოდენობა, ხოლო ზოგიერთმა ჩარიცხულმა, მათ შორის კ. ნ. ლესელიძის სახელობის სპეცკოლანტერნატის კურსდამთავრებულმა, მიატოვა სამხედრო სასწავლებელი სწავლის სურვილის არქონის გამო. გასაწვევი ახალგაზრდობის ნაწილმა უარი განაცხადა რესპუბლიკის ფარგლებს გარეშ ნამდვილი სამხედრო სამსახურის გავლაზე.

დაყოვნებით წყდება საშუალო სასწავლებლების სამხედრო ხელმძღვანელთა კადრების ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების საკითხი. მათ შორის 8,6% თადარიგის სერჟანტები და რიგითებიც კი არიან, რომელთაც არ შეუძლიათ მთლიანად შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობანი.

ამ საქმეში განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაა ქ. ტყვარჩელში (50%), ჯავის (50%), წალკის (44,1%), ხარაგაულის (30%), თეთრიწყაროს (23,5%), მესტიის (21%) და ზოგიერთ სხვა სასოფლო რაიონებში. და ეს მაშინ, როცა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის სამხედრო ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა 50%-ზე მეტი არ მუშაობს ძილებული სპეციალობით (დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი) იმის გამო, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა არის კახეთის ზონის მცხოვრებნი და სხვა შორეულ რაიონებში წასვლა არ სურთ, ხოლო იმათ, ვინც წავიდა სამუშაოდ სხვა რაიონში, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები არ უქმნიან ნორმალურ საყოფაცხოვრებო პირობებს, რის შედეგადაც ისინი არ მაგრდებიან ადგი-



ლებზე. ყველა რაიონი და ქალაქი როდი ატარებს სათვალველ მუშაობას თელავის პედინსტიტუტის ზემოაღნიშნულ ფაქულტეტზე კახიდატების შესარჩევად და გასაგზავნად.

რესპუბლიკის რიგ საშუალო სასწავლებლებში არადამაკმაყოფილებელია მუშაობა დაწყებითი სამხედრო და ფიზიკური მომზადების სასწავლო-მატერიალური ბაზის შექმნისა და სრულყოფისათვის. ცოტაა სასროლი ტირები (43,3%), სატანვარჯიშო ქალაქები (40,2%), წინაღობათა წოლები (19,2%). ყველაფერი ეს კი ერთად აღებული შედის სასწავლო-მატერიალური ბაზის მთლიან კომპლექსში ახალგაზრდობის მოსამზადებლად სსრკ შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის. რესპუბლიკის 100-ზე მეტ საშუალო სასწავლებელს დღემდე არა აქვს იარაღის შესანახი ოთახი.

ამ საკითხში უფრო ცუდადაა დაყენებული საქმე ახალქალაქის, ახმეტის, მარნეულის, მესტიის, წალენჯიხისა და ზოგიერთ სხვა რაიონებში.

არ შესრულებულა სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილება თავდაცვითი სპორტული გამაჯანსაღებელი ბანაკების ორგანიზაციის შესახებ 1989 წელს გარდაბნის, ბორჯომის, ყვარლის, ლაგოდეხის, თელავის, ჩხოროწყუს რაიონებში.

არაა შესამჩნევი გაუმჯობესება წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ჭაბუკებთან რუსული ენის შესწავლაში, განსაკუთრებით მაღალმთიანი სოფლის რაიონებში.

აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით

კოლეგიამ გადაწყვიტა:

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახალხო განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებების გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა:

1.1. თავიანთ სხდომებზე განიხილონ 1988—1989 სასწავლო წლის დაწყებითი სამხედრო მომზადების, სამხედრო-პატრიოტული აღზრდის შედეგები, დასახონ კონკრეტული ღონისძიებები არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და უზრუნველყონ ახალგაზრდობის სამხედრო და ფიზიკური მომზადების ღონის ამაღლება 1989-90 სასწავლო წლებში;

1.2. უზრუნველყონ დაწყებითი სამხედრო მომზადების პროგრამის სრულად და ხარისხიანად შესრულება, იდეური და საორგანიზაციო მეთოდური ღონის ამაღლება, მოსწავლეთა მიერ დაწყებითი სამხედრო მომზადების გაკვეთილებზე ყველა მოთხოვნის



დაცვა და ამის ნიადაგზე მათ მიერ სამხედრო საქმის საფუძვლებზე (კონსტრუქციისა და ჩვევების შედგენა პროგრამის ფარგლებში;

1.3. რესპუბლიკის იმ ქალაქებში და რაიონებში, სადაც 1990 წლის 1-ლი ივნისისათვის შექმნილი იქნება თავდაცვითი-სპორტული გამაჯანსაღებელი ბანაკები, მოსწავლეთა დაწყებითი სამხედრო მომზადების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მე-10 კლასებში, საშუალო სპეციალური სასწავლებლების შესაბამის კურსებზე და სპტ-ში დაიგეგმოს და ჩატარდეს 1987 წლის პროგრამით, ყველა დანარჩენ სასწავლო დაწესებულებებთან დაწყებითი სამხედრო მომზადება დაიგეგმოს 1981 და 1986 წლების დ. ს. მ. პროგრამებით;

1.4. გააქტიურდეს მუშაობა სამხედრო ხელმძღვანელთა კადრების ხარისხის გასაუმჯობესებლად აღნიშნულ თანამდებობაზე კანდიდატთა შერჩევის გზით თადარიგის გადამდგარი ოფიცრებისა და თელავის პედინსტიტუტის კურსდამთავრებულთა რიცხვიდან. ამჟამად სამხედრო ხელმძღვანელების მეთოდური მომზადების დონე, უზრუნველყოფილ იქნეს სასწავლებლებში დაწყებითი სამხედრო მომზადების, ფიზკულტურისა და სამედიცინო-სანიტარული მომზადების მეთოდური კომისიების შექმნა და მათი მუშაობა;

1.5. გაუმჯობესდეს მუშაობა მოსწავლე-ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში, რისთვისაც ფართოდ იქნეს გამოყენებული ვაკეეთლის პროცესი, კლასგარეშე ჩატარებული ღონისძიებები, მუზეუმები, აღზრდის სხვა ფორმები და მეთოდები. უზრუნველყოფილი იქნეს ყველა სასწავლებელში 2—3 წრის შექმნა სამხედრო-ტექნიკურ და სამხედრო-გამოყენებითი სპორტის სახეებში;

1.6. მიღებულ იქნეს გადამჭრელი ზომები რესპუბლიკის ყველა საშუალო სასწავლო დაწესებულებაში დაწყებითი სამხედრო და ფიზიკური მომზადების სასწავლო-მატერიალური ბაზის სრულყოფისათვის სსრკ თავდაცვის სამინისტროს 1985 წლის რეკომენდაციების და სახმელეთო ჯარების მთავარსარდლის 1.03 № 453 დირექტივასთან მკაცრ შესაბამისობაში;

1.7. ყველა რაიონსა და ქალაქში 1990 წ. 15 იანვრამდე ორგანიზებულ იქნეს ქართული ენის შესწავლის კურსები იმ სამხედრო ხელმძღვანელებისათვის, რომლებიც ვერ ფლობენ მას; ამ კურსების ხელმძღვანელებად დაინიშნონ ქართული ენისა და ლიტერატურის საუკეთესო მასწავლებლები, სამხედრო ხელმძღვანელთა



მზერ ქართული ენის შესწავლის პროგრამის შემუშავების მიზნით  
 ლოს ი. გოგებაშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის.

2. ქ. ტყვარჩელის (აფხაზეთის ასსრ), ჯავის (სამხრეთ ოსეთის ა/ო), ხონის, ხარაგაულის, თეთრი-წყაროს, მესტიის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, დმანისის, ლენტეხის, მარნეულის, ვანისა და გორის რაიონების სახალხო განათლების ხელმძღვანელებს მიეთითოთ დაწყებითი სამხედრო მომზადების ხელმძღვანელობაში არსებულ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებზე, უბირველეს ყოვლისა, სასწავლო დაწესებულებების სამხედრო ხელმძღვანელობათა დაკომპლექტებაში და დაწყებითი სამხედრო, და ფიზიკური მომზადების სასწავლო-მატერიალური ბაზის შექმნასა და სრულყოფაში.

3. კოლეგიის გადაწყვეტილება დაყვანილ იქნეს რესპუბლიკის სახალხო განათლების ყველა ორგანომდე და საშუალო სასწავლო დაწესებულებამდე.

4. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების მოთხოვნათა შესრულებაზე დაევალოს მინისტრის მოადგილეს ამხ. კ. სუჯაშვილს.

კოლეგიის თავმჯდომარე, მინისტრი გ. ენუქიძე



**სამმართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროსა  
და სამმართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს  
ერთობლივი ბ რ ძ ა ნ ე ბ ა 9/46**

**საზვევების სასწავლო საწარმოთა შექმნის შესახებ**

ქართული სამზარეულოს პრესტიჟის შემდგომი ამაღლების, საზვევების სპეციალობათა პოპულარიზაციის, ასორტიმენტის გაფართოების, ძველი მივიწყებული ნაწარმის აღდგენის, ხარისხიანი, მაღალმზატვრულად გაფორმებული კულინარული ნაწარმის მომზადების, საზვევების პროფესიებისადმი მიდრეკილების მქონე სპეციალისტთა ერთ საწარმოში თავმოყრა-დაკომპლექტების, მათგან საუკეთესოთა შორის საუკეთესოების შერჩევის, დაოსტატების და შემდგომში დაწინაურების, პროფესიული კონკურს-სემინარების, საჩვენებელი-სარეკლამო ტელეგადაცემების და წარმოების პირობებში ერთობლივი პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების და აქედან გამომდინარე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა პროფორიენტაციის, საზვევებაში მათი მოზიდვა-ჩაბმის, საკავშირო და საერთაშორისო კონკურსებისათვის ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადების მიზნით;

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. თბილისის საზვევების სამმართველოს კალინინის და ლენინის რაისაზვევების ტრესტების რესტორან „არავვის“ და კაფე „ახალგაზრდულის“ ბაზაზე, კაპიტალური რეკონსტრუქციის შემდეგ ჩამოყალიბდეს საქ. სსრ სახალხო განათლების სამინისტროს საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის და საქ. სსრ ვაჭრობის სამინისტროს სასწავლო-საკურსო კომბინატის სასწავლო საწარმოები, რომლებიც ახორციელებენ მოსახლეობის მომსახურეობას არსებული წესით და სარგებლობენ სახელმწიფო საწარმოს უფლებით, სტრუქტურული დაქვემდებარების შენარჩუნებით.

1.1. საქ. სსრ ვაჭრობის სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობისა და კადრების და საზვევების სამმართველოებმა (გ. ესაძე, გ.



გორგოძე), საბჭოთა ვაჭრ. ტექნ. და სასწავლო-საკურსო კომბინატის დირექტორებმა (გ. თავართქილაძე, ნ. კერესელიძე), თბილისის საზღვების სამმართველომ, კალინინისა და ლენინის რაისაზღვევის ტრესტების ხელმძღვანელობამ (მ. ირემაშვილი, პ. ხურციძე, ა. გობეჯიშვილი) 1990 წლის 10 ოქტომბრამდე დააკომპლექტონ აღნიშნული საწარმოები 1989—1990 სასწავლო წლის წარჩინებული კურსდამთავრებული სპეციალისტებისაგან, ოსტატ-მზარეულებისა და ოსტატ-კონდიტრებისაგან.

1.2. სასწავლო საწარმოს დასაკომპლექტებლად მიიზიდონ თბილისის სახ. უნივერსიტეტის, პროფტექნიკური სასწავლებლის და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სტუდენტები და მოსწავლეები.

1.3. რესტორანი „არაგვის“ და კაფე „ახალგაზრდულის“ მომუშავე პერსონალის გადაადგილება, მათი სასწავლო-საწარმოდ გადაკეთებასთან დაკავშირებით, მოახდინონ კანონის ზუსტი დაცვით და მუშაკთა ხელფასის დღევანდელი დონის შენარჩუნებით.

2. საქ. სსრ ვაჭრობის სამინისტროს აღმზრდელითი მუშაობისა და კადრების სამმართველომ (გ. ესაძე) საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის და სასწავლო-საკურსო კომბინატის დირექტორებმა (გ. ესაძე, გ. თავართქილაძე, ნ. კერესელიძე), მოახდინონ საქმიანი თამაშისათვის ახალგაზრდა სპეციალისტთა მონაცვლეობით მიმავრება რესტორან „არაგვის“ და კაფე „ახალგაზრდულის“ გამოცდილ მუშაკებზე.

3. თბილისის საზღვების სამმართველოს რაისაზღვევის ტრესტების ხელმძღვანელებმა გაუწიონ შეფოხა და ქმედითი დახმარება ახლად ჩამოყალიბებულ სასწავლო-საწარმოს, საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის და სასწავლო-საკურსო კომბინატის დირექციის განაცხადის საფუძველზე, საწარმოო სოციალური განვითარების ფონდის ხარჯზე შეავსონ იგი სამაცივრო, სავაჭრო-ტექნოლოგიური დანადგარებით და ინვენტარ-მოწყობილობით.

4. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს შრომის ორგანიზაციის და ხელფასის, ვაჭრობის ორგანიზაციის, საგეგმო-ეკონომიკური, სასურსათო საქონლით ვაჭრობის, საფინანსო, კაპიტალური მშენებლობის, ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების სამმართველოებმა, მატერიალური რესურსებისა და ბალანსების განყოფილებამ (გ. ბაიაძე, ვ. ჩოგოვაძე, შ. სეფაშვილი, რ. ჯანელიძე, ლ. კირთაძე, ს. ბერიშვილი, ა. მალაზონია, ნ. სხირტლაძე) აღმოუჩინონ პრაქტიკული დახმარება, თბილისის საზღვების სამმართველოს, საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმისა და სასწავლო-საკურსო

კომბინატის ხელმძღვანელობას, მათ კომპეტენციაში შემავალი სასწავლებლების მოგვარებაში.

5. კალინინის და ლენინის რაისაზღვევის ტრესტების დირექციებმა (პ. ხურციძე, ა. გობეჯიშვილი) უზრუნველყონ ინვენტარ-მოწყობილობის შექმნა და პრაქტიკული ხასიათის მეცადინეობებისათვის საჭირო პირობების შექმნა.

5.1. თბილისის სამხატვრო აკადემიას არსებული წესით შეუკვეთონ მომუშავე პერსონალისათვის საჭირო სპეცტანსაცმლის ესკიზების დამზადება და წარუდგინონ განსახილველად თბილისის საზოგადოებრივი კვების სამმართველოს.

6. რესტორან „არაგვის“ და კაფე „ახალგაზრდულის“ მუშაკთა სატარიფო-საკვალიფიკაციო თანრიგების, ოსტატ-მზარეულის და ოსტატ-კონდიტერის საპატიო წოდების აღგილზე მინიჭებისა და მათი მორალურ-მატერიალური წახალისების დროულად გადაწყვეტის მიზნით, პრაქტიკაში იქნეს შემოღებული საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კულინარული საბჭოს, შესაბამისი სავაჭრო ორგანიზაციების სატარიფო-საკვალიფიკაციო კომისიების და საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმისა და სასწავლო-საკურსო კომბინატის დირექციის წარმომადგენელთა ერთობლივი მუშაობა.

7. დაისვას საკითხი (გ. გორგოძე) საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინაშე დამხმარე მეურნეობებისათვის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ, სადაც იმუშავენ სასწავლებლის მოსწავლეები და მასწავლებლები.

8. სავაჭრო დანადგარების საკავშირო ბაზამ (ფ. მაჭავარიანი) გამოყოს ინვენტარ-მოწყობილობა და დანადგარები თანახმად განაცხადისა.

9. სასწავლო საწარმოს რესტორან „არაგვის“ და კაფე „ახალგაზრდულის“ დირექტორები, მუშაკთა მატერიალური და მორალური წახალისების არსებულ ფორმებთან ერთად, იყენებენ ეკონომიკურ სანქციებს, იმ მუშაკთა მიმართ, ვინც კოლექტივის გადაწყვეტილებით იმსახურებს სასჯელს.

10. სასწავლო-საწარმოთა ხელმძღვანელები, სასწავლო პროგრამებს უთანხმებენ საქ. სსრ სახალხო განათლების სამინისტროს, საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმისა და საქ. სსრ ვაჭრობის სამინისტროს სასწავლო-საკურსო კომბინატის დირექტორებს და მათთან ერთად უზრუნველყოფენ მის შესრულებას.



11. მაკონტროლებელი ორგანოების მიერ ამ საწარმოს შემოსულების საკითხი თანხმდება საქართველოს სსრ ვაჭრობისა და სახალხო განათლების სამინისტროების ადმინისტრაციასთან.

საქართველოს სსრ სახალხო  
განათლების მინისტრი  
გ. ენუქიძე

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი  
გ. ჭინჭიბაძე

**ხასწავლო-საწარმოს მუშაკთა დაოსტატების მიზნით პრაქტიკული სწავლების მეთოდთა**

1. ხასწავლო-საწარმოს მსმენელთა პრაქტიკული სწავლება შეხამებულია თეორიულ სწავლებასთან.

2. მეცადინეობა წარმოებს თვეში 4-ჯერ, თითოეული თემის (ნაწარმის) შესწავლის ეთმობა ექვსი თვე, რომლის შემდეგ ეწყობა მსმენელთა შემაჯამებელი პრაქტიკული ერთობლივი მეცადინეობა-კონკურსი.

3. შესასწავლი ნაწარმის (თემის) შერჩევა და შესწავლა (პრაქტიკული მეცადინეობის ხანგრძლივობა), ხდება უშუალოდ მსმენელთა და დამრიგებელთა (პრაქტიკის მასწავლებელთა) მიერ.

4. სატარიფო-საკვალიფიკაციო თანრიგების, საპატიო წოდების (ოსტატი-მზარეული, ოსტატი-კონდიტერი) მინიჭება და ამ მიზნით საჭირო მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება ხდება წინასწარ დამტკიცებული განრიგით (საჭიროებისდა მიხედვით).

5. საუკეთესო სპეციალისტების სტაჟირება, კვალიფიკაციის ამაღლება და დაოსტატება, ძირითადად, ხდება ადგილზე, საწარმოში, ამასთან, მოწინავე გამოცდილების გაზიარების, სერვისის თანამედროვე მიღწევების გაცნობის და საქმიანი კონტაქტების დასამყარებლად, საუკეთესოთა შორის საუკეთესო სპეციალისტები პერიოდულად იგზავნებიან საზღვარგარეთ საუკეთესო საწარმოებში (მარკეტინგები, სწრაფი მომსახურების რესტორნები, ფირმა „მაკლონალი“, სწრაფი მომსახურების კაფე, პიტერია და ა. შ.) სტაჟირების მიზნით, ექვსი თვით ან ერთი წლით.

6. ყოველი წლის ბოლოს თითოეულ სამუშაო ადგილზე შერჩეული უნდა იქნენ ალტერნატიული კანდიდატები და მათ შორის

ტარდება საკონკურსო პრაქტიკული ხასიათის გამოცდა — ატმოსფერული ტაქსი.

7. როგორც სავალდებულო საწარმოს აქვს 1 ან 2 დასახელების საფირმო ნაწარმი, რომელთა ფერადი სურათი და ავტორის გვარი გამოკრული უნდა იქნეს თვალსაჩინო ადგილას.

8. საწარმოს აქვს ტრანსპორტის შეკვეთის ბიურო მომხმარებელთა მომსახურების და შეკვეთილი ნაწარმის სახლში მისატანად.

9. ცალკე ეწყობა შეკვეთისა და ინფორმაციის მაგიდა.

10. საწარმოს გააჩნია სხვადასხვა საარეკლო (ქართული სიმბოლიკით) სუვენირები (ძირითადად მაპროფილებელი ხასიათის), სარეალიზაციო ცენტრი.

11. სასწავლო-საწარმოს უნდა ჰქონდეს დამხმარე მეურნეობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ცოცხალი პირუტყვისათვის, რისთვისაც საჭიროა გამოიყოს ქალაქგარეთ (კრწანისში) ნაკვეთი.

11.1. ამ მიზნით ეთხოვოს ქალაქის საბჭოს აღმასკომს (ამხ. ი. ანდრიაძეს) ნაკვეთის გამოყოფა.

12. დამხმარე მეურნეობის მუშაკთა კონტინგენტი კომპლექტდება სასწავლებლის მასწავლებელთა და სტუდენტთა ახალგაზრდობის ხარჯზე, ნებაყოფლობით საწყისებზე.

13. სასწავლო-საწარმოს მომუშავე სპეციალისტები სამი წლის სტაჟირების შემდეგ იგზავნებიან სხვა საწარმოებში მაღალ თანამდებობაზე.

14. საუკეთესო მუშაკის გამოვლენა ხდება საკონკურსო შერჩევის შემდეგ.

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს  
1990 წლის 31 იანვრის ბრძანება № 47

ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაკთა „საქართველოს სსრ  
სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით  
დაჯილდოების შესახებ.

1. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფტექნიკურ, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდის სწავლების, კლას-გარეშე ფიზკულტურულ-მასობრივ, გამაჯანსაღებელ და სპორტულ მუშაობაში მობრუნებული წარმატებებისათვის, შესაბამისი სამსახურების წარდგინების საფუძველზე დაჯილდოვდნენ „საქართველოს სსრ სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით, ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები და მწვრთნელები:

1. გულაშვილი ლია მიხეილის ას. თბილისის 150-ე ბაგაბაღის აღმზრდელი.

2. გოგოლაძე ციური სიმონის ას. თბილისის 75-ე ბაგაბაღის უფ. აღმზრდელი.

3. კობრეიძე არჩილ არჩილის ძე, სამტრედიის რაიონის სოფ. იანეთის საშ. სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი.

4. მამარდაშვილი ანზორ ვალიკოს ძე, ხონის რაიონის № 2 საშ. სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი.

5. კალანდაძე მიხეილ იონას ძე, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბუჯნაარის არასრული საშ. სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი.

6. დუდუჩავა გუგუშა კლიმენტის ძე, სენაკის № 5 საშ. სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი.

7. გოძიშვილი გურამ ლაზარეს ძე, თბილისის მშენებელ-რესტავრატორთა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი.



8. გავოშიძე ნოდარ აბიბოს ძე, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის ხელმძღვანელი.

9. ლომთაძე თენგიზ ალექსანდრეს ძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის უფროსი მასწავლებელი.

10. საბაური დალი გიორგის ასული, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი.

11. შიუქაშვილი დავით გოდერძის ძე, თბილისი, კრივი-მწვრთნელი.

12. მავრანგელოვი ალექსი ქრისტეფორეს ძე, თბილისი, აკრობატიკა—მწვრთნელი.

13. ყაზარაშვილი თემო მიხეილის ძე, თბილისი კლასიკური ჭიდაობა — მწვრთნელი.

2. წლის საუკეთესო სპორტსმენებად დამტკიცებულ იქნენ:

1. ხეთაგური ელგუჯა სულიკოს ძე, თბილისი — აკრობატიკა.

2. დარჩია დიანა ოთარის ასული, ბათუმი — ჭადრაკი.

3. დვალაძე ნაიბ ალექსანდრეს ძე, თბილისი — კლასიკური ჭიდაობა.

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს  
1990 წლის 6 თებერვლის ბრძანება № 59

ახალ ეკონომიკურ პირობებში რესპუბლიკის პროფესიულ-  
ტექნიკურ სასწავლებლებში მანქანათმშენებელი საწარმოე-  
ბისათვის კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადების  
გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერს-  
პექტივებში, სამეურნეო ანგარიშის, თვითანაზღაურებისა და თვით-  
დაფინანსების დანერგვამ, თვალსაჩინოდ გამოკვეთა პროფესიულ-  
ტექნიკურ სასწავლებლებში მუშათა კადრების, მათ შორის, მანქა-  
ნათმშენებლობისათვის სპეციალისტთა მომზადების პრობლემები.  
უპირველესად გამოიხატა შეუსაბამობა მუშათა კადრებზე წარ-  
მოების რეალურ მოთხოვნებს, ახალგაზრდობის რესურსებსა და  
ფაქტიურ მომზადებას შორის, რამაც შექმნა დარგობრივ-რეგიონა-  
ლურ ქსელში ზოგან მუშათა კადრების სიჭარბე, ზოგან კი მათი  
დეფიციტი.

ასე მაგალითად, საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“, დი-  
შიტროვის სახელობის საავიაციო-საწარმოო გაერთიანების, საწარ-  
მოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“, თბილისის ელექტრო-  
ვაგონმშენებელი ქარხნის, 26 კომისრისა და კამოს სახელობის  
მანქანათმშენებელი ქარხნების დაკვეთით თბილისის №№ 5, 6, 26,  
32, 95 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში საშუალოდ ყო-  
ველწლიურად მზადდება 700—800 ახალგაზრდა მუშა. აღნიშნულ  
საწარმოთა სამეურნეო ანგარიშზე გადასვლასთან დაკავშირებით,  
წარმოებაში საქმდება კურსდამთავრებულთა მხოლოდ 40%. 1989  
წელს აღნიშნული საწარმოებისათვის მომზადდა 700-მდე სპეცია-  
ლისტი, მაშინ როდესაც საწარმოებს საშუალება აქვთ სამუშაოზე  
შიილონ დაახლოებით 280. ანალოგიური მდგომარეობაა რესპუბ-  
ლიკის ბევრ სხვა საწარმოშიც. ბოლო ორი წლის მანძილზე პროფ-  
ტექნიკურ სასწავლებლებში დაინერგა მუშათა კადრების მომზა-

დება საწარმოებთან უშუალო ხელშეკრულების მეთოდით, მაგრამ ეს ხელშეკრულებები, ჯერ კიდევ, არასრულყოფილია და ზუსტად არ ასახავენ წარმოების რეალურ მოთხოვნებს, არ ითვალისწინებენ მისი გახვითარების პერსპექტივებს, საწარმოო-ტექნიკურ პროგრესს. სასწავლებლებში მუშა კადრების მომზადების არსებული პრაქტიკა, ძირითადად, არ პასუხობს წარმოების მოთხოვნებს, დაბალია სასწავლებლის კურსდამთავრებულთა დამკვიდრება წარმოებაში, ცალკეულ სასწავლებლებში სწავლების შინაარსი და ხარისხი არ შეესაბამება საწარმო-ტექნოლოგიურ ციკლს, სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის ამოცანებს. უმეტეს საწარმოებში არ გამოიყენება მოსწავლეთა წახალისების ფორმები, არ არის განსაზღვრული მოსწავლეთა შრომის ანაზღაურების ფორმები და სისტემები.

მანქანათმშენებლობის პროფილის სასწავლებლებში საწარმოო სწავლებისა და პრაქტიკის პერიოდში ნაკლებად გამოიყენება ბრიგადული და საიჯარო ფორმები, რაც ვერ უზრუნველყოფს ახალ ეკონომიკურ პირობებში კონკურენტუნარიანი, მაღალი კვალიფიკაციის მუშა-სპეციალისტთა მომზადებას. რიგ სასწავლებლებში (№№ 26, 49, 51, 60, 174) სუსტია სასწავლო მატერიალური ბაზა, მეურნეობრიობის ახალი ფორმების გამოყენების პირობებში უკანასკნელ პერიოდში საბაზო საწარმოები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას და მათი დახმარება ატარებს ეპიზოდურ ხასიათს. საერთოდ შეწყდა საწარმოთა მიერ სასწავლებლებისათვის ჩარხდანადგარების გამოყოფა, მაშინ, როდესაც მანქანათმშენებელი დარგის სასწავლებლების სასწავლო სახელოსნოებს გააჩნიათ ლითონმჭრელი ჩარხების საჭირო რაოდენობის მხოლოდ 70%, მათ შორის, 50% საექსპლოატაციო ვადების ამოწურვის გამო, შესაცვლელია.

არცერთ სასწავლებელს, რომლებიც ამზადებენ კადრებს უახლესი ტექნიკის მომსახურებისათვის (№№ 1, 3, 4, 48, 89, 95), გარდა № 6 სასწავლებლისა არ გააჩნია სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მათი მაღალხარისხოვნად სწავლებისათვის.

სწავლების ახალი ეფექტური ფორმების და მეთოდების ძიება, მუშაობის მოწინავე მეთოდების დანერგვა, პროფესიულ-ტექნიკური ციკლის საგნების სასწავლო პროგრამებში ნაკლებად შეაქვთ დამატებითი მასალა ახალ ტექნიკაზე, ტექნოლოგიასა და შრომის მოწინავე მეთოდებზე.



საწარმოო სწავლების ოსტატთა გარკვეულ ნაწილს არა გააჩნია  
სათახადო კვალიფიკაცია და პედაგოგიური გამოცდილება, არაა  
სათახადო სატარიფო-საკვალიფიკაციო თანრიგი იმ პროფესიაში,  
რომელსაც ასწავლის.

გადასინჯვას მოითხოვს მანქანათმშენებლობის პროფესიების  
სწავლებისათვის ინჟინერ-პედაგოგიური კადრების მომზადების, გა-  
დამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ფორმები, შინაარსი  
და მეთოდები.

ახალი ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით გადასამუ-  
შავებელია პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მოსამზადე-  
ბელი პროფესიების ხუსხა, სასწავლო გეგმები და პროგრამები. ამ  
თვალსაზრისით, კრიტიკას ვერ უძლებს საშუალო პროფტექსასწავ-  
ლებლებში ეკონომიკური ცოდნის საფუძვლების სწავლების საკით-  
ხები.

### აღნიშნულიდან გამომდინარე გ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს ზოგადსაშუალო და პროფესიულ-ტექნიკური გა-  
ნათლების სამმართველოს (ამხ. ამხ. ა. ეჯიბაძე, თ. კიკნაძე), საგეგ-  
მო საფინანსო სამმართველოს (ამხ. ი. ისაშვილი).

1.1. საქართველოს სსრ მრომის სახელმწიფო კომიტეტისა და  
დარგობრივი სამინისტროს წარმომადგენელთა მონაწილეობით სა-  
ქართველოს საწარმოო ძალთა განვითარების გეგმის გათვალისწი-  
ნებით დაამუშაოს რესპუბლიკის მანქანათმშენებელი, მათ შორის  
ახლადმშენებარე და რეკონსტრუირებული საწარმოებისათვის პრო-  
ფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში კვალიფიციურ მუშათა კად-  
რების მომზადების პერსპექტივები.

1.2. სამეცნიერო მეთოდურ ცენტრთან (ამხ. ა. კაპანაძე), შრო-  
მის სახელმწიფო კომიტეტთან, დარგობრივ პროფკავშირებთან და  
საბაზო საწარმოებთან ერთად გადასინჯოს პროფესიულ-ტექნიკურ  
სასწავლებლებში მოსამზადებელი პროფესიების ნუსხა და ადგი-  
ლობრივი პირობების გათვალისწინებით უზრუნველყოს მისი კო-  
რექტირება, გადამუშავება და შეფასება.

1.3. ორგანიზაცია გაუკეთოს შეხვედრებს მსხვილ საბაზო ორ-  
განიზაციის ხელმძღვანელებთან ახალ ეკონომიკურ პირობებში თი-  
თოეული სასწავლებლის განვითარების პერსპექტივების განსაზღვ-  
რის მიზნით, იმ ვარაუდით, რომ, უპირველესად, მოგვარდეს სას-  
წავლებლის სასწავლო-მატერიალური ბაზის განვითარების, მოს-



წავლეთა შრომის ორგანიზაციის, შრომის ანაზღაურების, ახალი ტექნიკის ათვისების პრობლემური საკითხები.

1.4. შეისწავლოს და განაზოგადოს ახალ ეკონომიკურ პირობებში მანქანათმშენებელი საწარმოებისა და მათი საბაზო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მუშაობის საუკეთესო გამოცდილება.

1.5. საწარმოო ტექნიკურ განყოფილებასთან ერთად დაამუშაოს მანქანათმშენებელი პროფილის სასწავლებლებში შრომის ორგანიზაციის ახალი მეთოდების გამოყენების, სასწავლო სახელოსნოებში ახალი პროდუქციის დანერგვისა და ნაწილობრივ სამეურნეო ანგარიშების გამოყენების საკითხები.

1.6. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებასთან ერთად შეიმუშაოს ღონისძიებები პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ეკონომიკური ცოდნის საფუძვლების სწავლების ახლებურად წარმართვის მიზნით.

2. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დირექტორებმა ახალი ეკონომიკურ პირობების შესაბამისად,

— ინჟინერ-პედაგოგიურ და მოსწავლეთა კოლექტივებში დასახონ ღონისძიებები სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით;

— თითოეულ კონკრეტულ ვითარებაში მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა, მეცნიერ-მუშაკთა შრომითი კოლექტივებისა და სასწავლებლების საზოგადოებრივი საბჭოების მონაწილეობით, მოწინავე გამოცდილების შესწავლისა და გამოყენების საფუძველზე, მუშაობის ახლებურად წარმართვისათვის შეიმუშაონ რეალური პროგრამა და პერსპექტივები.

— საბაზო ორგანიზაციებთან ერთად, მათ თვითანაზღაურებაზე და თვითდაფინანსებაზე გადასვლასთან დაკავშირებით დასახონ ღონისძიებები სათანადო სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიზნით.

3. უმაღლესი, საშუალო სპეციალური განათლებისა და მეცნიერების სამმართველომ (ჯ. კორძაია, გ. შავგულიძე) გადასინჯონ თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში მანქანათმშენებელი პროფილის პედაგოგთა მომზადების სასწავლო გეგმები და პროგრამები. სათანადო ყურადღება გაამახვილონ პრაქტიკული სწავლების და ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებაზე.

4. ეთხოვოს საქართველოს მინისტრთა საბჭოს:

— საქართველოს სსრ საწარმოო ძალთა განვითარების გეგმების საბოლოო სახით შემუშავებისას გაითვალისწინოს მასში პროფე-



სიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მუშათა კადრების მომზადებისათვის საჭირო სასწავლო მატერიალური ბაზის შექმნა სათანადო ლითონდამამუშავებელი ჩარხ-დანადგარების გამოყოფით.

5. დადგენილებაზე შესრულების კონტროლი დაევალოს ზოგადსაშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველოს (ამხ. ა. ეჯიბაძე).

კოლეგიის თავმჯდომარე, მინისტრი გ. ენუქიძე

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს  
1990 წლის 16 თებერვლის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 77

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს 1989 წლის 14 ივლისის № 17/235 ცირკულარული წერილით სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებზე დაშვებული სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის 27.04.89 წ. № 16 საინსტრუქციო წერილთან დაკავშირებით შემოსული შეკითხვების პასუხად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. უფლება მიეცეთ სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს შემოიღონ ფსიქოლოგის თანამდებობა სკოლამდელ დაწესებულებებში, სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საშუალო სპეციალურ და პროფესიულ-ტექნიკურ განათლების დაწესებულებებში.

2. ფსიქოლოგის თანამდებობაზე დაინიშნონ პირები, რომლებმაც მიიღეს „ფსიქოლოგის“ საკვალიფიკაციო მოწმობა მასწავლებელთა გადამზადების სპეციალურ ფაკულტეტებზე ან დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი „ფსიქოლოგის“ სპეციალობით.

3. თანახმად სსრკ შრომისა და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს 1987 წლის 15 სექტემბრის № 558/26—34 დადგენილებისა ფსიქოლოგის თანამდებობრივი განაკვეთი განისაზღვროს 130—170 მანეთით თვეში.

კოლეგიის თავმჯდომარე, მინისტრი გ. ე ნ უ ქ ი ძ ე

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს  
1989 წლის 20 სექტემბრის ბრძანება № 556

სამინისტროს აპარატის სტრუქტურაში ზოგიერთი  
ცვლილების შეტანის შესახებ

სახალხო განათლების სისტემაში ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის ოპტიმალურ რეალიზაციაში აპარატის საქმიანობის სრულყოფის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეიქმნას ეროვნული სახელმწიფო პროგრამების კოორდინაციის განყოფილება შემდეგი საშტატო ერთეულებით:

განყოფილების უფროსი — 1

მთავარი ინსპექტორი — 1

უფროსი ინსპექტორი — 1

2. გადაკეთდეს საზოგადოებრივი მეცნიერების სწავლების განყოფილება საზოგადოებრივ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კვლევითი ძეგობისა და სწავლების განყოფილებად და გამოეყოს აღძურდებლობითი მუშაობის სამმართველოს.

3. დასახელებული სტრუქტურული ცვლილებისათვის გამოყენებული იქნეს:

4.ა/ ხელმძღვანელი, სამეცნიერო, პედაგოგიური კადრებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სამმართველოს უფროსის მოადგილის, ქატირიალურ-ტექნიკური და სოციალური ბაზის განვითარების სამმართველოს უფროსის მოადგილისა და ზოგადსაშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველოს მთავარი ინსპექტორის ვაკანტური ადგილები.

5. დაევალოს საგვეგმო-საფინანსო სამმართველოს (ამხ. ი. ისაშვილი) აღნიშნული ბრძანების შესაბამისად შეიტანოს სათანადო ცვლილებები მ. წ. საშტატო განრიგში.



ქართული  
ენათმეცნიერება

6. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს  
მინისტრის პირველ მოადგილეს ამხ. ნ. შ. ვასაძეს.

მინისტრი გ. ენუქიძე



**სამართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს  
1989 წლის 29 სექტემბრის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 574**

**ჯანდარის მეცხოველეობის ტერიტორიაზე სასწავლო-სამეურნეო  
გაერთიანების ჩამოყალიბების შესახებ**

გარდაბნის სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის 1989 წლის 24 აგვისტოს № 280 გადაწყვეტილების (ოქმი № 11) საფუძველზე ჯანდარის მეცხოველეობის კომპლექსის ტერიტორიაზე იქმნება სასწავლო-სამეურნეო გაერთიანება, რომელიც დაკომპლექტდება მზიანეთისა და ლემშვანიერას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებით.

სასწავლო-სამეურნეო გაერთიანების მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის სრულყოფის საქმეს, მათში შრომისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას, ქართული ხალხური რეწვის მიეციყებული დარგის მაღალმხატვრული ღირებულების ქსოვილების შექმნის ტრადიციების აღორძინებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ე ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. მოწონებულ იქნეს გარდაბნის სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება ჯანდარის მეცხოველეობის კომპლექსის ტერიტორიაზე სასწავლო-სამეურნეო გაერთიანების ჩამოყალიბების შესახებ.

2. დაევალოს გარდაბნის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებას (ამხ. ა. იმნაძე):

2.1. სასწავლო წლის დაწყებამდე გადაწყვიტოს გაერთიანების ხელძღვანელის დანიშვნის საკითხი, გაერთიანების ღირებულორთან ერთად წარუდგინოს აღმასკომს სასწავლო-სამეურნეო გაერთიანების ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო საშუალო ერთეულების ნუსხა, წლის ბოლომდე დაფინანსება გაითვალისწინოს სახალხო განათლების მუშაკთა ხელფასის ფონდის ეკონომიის ფარგლებში.



2.2. უზრუნველყოს სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლის მატერიალური ბაზის მოწესრიგება, საჭირო ინვენტარითა და სასწავლო დოკუმენტაციით აღჭურვა.

3. ეთხოვოს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორატს (ამხ. გ. ჩოგოვაძე) გარდაბნის რაიონის ჯანდარის მეცხოველეობის კომპლექსის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული სასწავლო-სამეურნეო გაერთიანების სასწავლო-საწარმოო საქმიანობის წარმართვის მიზნით გაუწიოს მას სათანადო მეცნიერულ-მეთოდური და მატერიალური დახმარება.

4. დაევალოს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველოს (ამხ. ა. ეჯიბაძე) რესპუბლიკურ სამეცნიერო-მეთოდურ ცენტრთან (ამხ. ა. კაპანაძე) ერთად საჭირო პრაქტიკული დახმარება გაუწიოს სასწავლო-სამეურნეო გაერთიანებას სასწავლო პროცესისა და პრაქტიკული საქმიანობის მაღალ დონეზე წარმართვაში.

5. კონტროლი აღნიშნული ბრძანების განხორციელებაზე დაევალოს ზოგადსაშუალო და პროფტექნიკური განათლების სამმართველოს (ამხ. ა. ეჯიბაძე).

მინისტრი გ. ენუქიძე



საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს  
1989 წლის 4 თებერვლის ბრძანება № 588

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს  
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა  
X რესპუბლიკური სპარტაკიადის შედეგების შესახებ

1989 წლის 3 იანვრიდან 15 მაისის ჩათვლით მიმდინარეობდა სახალხო განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა X რესპუბლიკური სპარტაკიადი, რომელიც მიეძღვნა კომკავშირის 70-ე წლისთავს.

სპარტაკიადამ ცხადყო, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებათა აღსაზრდელებს შორის ფიზკულტურული და სპორტულ-მასობრივი მუშაობა ნაწილობრივ გაუმჯობესდა.

სკოლა-ინტერნატების X რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 47 სკოლა-ინტერნატის ფიზკულტურული კოლექტივის 1477 აღსაზრდელმა.

საშუალო სკოლა-ინტერნატებს შორის პირველი ადგილი დაიკავა ქ. ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკურმა სკოლა-ინტერნატმა (დირექტორი ი. ბაკურაძე, ფიზიკური კულტურის მასწავლებელი გ. ონიანი), მეორე ადგილი — ცხინვალის სკოლა-ინტერნატმა (დირექტორი ლ. პარასტაევი, ფიზიკური კულტურის მასწავლებელი რ. კოკოვეი), მესამე ადგილი — ქ. ქუთაისის სამუსიკო სკოლა-ინტერნატმა (დირექტორი გ. ბურჯანაძე, ფიზიკური კულტურის მასწავლებელი მ. თათარაშვილი).

არასრულ სკოლა-ინტერნატებს შორის პირველი ადგილი დაიკავა ვაგრის რაიონის განთიადის № 2 სკოლა-ინტერნატმა (დირექტორი ი. უსტაბაშიდი, ფიზიკური კულტურის მასწავლებელი ს. მუშკუდიანი), მეორე ადგილი — ლაგოდეხის სკოლა-ინტერნატმა (დირექტორი ე. კაპანაძე, ფიზიკური კულტურის მასწავლებელი ლ. ბაინდური), ხოლო მესამე ადგილი — ქ. ოზრუგეთის სკოლა-



ისტერნატმა (დირექტორი ლ. ქილიფთარი, ფიზიკური კულტურის მასწავლებელი ო. სიხარულიძე).

სპარტაკიადის ცალკეულ სახეობებში საშუალო სკოლა-ინტერნატებს შორის ჩემპიონები გახდნენ: ქ. თბილისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის კალათბურთელი ჭაბუკები და მოჭადრაკეები; ცხინვალის ფრენბურთელი გოგონები და ჭაბუკები, ბროწეულას ფეხბურთელები და კალათბურთელი გოგონები; ქ. ქუთაისის საშუსიკო სკოლა-ინტერნატის მაგიდის ჩოგბურთელები; გურჯაანის რ-ის კაჭრეთის სკოლა-ინტერნატის მძლეოსნები.

არასრულ სკოლა-ინტერნატებს შორის სპარტაკიადის ცალკეულ სახეობებში ჩემპიონები გახდნენ: ლენინგორის სკოლა-ინტერნატის ფრენბურთელი გოგონები და მძლეოსნები, ბაბუშერას სკოლა-ინტერნატის მოჭადრაკეები, ზუგდიდის რაიონის ინგირის სკოლა-ინტერნატის მაგიდის ჩოგბურთელები; გაგრის რაიონის განთიადის № 2 სკოლა-ინტერნატის კალათბურთელი გოგონები, ყვარლის რაიონის კალათბურთელი ჭაბუკები, ლანჩხუთის რაიონის ფეხბურთელები და ლაგოდების სკოლა-ინტერნატის ფრენბურთელი ჭაბუკები.

რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების ფიზკულტურულ-სპორტულ გამაჯანსაღებელი მუშაობის შესწავლისა და ჩატარებული სპარტაკიადის შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დაეინახავთ, რომ მიუხედავად გარკვეული წინსვლისა, ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება ვერ ეთმობა მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობას.

დირექტორების, პედაგოგიური კოლექტივების, მასწავლებლებისა და მწვრთნელების მუშაობაში ჯერ კიდევ არ იგრძნობა გარდაქმნა. დაბალ დონეზეა ფიზკულტურულ-სპორტული, გამაჯანსაღებელი და კლასგარეშე მუშაობა მარნეულის საშუალო სკოლა-ინტერნატში (დირექტორი ს. ხალილოვი, ფიზიკური კულტურის მასწავლებელი გ. გასანოვი), ბარისახოს (დირექტორი თ. არაბული, ფიზიკური კულტურის მასწავლებელი ნ. ჭინჭარაული), ფოთის (დირექტორი კ. ჭანტურია, ფიზიკური კულტურის მასწავლებელი ვ. ლოლუა), ქედის რაიონის მახუნცეთის (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ს. ევგენიძე, ფიზიკური კულტურის მასწავლებლები: გ. თავდგირიძე და ა. მიქელაძე), ცაგერის რაიონის ლაჯანურის (დირექტორი მ. ხმელიძე, ფიზიკური კულტურის მასწავლებელი კ. კობალიანი), კოჯრის (დირექტორი ჯ. ჩიქოვანი, ფიზიკური კულტურის მასწავლებლები: შ. თუშიშვილი და ნ. ქოროდლიშვილი), ახალქალაქის (დირექტორი ვ. გინოიანი, ფიზიკური კულტურ-



რის მასწავლებლები: რ. ბაქარიანი და ე. სარქისიანი), ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის (დირექტორი დ. ფაცაცია, ფიზიკური კულტურის მასწავლებელი ა. ლურწყაია), სოხუმის № 1 (დირექტორი ლ. აღლეიბა, ფიზიკური კულტურის მასწავლებელი რ. კაბლია), გუდაუთის რაიონის კალდახვარის არასრული სკოლა-ინტერნატის (დირექტორი რ. თხაბუშევი, ფიზიკური კულტურის მასწავლებელი დ. ენალდიევი), ბოგდანოვკის (დირექტორი ს. ტობალიანი, ფიზიკური კულტურის მასწავლებელი გ. ადამიანი), ქ. ზუგდიდის (დირექტორი დ. დაკარგულია, ფიზიკური კულტურის მასწავლებელი ა. ბაკურაძე) და ქ. თბილისის არასრულ სკოლა-ინტერნატში (დირექტორი ა. ჯანგაძე, ფიზიკური კულტურის მასწავლებელი ე. პავლოვა).

სპარტაკიადაში საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა ბოგდანოვკის სკოლა-ინტერნატს, მარნეულის სამუხალო სკოლა-ინტერნატმა მხოლოდ ერთ სახეობაში — ქადრაკში მიიღო მონაწილეობა, ბარისახოს სკოლა-ინტერნატმა — მაგიდის ჩოგბურთში, კალდახვარის არასრულმა სკოლა-ინტერნატმა — კალათბურთში.

როგორც ჩანს, აღნიშნული სკოლა-ინტერნატების ხელმძღვანელებმა დღემდე ვერ უზრუნველყვეს ფასიანი სპორტული ჯგუფების გეგმაზომიერი მუშაობა.

სკოლა-ინტერნატების X რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრების ჩატარების ორგანიზაციასა და გუნდების მომზადებაში დიდი მუშაობა გასწიეს ქ. ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური (დირექტორი ი. ბაკურაძე), ცხინვალის (დირექტორი ლ. პარასტაევი), ქ. ქუთაისის სამუსიკო (დირექტორი გ. ბურჯანაძე), ბროწეულას (დირექტორი მ. ინასარიძე), ქ. თბილისის ფიზიკა-მათემატიკური (დირექტორი ჯ. ვეკუა); ბათუმის № 2 (დირექტორი ლ. ჯიჯავაძე), განთიადის № 2 (დირექტორი ი. უსტაბაშიდი), ლაგოდნის (დირექტორი ე. კაპანაძე), ოზურგეთის (დირექტორი ლ. ქილიფთარი), ყვარლის (დირექტორი ე. ლოლიაშვილი), ლანჩხუთის (დირექტორი ტ. ჯიჯეიშვილი), და ჩხოროწყუს (დირექტორი შ. თოდუა) სკოლა-ინტერნატებმა.

გასულ სასწავლო წლებში ჩატარებულ სპარტაკიადებთან შედარებით პოზიციები დათმეს თიანეთის (დირექტორი დ. ხუმარაშვილი), ახმეტის (დირექტორი ვ. შიომღვიმელი), ინგირის (დირექტორი პ. დარსანია), და ლენინგორის (დირექტორი ხ. მარგიევი) სკოლა-ინტერნატებმა.



X რესპუბლიკურ სპარტაკიადას კარგი ორგანიზაცია გაუწევს და მომზადებული შეხვდნენ ქ. სოხუმის № 2 (დირექტორი შ. გოგია), ქ. ბათუმის № 1 (დირექტორი ნ. ჩახვადე), ქ. ქუთაისის (დირექტორი გ. ბურჯანაძე) ცხინვალის (დირექტორი ლ. პარასტავეცი) და ბროწეულას (დირექტორი მ. ინასარიძე) სკოლა-ინტერნატების.

სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა მიერ X რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მოპოვებული წარმატებების აღნიშვნისა და გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს მთავარ მსაჯთა კოლეგიის მიერ წარმოდგენილ სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა X რესპუბლიკური სპარტაკიადის ტექნიკური შედეგები;

2. დაჯილდოვდნენ სამახსოვრო თასითა და შესაბამისი ხარისხის დიპლომებით სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა X რესპუბლიკური სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული სკოლა-ინტერნატის ფიზკულტურული კოლექტივები და ფიზიკური კულტურის მასწავლებლები.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა:

ა) განიხილონ სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა X რესპუბლიკური სპარტაკიადის შედეგები. განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად;

ბ) პერსონალურად განიხილონ იმ სკოლა-ინტერნატების დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც ვერ დაამყარეს წესრიგი მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროგრამის შესრულების საქმეში, (მიუხედავად ტერიტორიული შესაძლებლობისა მოუწყობელი აქვთ სპორტული მოედნები, არ ზრუნავენ სასპორტო დარბაზის აგებაზე და სასწავლო-სპორტული ინვენტარის აღჭურვაზე, ვერ გარდაქმნეს მუშაობა იმ მოთხოვნათა შესაბამისად, რომლებსაც ითვალისწინებს საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს ბრძანება (№ 1165—24, 12, 76.).

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს ბავშვთა-მოზარდთა ცენტრალურ რესპუბლიკურ სასპორტო სკოლას:

ა) სისტემატური მეთოდური დახმარება და კონტროლი გაუ-



წიოს რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატებს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის გაუმჯობესებაში;

ბ) პერიოდულად შეამოწმოს სკოლა-ინტერნატებში სასწავლო და კლასგარეშე სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მიმდინარეობა;

გ) შეისწავლოს მარნეულის, ბარისახოს, ფოთის, მახუნცეთის, ლაჯანურის, კოჯრის, ახალქალაქის, ზუგდიდი-ახალსოფლის, სოხუმის № 1, კალდახვარის, ბოგდანოვკის, ქ. ზუგდიდის, ქ. თბილისის არასრულ სკოლა-ინტერნატებში ფიზიკური კულტურის საგნის სწავლებისა და კლასგარეშე ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მიმდინარეობა. წარმოადგინოს წინადადებები მისი გაუმჯობესების შესახებ.

5. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოთ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (ამხანაგ მ. მნათობიშვილი) და ინტერნატების, დამხმარე სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებებისა და ბავშვთა უფლებათა დაცვის (ამხანაგ გ. ქუმბურიძე) განყოფილებებს.

მინისტრის მოადგილე კ. სუჯაშვილი

**ა ნ ბ ა რ ი შ ი**

**საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს  
სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა X რესპუბლიკური  
სპარტაკიადის შედეგების შესახებ**

სკოლა-ინტერნატების მოსწავლეთა X რესპუბლიკური სპარტაკიადა ჩატარდა 1989 წლის 3 იანვრიდან 15 მაისის ჩათვლით სპორტის 6 სახეობაში: მძლეოსნობაში, კალათბურთში, ფრენბურთში, ფეხბურთში, კადრაქსა და მაგიდის ჩოგბურთში. აღნიშნული სპარტაკიადა მიეძღვნა კომკავშირის 70-ე წლისთავს.

სულ სპარტაკიადაში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 47 სკოლა-ინტერნატის 1477 აღსაზრდელმა. სპარტაკიადის პროგრამიდან სავალდებულო იყო მძლეოსნობა.

შეჯიბრება ჩატარდა ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფში გამოვიდნენ საშუალო, მეორე ჯგუფში კი არასრული სწავლების სკოლა-ინტერნატები. პირველ ჯგუფში მონაწილეობდა 33, ხოლო მეორე ჯგუფში 14 სკოლა-ინტერნატი.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთმა სკოლა-ინტერნატმა სპორტული კიადის დებულებით გათვალისწინებული სპორტის 8 სახეობიდან მხოლოდ ერთ-ორ სახეობაში მიიღო მონაწილეობა და საერთო ჩათვლაში ბოლო ადგილები დაიკავა. ასეთები არიან: ბარისახოს, შარნეულის, ფოთის, მახუნცეთის, ზუგდიდის რ-ის ახალსოფლის, კოჯრის, ლაჯანურის (ვაგერი), ქ. თბილისის კ. ლესელიძის სახელობის, ქ. სოხუმის № 1, ახალქალაქის საშუალო, გუდაუთის რ-ის კალდახვარის, ბოგდანოვის, ქ. ზუგდიდისა და თბილისის სკოლა-ინტერნატები.

სპორტაკიდაზე პირველ ჯგუფში კარგად იასპარეზეს ქ. ქ. ქუთაისის, ფიზიკა-მათემატიკურ, ცხინვალის, ქუთაისის სამუსიკო და სოფ. ბროწეულას სკოლა-ინტერნატების კოლექტივებმა, მეორე ჯგუფში გაგრის რ-ის განთიადის № 2, ლაგოდეხისა და ოზურგეთის სკოლა-ინტერნატის კოლექტივებმა.

სპორტის ზოგიერთ სახეობებში შესრულდა მოზარდთა სათანადო ნორმატივები, შეჯიბრება ყოველმხრივ ორგანიზებული იყო, მოხაწილეებს ჰქონდათ შეჯიბრებისა და დასვენების კარგი პირობები.

## მ ძ ლ ე ო ს ნ ო ბ ა

შეჯიბრება ჩატარდა ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფში გამოვიდა საშუალო სკოლა-ინტერნატების 22 გუნდი. მძლეოსანთა შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ: ბარისახოს, განთიადის № 1, ზუგდიდის რ-ის, ქ. თბილისის კ. ლესელიძის სახელობის, ქ. თბილისის საბუსიკო, ქ. სოხუმის № 1, დრანდის, კოჯრის, ლაჯანურის და მახუნცეთის სკოლა-ინტერნატების გუნდებს. მეორე ჯგუფში გამოვიდა არასრული სკოლა-ინტერნატის 9 გუნდი. მონაწილეობა არ მიუღიათ ქ. თბილისის, კალდახვარას, ქ. ზუგდიდის სკოლა-ინტერნატის გუნდებს, ე. ი. მძლეოსანთა შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 31 სკოლა-ინტერნატის 230 აღსაზრდელმა.

შედარებით კარგი მომზადებული გუნდი ჰყავდა პირველ ჯგუფში გურჯაანის რაიონის კაჭრეთის საშუალო სკოლა-ინტერნატს (ფიზკულტურის მასწავლებელი ა. მოსულიშვილი), მეორე ჯგუფში ლეხისგორის სკოლა-ინტერნატს (ფიზიკური კულტურის მასწავლებელი თ. ჯიბილოვი), შესაბამისად პირველი ადგილები დაიკავეს — დაბალი შედეგები აჩვენეს: ფოთის, ატენის, ბათუმის № 1, სეხაკის, ზუგდიდის რაიონის — ახალსოფლის, ახალქალაქის, ცირ-

ნათის; კასპის, სოხუმის № 2, თბილისის ფიზიკა-მათემატიკური, სოლო ძეორე ჯგუფში ჩხოროწყუს, ბაბუშერას, ლანჩხუთის, ყვარლის კოლექტივებმა. ზოგიერთი გუნდების სუსტ მომზადებაზე შეტყვევლებს მათ მიერ შესრულებული სათანადო ნორმატივების დაბალი მაჩვენებლები. გარდა ამისა, ზოგიერთი გუნდები შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ შეუფერებელი სპორტული ფორმით.

ძიუხედავად ამ ხარვეზებისა, შეჯიბრება მძლეოსნობაში ჩატარდა დამაკმაყოფილებლად, რასაც პირველ რიგში ხელი შეუწყო ქ. ქუთაისის ცენტრალური სტადიონის კეთილმოწყობილმა სპორტულმა ბაზამ და მთავარი მსაჯის ლ. ახვლედიანის კვალიფიციურმა ხელმძღვანელობამ. კარგად იყო ორგანიზებული მომსახურება ბინით და კვებით.

### კ ა ლ ა ტ ბ უ რ თ ი

კალათბურთის შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ორთავე ჯგუფის 37 სკოლა-ინტერნატის (გოგონათა და ჭაბუკთა) 370 აღსაზრდელმა. პირველ ეტაპზე ზონებში შეიმჩნეოდა გუნდების მომზადების დაბალი დონე. შედარებით საინტერესო გამოდგა ფინალური შეჯიბრება, სადაც გუნდებმა გამოავლინეს შესაძლებლობათა მაქსიმუმი. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ქ. თბილისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის ჭაბუკთა გუნდი, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა. ქების ღირსია ამ გუნდის მწვრთნელი, ფიზიკოსი მერაბ ობოლაძე, რომელიც საზოგადოებრივი დატვირთვით მუშაობს გუნდის მწვრთნელად. ასევე კარგი გუნდები ჰყავდათ ქ. ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკურ, ბათუმის № 1 და ცხინვალის სკოლა-ინტერნატებს. გოგონებში საპრიზო ადგილები შესაბამისად დაიკავეს: ბროწეულას, დუშეთისა და ახმეტის გუნდებმა, მეორე ჯგუფში გოგონებში კარგად იასპარეხეს განთიადის № 2, ლავოდებისა და ყვარლის, ჭაბუკებში კი — ყვარლის, ლანჩხუთის და ლავოდების სკოლა-ინტერნატის გუნდებმა.

შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს, მაგრამ არ გამოცხადდნენ ქ. თბილისის არასრული და მარნეულის სკოლა-ინტერნატები.

შეჯიბრება ორგანიზებულად ჩატარდა ქ. ქუთაისის მე-4 საშუალო სკოლაში, დამაკმაყოფილებელი იყო მსაჯთა კოლეგიის მუშაობა მთავარი მსაჯის (რესპუბლიკური კატეგორიის) გ. თავხელიძის ხელმძღვანელობით, სერიოზულ ტრავმებს ადგილი არ ჰქონია.



შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ორთავე ჯგუფის 31 სკოლა-ინტერნატის 230 აღსაზრდელმა.

გუნდებმა შედარებით კარგად იასპარეხეს ფინალურ შეჯიბრებაში, სადაც შეიმჩნეოდა მათი ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების დამაკმაყოფილებელი დონე. პირველ ჯგუფში კარგი გუნდები ჰყავდათ: გოგონებში — ცხინვალის, თიანეთის, განთიადის № 1 სკოლა-ინტერნატებს; ჭაბუკებში — ცხინვალის, კირნათის, ქ. ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკურ სკოლა-ინტერნატებს; მეორე ჯგუფის გოგონებიდან — ლენინგორის, განთიადის № 2, ოზურგეთის სკოლა-ინტერნატებს. ჭაბუკებში — ლაგოდეხის, განთიადის № 2, ყვარლის სკოლა-ინტერნატებს. მონაწილეობა არ მიუღიათ ატეხის, მარნეულის, ჯავის და ზუგდიდის რ-ის ენგურქალაქალდკომბინატის სკოლა-ინტერნატების გუნდებს.

შეჯიბრებას კარგად უმასპინძლა ცხინვალის სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელობამ, რამაც განაპირობა მისი მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარება. ტრავმებს ადგილი არ ჰქონია.

ფ რ ე ბ უ რ თ ი

მონაწილეობა მიიღო საშუალო და არასრული სკოლა-ინტერნატების 27 გუნდის 405 აღსაზრდელმა. ფინალურ შეჯიბრებაში კარგად იასპარეზა ბროწეულას სკოლა-ინტერნატის გუნდმა, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა. ასევე კარგად იასპარეხეს ქ. ბათუმის № 2 და კასპის სკოლა-ინტერნატების გუნდებმა. არასრული სკოლა-ინტერნატებიდან პირველი ადგილი დაიკავა ლანჩხუთის გუნდმა. ასევე კარგად მომზადებული გუნდები ჰყავდათ ჩხოროწყუსა და ყვარლის კოლექტივებს. მონაწილეობა არ მიუღია: განთიადის № 1, მახუნცეთის, მარნეულის, ფოთის, კიცხის, ზუგდიდის რ-ის ახალსოფლის, ზუგდიდის რ-ის ენგურქალაქალდკომბინატის, განთიადის № 2, კალდახ-ვარას, ბაბუშერას, ქ. ქ. ზუგდიდის, თბილისის არასრული და ბოგდანოვკის სკოლა-ინტერნატების გუნდებს.

ფინალურ შეჯიბრებაში არ გამოცხადდა დრანდის საშუალო სკოლა-ინტერნატის გუნდი.

თიანეთის საშუალო სკოლა-ინტერნატის გუნდში (ფიზკულტურის მასწავლებელი გ. ჯანგირაშვილი), თბილისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის გუნდის წინააღმდეგ თამაშობდა გა-





ხუცხადებელი ფეხბურთელი. თამაში დამთავრდა 3:2, თიანეთის გუნდის სასარგებლოდ. შემოტანილი საჩივრის შეხედვით დადგინდა, რომ თიანეთის გუნდში ნამდვილად ითამაშა განუცხადებელმა ფეხბურთელმა (არაინტერნატელმა), რისთვისაც გუნდს ჩაეთვალა წაგება, გაუქმდა შედეგი და თიანეთის გუნდს მიენიჭა ბოლო ადგილი.

შეჯიბრებას კარგი მომზადებული შეხვდა წყალტუბოს რაიონის სოფელ ბროწეულას სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელობა, რამაც განაპირობა მისი მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარება.

### მ ა დ რ ა ტ ი

შეჯიბრება ჩატარდა ქ. ბათუმში ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში მონაწილეობდა საშუალო სკოლა-ინტერნატების 16 გუნდი, მეორე ჯგუფში — არასრული სკოლა-ინტერნატების 5 გუნდი, სულ 21 გუნდი 63 აღსაზრდელით.

პირველ ადგილზე გავიდნენ ქ. თბილისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის მოჭადრაკეები, მეორეზე — ახალციხის, მესამეზე — ქ. ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატების მოჭადრაკეები.

არასრულ სკოლა-ინტერნატებს შორის ადგილები განაწილდა შემდეგნაირად: პირველი ადგილი დაიკავეს ბაბუშერას, მეორე — ოზურგეთის, მესამე — ლანჩხუთის სკოლა-ინტერნატის გუნდებმა. მოხაწილეობა არ მიუღიათ განთიადის № 1, სოხუმის № 2, ხულოს, მახუნცეთის, ლაგოდეხის და ფოთის სკოლა-ინტერნატებს.

### მ ა გ ი დ ი ს ჩ ო ბ ზ უ რ თ ი

შეჯიბრება ჩატარდა ქ. ქუთაისის № 4 საშუალო სკოლაში. პირველ ჯგუფში მონაწილეობდა 17 და მეორე ჯგუფში — 6 გუნდი. სულ 23 სკოლა-ინტერნატის 115 აღსაზრდელი.

პირველი ადგილი დაიკავა ქ. ქუთაისის სამუსიკო სკოლა-ინტერნატის გუნდმა; მეორე — ქ. ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის, მესამე კი — ცხინვალის სკოლა-ინტერნატის გუნდმა.

არასრული სკოლა-ინტერნატებიდან პირველი ადგილი დაიკავა ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის გუნდმა, მეორე — ბაბუშერას, მესამე — ქობულეთის რაიონის სოფ. ჩაისუბნის გუნდმა.



საქართველოს  
საქართველოს  
საქართველოს

მონაწილეობა არ მიუღია განთიადის, კიცხის, კირნათის, ხულოს, სოხუმის № 2, მახუნცეთის, ლაგოდების და კალდახვარსკოლა-ინტერნატებს.

სპარტაკიადის მსვლელობისას ადგილი არ ჰქონია მოსწავლეთა შორის ტრავმებს, დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს. კარგად იყო ორგანიზებული მომსახურება ბინით, კვებით და ტრანსპორტით.

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს საშუალო სკოლა-  
ინტერნატების აღსაზრდელთა X რესპუბლიკური სპარტაკიადის საერთო  
გუნდური შედეგები

1989 წლის მაისი

| №№<br>რიგ | რაიონი                           | ქულა | №№<br>რიგ | რაიონი                      | ქულა |
|-----------|----------------------------------|------|-----------|-----------------------------|------|
| 1.        | ქუთაისის ფ/შათ.                  | 72   | 28.       | კოჯორი                      | 20   |
| 2.        | ცხინვალი                         | 70   | 29.       | ზუგდიდის რ-ის<br>ახალსოფელი | 18   |
| 3.        | ქუთაისის სამუსიკო                | 68   | 30.       | მახუნკეთი                   | 16   |
| 4.        | ბროწეულა                         | 67   | 31.       | ფოთი                        | 14   |
| 5.        | თბ. ფიზიკა-მათემატიკური          | 66   | 32.       | მარნეული                    | 8    |
| 6.        | ახმეტა                           | 64   | 33.       | ზარისახო                    | 6    |
| 7.        | ღუშეთი                           | 63   |           |                             |      |
| 8.        | კაჭრეთი                          | 61   |           |                             |      |
| 9.        | ახალციხე                         | 61   |           |                             |      |
| 10.       | თიანეთი                          | 58   |           |                             |      |
| 11.       | ჯავა                             | 54   |           |                             |      |
| 12.       | ბათუმი №2                        | 54   |           |                             |      |
| 13.       | ბათუმი №1                        | 52   |           |                             |      |
| 14.       | ატენი                            | 50   |           |                             |      |
| 15.       | კასპი                            | 49   |           |                             |      |
| 16.       | კირნათი                          | 48   |           |                             |      |
| 17.       | ცხაკაია /სენაკი/                 | 47   |           |                             |      |
| 18.       | ღრანდა                           | 40   |           |                             |      |
| 19.       | კიცხი                            | 38   |           |                             |      |
| 20.       | თბ. სამუსიკო                     | 38   |           |                             |      |
| 21.       | განთიადის №1                     | 35   |           |                             |      |
| 22.       | ზუგდიდი-ენგურქალაქი<br>კომბინატი | 32   |           |                             |      |
| 23.       | სოხუმი №2                        | 30   |           |                             |      |
| 24.       | ახალქალაქი                       | 30   |           |                             |      |
| 25.       | სოხუმი №1                        | 28   |           |                             |      |
| 26.       | თბ. ლესელიძის                    | 28   |           |                             |      |
| 27.       | ცაგერი-ლაჭანური                  | 21   |           |                             |      |

არასრული სკოლა-ინტერნატები



| №№<br>რიგ | რაიონი             | ქულა |
|-----------|--------------------|------|
| 1         | განთიადის №2       | 57   |
| 2         | ლაგოდეხი           | 54   |
| 3         | ოზურგეთი           | 52   |
| 4         | ყვარელი            | 51   |
| 5         | ლანჩხუთი           | 51   |
| 6         | ზუგდიდის რ. ინგირი | 50   |
| 7         | ბაბუშერა           | 48   |
| 8         | ლენინგორი          | 44   |
| 9         | ჩხოროწყუ           | 44   |
| 10        | ჩაისუბანი          | 24   |
| 11        | თბილისი            | 19   |
| 12        | ქ. ზუგდიდი         | 18   |
| 13        | კალაბჯვარა         | 3    |
| 14        | ბოგდანოვკა         | 0    |



**საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს  
საქართველოს სსრ ტელევიზიისა და  
რადიომაუწყებლოების სახელმწიფო კომიტეტის  
1989 წლის 4 ოქტომბრის ბრძანება № 584**

რესპუბლიკის ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობას შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით 1989 სასწავლო წლიდან რესპუბლიკის სკოლაძდელ დაწესებულებებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, პროფესიულ-ტექნიკურ, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში შემოღებული იქნეს მასობრივი ღონისძიებების „მხიარული შეჯიბრების“ ჩატარება, რომელიც განამტკიცებს ახალგაზრდობის ჯანმრთელობას და უზრუნველყოფს მათი თავისუფალი დროის სწორ ორგანიზაციას.

ამ მიზნით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ჩატარდეს 1989 წლის ოქტომბრიდან ყოველწლიურად რესპუბლიკის სკოლაძდელ დაწესებულებებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში „მხიარული შეჯიბრებები“.

2. დაამტკიცდეს „მხიარული შეჯიბრებების“ დებულება (დანართი № 1).

3. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების ადგილობრივმა განყოფილებებმა, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებმა გაატარონ ქმედითი ღონისძიებები „მხიარული შეჯიბრებების“ მაღალორგანიზაციულ დონეზე ჩასატარებლად. მათ მიერ შეჯიბრების ჩატარების ზუსტი თარიღი და ადგილი ეცხობოს საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტსა და საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს არაუგვიანეს ერთი თვისა, შეჯიბრების დაწყებამ-



დღე. მათ დაევალოთ აგრეთვე შეჯიბრების მონაწილეთა სამივე კატეგორიაში ხარჯებით უზრუნველყოფა.

4. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომათწიფებლობის სახელმწიფო კომიტეტის საბავშვო პროგრამების და ახალგაზრდულ გადაცემათა მთავარმა რედაქციებმა (ამხ. თ. ხომერიკი, ამხ. ნ. კაკაბაძე), უზრუნველყონ გრაფიკის მიხედვით მომზადებული „მხიარული შეჯიბრებების“ გაშუქება.

5. ვთხოვოს გაზეთების „სახალხო განათლების“, ახალგაზრდა ივერიელის“, „მოლოდიოე გრუზიის“, „ლელოს“, „ნორჩი ლენინელის“, ჟურნალ „დილას“ რედაქციებს, რათა სისტემატურად გააშუქონ შეჯიბრების მსვლელობა და პროპაგანდა გაუწიონ „მხიარული შეჯიბრებების“ დანერგვას.

6. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებას (ამხ. მ. მნათობიშვილი), საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომათწიფებლობის სახელმწიფო კომიტეტის საბავშვო პროგრამების მთავარ რედაქციას (ამხ. თ. ხომერიკი) და ახალგაზრდულ გადაცემათა მთავარ რედაქციას (ამხ. ნ. კაკაბაძე).

საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრი  
გ. ე ნ უ ქ ი ძ ე

საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომათწიფებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე  
ა. გოგელია

#### IV. შეჯიბრების მონაწილენი

შეჯიბრებაში მონაწილეობენ რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ ტექნიკური სასწავლებლების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების გუნდები. ყოველი გუნდი განისაზღვრება 25—30 მონაწილისა და წარმომადგენლის შემადგენლობით და ერქმევა სახელი.

გუნდში გოგონათა და ჭაბუკთა რაოდენობა უნდა იყოს თანაბარი. შეჯიბრებაში მონაწილე ყველა რაიონის (ქალაქის) გუნდი განაწილებული იქნება ზონებში. სულ იქმნება 9 ზონა (იხ. დანართი № 1) (5 ზონა-აღმოსავლეთ საქართველოში და 4 ზონა დასავ-



ლეთ საქართველოში). შიდაშეჯიბრებების შემდეგ ლენინის მიხედვით  
შოეწყობა, ოლიმპიური სისტემით.

შეჯიბრებაში მონაწილეობენ მოსწავლე-ახალგაზრდები, რომ-  
ლებიც ექიმის მიერ დაშვებული იქნებიან შეჯიბრებაზე.

V. შეჯიბრების ჩატარების ხელმძღვანელობა

„მხიარული შეჯიბრების“ ჩატარების საერთო ხელმძღვანელო-  
ბას ახორციელებს საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამი-  
ნისტრო და რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის  
სახელმწიფო კომიტეტი ერთობლივად.

შეჯიბრებას პრაქტიკულ ხელმძღვანელობას უწევს საქართვე-  
ლოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდი-  
სა და სპორტის განყოფილება, რესპუბლიკის ტელევიზიისა და  
რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი საბავშვო პროგრა-  
მების და ახალგაზრდულ საქართველოს სსრ სახალხო განათლების  
სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღსაზრ-  
დელთა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა პროფე-  
სიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებ-  
ლების სტუდენტ ახალგაზრდობას შორის მასობრივი ღონისძიების  
„მხიარული შეჯიბრების“ ჩატარების

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. მიზანი და ამოცანები

მასობრივი ღონისძიებების — „მხიარული შეჯიბრებების“ ჩა-  
ტარება მიზნად ისახავს:

— მოზარდი თაობის, მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობის მა-  
სობრივად ჩაბმას ფიზიკურ კულტურასა და სპორტში;

— მათი ჯანმრთელობის განმტკიცებას და ჰარმონიულ განვითარე-  
ბას;

— მოსწავლე ახალგაზრდობის თავისუფალი დროის გამოყენების  
სწორ ორგანიზაციას.

II. შეჯიბრების ჩატარების ეტაპები

მასობრივი ღონისძიება „მხიარული შეჯიბრება“ ტარდება 4  
ეტაპად:

I. ეტაპი — შიდა შეჯიბრებები სკოლამდელი აღზრდის დაწესებუ-  
ლებაში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-



ინტერნატებში, პროფესიულ ტექნიკურ, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში.

- II ეტაპი — ზონალური შეჯიბრებები რაიონებსა და ქალაქებში გამარჯვებულ გუნდებს შორის.
- III ეტაპი — შეჯიბრებები ზონებში გამარჯვებულ გუნდებს შორის.
- IV ეტაპი — ფინალური შეჯიბრება რესპუბლიკაში გამარჯვებულ გუნდის გამოსავლინებლად 1990 წლის მაისი ქ. თბილისი.

შენიშვნა: 1. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები ატარებენ შიდა შეჯიბრებებს და მონაწილეობენ მხოლოდ რაიონულ (საქალაქო) ღონისძიებებში.

2. უმაღლეს სასწავლებლებში „მხიარული შეჯიბრება“ ტარდება ფაკულტეტებს, ჯგუფებსა და კურსებს შორის, ხოლო საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ტარდება ჯგუფებსა და განყოფილებებს შორის. შიდა შეჯიბრებების შემდეგ გამარჯვებული გუნდების ღონისძიებები მოეწყობა სპეციალური კალენდარის მიხედვით.

3. ყველა ეტაპზე შეჯიბრებები ტარდება სწავლისაგან თავისუფალ დროს.

### III. შეჯიბრების პროგრამა

შიდაშეჯიბრებები რაიონული (საქალაქო) ღონისძიებები ეწყობა იმ მოძრავი თამაშების მიხედვით, რომელსაც შეიმუშავებენ შეჯიბრების ჩამტარებელი ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტები. რაიონულ, საქალაქო და ზონალურ შეჯიბრებებში გამარჯვებული გუნდებისა და ფინალში მონაწილე კოლექტივებისათვის საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის საბავშვო პროგრამებისა და ახალგაზრდულ გადაცემათა მთავარი რედაქციები ადგენენ ცალკე პროგრამებს, რომლებსაც მონაწილე გუნდებს ურიგებენ შეხვედრის დაწყებამდე ერთი თვით ადრე. გადაცემათა მთავარი რედაქციები.

ადგილებზე შეჯიბრებებს ხელმძღვანელობენ ადგილობრივი სახალხო განათლების განყოფილებები და შეჯიბრებაში მონაწილე სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელები.



ზონებში ჩატარების დროს შეჯიბრებას სპორტული გუნდები და სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფს მიმღები ორგანიზაცია.

## VI. გამარჯვებული გუნდის გამოვლინების წესი

შეჯიბრებას სჯის ეიური 5—10 კაცის შემადგენლობით. ეიურის შემადგენლობაში შეყვანილი უნდა იქნენ წარმოება-დაწესებულებების შეფი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ცნობილი სპორტსმენები, პედაგოგები და მოსწავლე-ახალგაზრდები. თითოეული გუნდის წევრის მიერ ვარჯიშის შესრულების ხარისხს ქულებით აფასებს ეიური.

გუნდების მიერ ქულების თანაბარი რაოდენობის დაგროვების შემთხვევაში დამატებით ტარდება ერთი მოძრავი თამაში.

ყოველ შეხვედრაში გამარჯვებულად ცხადდება ის კოლექტივი, რომელიც მეტ მომგებიან ქულას დააგროვებს.

ზონებში გამარჯვებული გუნდების შეჯიბრებები გადაიცემა ტელევიზიით. ტელევიზიით ასევე გადაიცემა ფინალური შეხვედრაც. ზონებში ქალაქებს შორის შეჯიბრი გადაიღება კინოფირზე ფრაგმენტების სახით 5 წუთამდე, და გადაიცემა ტელევიზიით.

## VII. გამარჯვებულთა დაჯილდოება

ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილე გუნდები დაჯილდოვდებიან საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროსა და რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სათანადო ხარისხის დიპლომებითა და ვიშნელებით. ამ შეჯიბრების ყველა მონაწილეს კი გადაეცემა მოწმობა და ვიშნელები. გამარჯვებული გუნდი აგრეთვე დაჯილდოვდება სპორტული თასით.

„მხიარული შეჯიბრების“ საორიენტაციო სახეობები

1. სხვადასხვა სახის ამანათბენები წინალობათა გადალახვით.
2. მოძრავი თამაშობანი (ბურთით, უბურთოდ და სხვა).
3. ხალხური თამაშობანი (ლახტი და სხვა).
4. თოკის გადაძალვა.
5. გულშემატკივართა შეჯიბრებები (გულშემატკივრებს უნდა ჰქონდეთ ლოზუნგები, ტრანსფარანტები, იუმორისტულად გაფორმებული პლაკატები).



6. შეჯიბრებები საესტრადო ნომრებში (ცეკვები, სიმღერები, სეპი, პაროდიები).
7. კაპიტნების კონკურსი.
8. მასწავლებლებისა და პედაგოგების შეჯიბრი.
9. სკოლის დირექტორების და საბავშვო ბაღების გამგეების შეჯიბრი.

შენიშვნა: სახეობების შერჩევა შესაძლებელია განუსაზღვრელად ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

**ზონებად დაყოფა:**

დანართი № 1

- I — სოხუმის ზონა — სოხუმი, ტყვარჩელი, გაგრა, გალი, გუდაუთა, გულრიფში, სოხუმის რ-ნი, ოჩამჩირე — 8
- II — ბათუმის ზონა — ბათუმი, ქედა, ქობულეთი, ხელვაჩაური, ხულო, შუახევი, ოზურგეთი, ჩოხატაური, ლანჩხუთი — 9
- III — ცხინვალის ზონა — ცხინვალი, ლენინგორი, ზნაური, ჯავა, ცხინვალის რ. — 6
- IV — თბილისის ზონა — გლდანის, ლენინის, ორჯონიკიძის, საბურთალოს, კალინინის, კიროვის, ოქტომბრის, 1 მაისის, 26 კომისრის, საქარხნოს — 10
- V — ქუთაისის ზონა — ქუთაისი, ქიათურა, საჩხერე, ლენტეხი, ცაგერი, ტყიბული, ონი, მაიაკოვსკი, წყალტუბო, ვანი, თერჯოლა, ხონი, ამბროლაური — 13
- VI — ზუგდიდის ზონა — ფოთი, აბაშა, სენაკი, ზუგდიდის რ. ხობი, ქ. ზუგდიდი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, მესტია, მარტვილი სამტრედია, — 11.
- VII — გორის ზონა — ყაზბეგი, გორი, გორის რ. თიანეთი, წალკა, თეთრიწყარო, ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი, ბოგდანოვკა, დმანისი — 12.
- VIII — თელავის ზონა — ახმეტა, ყვარელი, ლაგოდეხი, საგარეჯო, თელავი, გარდაბანი, მარნეული, სიღნაღი, გურჯაანი, წითელი წყარო, ბოლნისი, რუსთავი — 12
- IX — ხაშურის ზონა — ხაშური, კასპი, ქარელი, მცხეთა, ღუშეთი, ბორჯომი, ხარაგაული, ზესტაფონი, — 8

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს  
1989 წლის 5 ოქტომბრის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 591

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროში შემოდებულ იქნეს სამინისტროს მთავარი ფსიქოლოგის — მინისტრის მრჩეველის სტატუსი.

სახალხო განათლების სამინისტროს მთავარი ფსიქოლოგის ფუნქციებად განისაზღვროს:

1. ფსიქოლოგიური ცენტრების, სამინისტროსთან არსებული ფსიქოლოგიური საბჭოს და სხვა სამეცნიერო-პრაქტიკული ჯგუფების მუშაობის კოორდინაცია სახალხო განათლების სისტემის ფსიქოლოგიური მომსახურების უზრუნველსაყოფად;

2. სახალხო განათლების სისტემის ფსიქოლოგიური მომსახურებისთვის სამეცნიერო-პრაქტიკული პროგრამების შემუშავება და მათი კონტროლი;

3. სახალხო განათლების სისტემაში პრაქტიკოს-ფსიქოლოგთა შრომითი მოწყობის, მათი საქმიანობის, სასწავლებლებში ფსიქოლოგიური კულტურის ამაღლებისა და ფსიქოლოგიური ლიტერატურის გამოცემათა კურირება.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავარ ფსიქოლოგ-მინისტრის მრჩეველად საზოგადოებრივ საწყისებზე დაინიშნოს ი. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ზოგადი ფსიქოლოგიის კათედრის დოც. რ. ტ. საყვარელიძე.

კონტროლი აღნიშნულ ბრძანებაზე დაევალოს მინისტრის მოადგილეს კ. გაბაშვილს.

მ ი ნ ი ს ტ რ ი გ. ე ნ უ ქ ი ძ ე

საპარტვილოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს  
1989 წლის 9 ოქტომბრის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 601

უმაღლეს, საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში და  
საშუალო სკოლებში აღმზრდელით დარგში პრორექტორისა  
და დირექტორის მოადგილის თანამდებობის შემოღების  
შესახებ

რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემის სასწავლო და  
წესებულებებში აღმზრდელითი მუშაობის კოორდინაციის გა-  
უმჯობესებისა და ამ საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების მიზ-  
ნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დაევალოთ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავ-  
ლებლების ხელმძღვანელებს ადადგინონ აღმზრდელითი მუშაო-  
ბის დარგში პრორექტორებისა და დირექტორის მოადგილეების  
თანამდებობები ადმინისტრაციული პერსონალის არსებული რიც-  
ხოვნობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

2. ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის კლასგარეშე და  
სკოლისგარეშე აღმზრდელითი მუშაობის ორგანიზატორის თა-  
ნამდებობა გადაკეთდეს სკოლის დირექტორის მოადგილედ აღმზ-  
რდელითი მუშაობის დარგში ორგანიზატორისათვის დადგენი-  
ლი თანამდებობრივი სარგოს შენარჩუნებით.

3. დაევალოს აღმზრდელითი მუშაობის განყოფილებას (ამხ.  
ე. ზარქუა) კადრების სამმართველოსთან ერთად (ამხ. ა. ჭაჭია) ერ-  
თი თვის ვადაში შეიმუშაოს და წარმოადგინოს დასამტკიცებელი  
დებულებები აღმზრდელითი მუშაობის დარგში უმაღლესი სას-  
წავლებლის პრორექტორის, საშუალო სპეციალური სასწავლებ-  
ლისა და საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილის შესახებ.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის  
მოადგილეს ამხ. კ. სუჯაშვილს.

მ ი ნ ი ს ტ რ ი გ. ე ნ უ ჭ ი ძ ე

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს  
1989 წლის 11 ოქტომბრის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 608

უმაღლეს სასწავლებლებში მეცნიერების ეფექტიანობის  
ამაღლების ღონისძიებათა შესახებ

რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ამჟამად მნიშვნელოვანი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი დაგროვდა, რაც ბევრი სახალხო-სამეურნეო პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა. მიუხედავად ამისა მისი გამოყენების ეფექტიანობა არასაკმარისია. მეცნიერების მართვისა და ეფექტიანობის ასამაღლებლად მთელი სისრულით არ გამოიყენება ეკონომიკური მიდგომის მეთოდი, უზრუნველყოფილი არ არის სათანადო პასუხისმგებლობა გამოკვლევათა მეცნიერული ღონისადმი.

უმაღლეს სასწავლებლებში მეცნიერულ კვლევათა ეფექტიანობის  
ამაღლების, მათი ჩატარების ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით და „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის  
ამაღლებისათვის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 30 აგვისტოს № 435 დადგენილების შესასრულებლად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. უმაღლესი სასწავლებლების რექტორებმა:

1.1. გააფართოონ გამოკვლევები მეცნიერების პრიორიტეტული მიმართულებებით. სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და დარგობრივი სამინისტროების მიერ შედგენილი პროგრამების ფარგლებში ფუნდამენტურ კვლევათა ჩასატარებლად უზრუნველყონ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების კონკურსებში უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერთა აუცილებელი მონაწილეობა, აღნიშნულ პროგრამათა დავალებების მიხედვით კვლევების ჩატარებისათვის და შესაბამისი ფინანსების მისაღებად.

1.2. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად მიიჩნეოდა კომპლექსური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამის „საქართველო: მეცნიერება, ტექნიკა, ხარისხი 90“ დავალებათა შესრულების უზრუნველყოფა. ყოველწლიურად 15 იანვრამდე სამინისტროში წარმოადგინონ ინფორმაცია ამ პროგრამის დავალებათა შესრულების შესახებ.

1.3. უზრუნველყონ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ორგანიზაციებთან ერთობლივ გამოკვლევათა განვითარება, ამ მიზნით ჩაატარონ მუშაობა ერთობლივი სასწავლო-სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსების, დროებითი სამეცნიერო კოლექტივების, ლაბორატორიებისა და ა. შ. შესაქმნელად.

1.4. გააანალიზონ პრობლემური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიებისა და საინჟინრო ცენტრების მუშაობა, განახორციელონ ღონისძიებები რესპუბლიკაში მალაღებეჭტური ტექნოლოგიური წარმოებების შექმნაში მათი პრაქტიკული წვლილის გასაზრდელად.

1990 წლის 1-ლი აპრილისათვის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განყოფილებას წარმოუდგინონ წინადადებები აღნიშნული ლაბორატორიებისა და ცენტრების ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის.

1.5. განავითარონ საძიებო და გამოყენებითი კვლევები, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები დარგთაშორისი და დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების გადასაწყვეტად, მათ შორის გაერთიანებათა და საწარმოთა დაკვეთით.

2. სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განყოფილებამ (ამხ. კ. ლოლუა):

2.1. უზრუნველყოს მე-13 ხუთწლედისათვის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების ნუსხის შემუშავება მეცნიერების განვითარების პრიორიტეტული მიმართულებებისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საჭიროებებიდან გამომდინარე.

2.2. გაავრძელოს მუშაობა იმ სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრების, სამეცნიერო-სასწავლო-საწარმოო გაერთიანებებისა და ორგანიზაციების ქსელის გასაფართოებლად, რომლებიც მოწოდებულნი არიან რესპუბლიკის პრობლემების გადასაწყვეტად, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნებთან ერთობლივი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების ქსელის გასაფართოებლად მსოფლიო ბაზარზე გასვლისა და მათ მიერ წარმოებულ პროდუქციის რეალიზაციის მიზნით.

2.3. გაუწიოს უმაღლესი სასწავლებლებს მუდმივი სამეცნიერო-შეთოდური დახმარება საზღვარგარეთის ქვეყნებთან სამეცნიერო-ტექნიკური კონტაქტების გაფართოების საქმეში, ხელი შეუწყოს საზღვარგარეთის წამყვან სამეცნიერო ცენტრებში უმაღლესი სასწავლებლების სპეციალისტთა მეცნიერული დონის ამაღლებას. შეადგინოს საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრების ნუსხა უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერ მუშაკთა, სპეციალისტთა და ასპირანტთა მივლინებაში სამომავლოდ გაგზავნის თვალსაზრისით.

2.4. წარმოადგინოს წინადადება სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა განყოფილების შემადგენლობაში საზღვარგარეთის ქვეყნებთან სამეცნიერო-ტექნიკური კავშირების სამსახურის შექმნის შესახებ.

3. სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განყოფილებამ და საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ამხ. კ. ლოლუა, ი. ისაშვილი):

3.1. უზრუნველყონ საკონკურსო საფუძველზე კონკრეტული ფუნდამენტური სამუშაოების, რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამებისა და საინიციატივო საძიებო კვლევების სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივ დაფინანსებაზე გადაყვანა.

3.2. შექმნან სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების რეზერვი იმ უმნიშვნელოვანესი კვლევების დასაფინანსებლად, რომელთა ჩატარების აუცილებლობა წლის განმავლობაში წარმოიქმნება და აგრეთვე საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროგრამა კვლევების დასაჩქარებლად.

4. სამინისტროს ხელმძღვანელი, სამეცნიერო-პედაგოგიური კადრებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სამმართველომ (ამხ. ა. ქაჭია):

4.1. გაააქტიუროს უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობა ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოსავლენად და მათი ასპირანტურაში მოსამზადებლად. უფრო ფართოდ დაინერგოს ახალგაზრდა სპეციალისტების მივლინება ქვეყნის და საზღვარგარეთის მსხვილ სამეცნიერო ცენტრებში წინასწარ სტაჟირებისათვის.

5. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დაეკისროს მინისტრის მოადგილეს ამხ. რ. ხუროძეს.

მინისტრი გ. ენუქიძე

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს  
1989 წლის 11 ოქტომბრის  
ბრძანება № 604

1989 წლის 6 თვეში რესპუბლიკის სახალხო განათლების  
სისტემაში მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის  
სამართლებრივი აღზრდის, სწავლებისა და სამართალდარღვევათა  
პროფილაქტიკის მიზნით გატარებულ ღონისძიებათა  
შედეგების შესახებ

უკანასკნელ პერიოდში, რესპუბლიკის სახალხო განათლების  
სისტემაში ვარკვეული მუშაობა ტარდება მოსწავლე და სტუდენ-  
ტი ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის, სწავლებისა და მათ  
შორის სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისათვის. ამ მიზნით  
შემუშავებულია კომპლექსურ ღონისძიებათა ერთიანი სისტემა,  
რომელიც მოიცავს სოციალურ-პოლიტიკურ, ზნეობრივ, სამართ-  
ლებრივ, ფსიქოლოგიურ, ესთეტიკურ, მედიკო-ბიოლოგიურ და  
სხვა ასპექტებს.

მ/წლის 6 თვეში ჩატარებულ ღონისძიებათა შორის აღსანიშნა-  
ვია საქართველოს სსრ სახალხო განათლებისა და შინაგან საქმეთა  
სამინისტროების გაერთიანებული კოლეგია, საქართველოს სსრ  
იუსტიციის სამინისტროსთან ერთობლივად ზოგადსაგანმანათლებ-  
ლო სკოლებისა და საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებ-  
ლების მოსწავლეთა სამართლებრივი ცოდნის რესპუბლიკური ოლიმ-  
პიადი, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორთა  
რესპუბლიკური თათბირი და ა. შ.

გაწეული მუშაობის შედეგად შენარჩუნებულია მოსწავლეთა და  
სტუდენტთა მიერ ჩადენილი დანაშაულის კვლების ტენდენცია.

მიუხედავად ამისა, როგორც საქართველოს სსრ პროკურატურის  
ა/წლის 30 მაისის № 21—126—89 წერილშია მითითებული, რეს-





პუბლიკაში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარებებში გამოიკვეთა არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა წინააღმდეგ პროფილაქტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების აუცილებლობა. კერძოდ: 1989 წლის I ნახევარში დანაშაულში მონაწილეობდა 182 არასრულწლოვანი, დანაშაულის ზრდა შეიმჩნევა შემდეგ ქალაქებსა და რაიონებში: თბილისში, გორში, ფოთში, ზუგდიდში, გარდაბანში, ბოლნისში, წალენჯიხაში, მიაკოვსკში, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სხვა.

არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების ზრდა უმეტეს შემთხვევაში განპირობებულია სასწავლო დაწესებულებებში აღმზრდელობით მუშაობაში დაშვებული შეცდომებით, მოზარდთა მიერ სამართლებრივი კანონმდებლობის არცოდნით თუ უბატივცემლობით, არასრულწლოვანთა უზედამხედველობით, მოუწყვსრიგებელი ოჯახური გარემოთი, ქუჩის გავლენით და ა. შ. დღეისათვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებში აღრიცხვაზეა აყვანილი 3000-ზე მეტი მოზარდი და 1200-მდე ბავშვის მშობელი, საგულისხმოა ისიც, რომ ყოველი მეორე მოზარდი აღრიცხვიდან ეხსნება 18 წლის ასაკის შესრულების გამო.

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების სახეებიდან სქარბობს პირადი და სახელმწიფო ქონების ქურდობა, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცება, ხულიგნობა, მოქალაქისათვის სხეულის მსუბუქი და მძიმე ხარისხის დაზიანების მიყენება, ამასთან, ადგილი აქვს მკვლელობასა და მკვლელობის მცდელობას, სახელმწიფო და პირადი ქონების ძარცვას, ნარკომანიას, ავტოსაგზაო შემთხვევებს.

უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს არასრულწლოვანთა ჯგუფური დანაშაულებები. აღმამფოთებელია ისიც, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში გავრცელდა მოზარდთა შორის კონფლიქტური სიტუაციების მასობრივი გარჩევა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, რაც უმეტეს შემთხვევაში მძიმე შედეგით მთავრდება და ხელჰყოფს მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. მსგავსი შემთხვევები ფიქსირებულია თბილისში, ქუთაისში და სხვა.

მ/წლის I ნახევარში მოზარდთა დანაშაულის პროფილაქტიკის საქმეში სერიოზული გართულება შეიქმნა სარკინიგზო ტრანსპორტზე. საქართველოს სატრანსპორტო შინაგან საქმეთა სამმართველოს ცნობის თანახმად აღნიშნულ პერიოდში სხვადასხვა წვრილმანი დანაშაულისათვის გამოკლენილია: ზოგადასაგანმანათ-



ლებლო სკოლის მოსწავლე — 1197, საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე — 440, სხვა სახის სასწავლო დაწესებულებებიდან — 105. ამასთან, აღრიცხულია ისეთი ფაქტებიც, როგორცაა მოძრავი შემადგენლობიდან სახელმწიფო ქონების დატაცება, ზოროტი ხულიგნობა, პირადი ქონების ქურდობა.

დამაფიქრებელია ისეთი გავრცელებული დანაშაულის სახე, როგორცაა მოძრავი სამგზავრო მატარებლის მინების ჩამსხვრევა, რაც საშიშროებას უქმნის მგზავრების უსაფრთხო გადაყვანას. მ/წლის 6 თვეში მსგავს დანაშაულში მარტო მარნეულის, გარდაბნის, გორის, თბილისისა და კასპის ტერიტორიაზე მხილებულ იქნა 26 მოზარდი.

შექმნილი ვითარება მეტყველებს იმაზე, რომ სახალხო განათლების ორგანოებმა და სასწავლო დაწესებულებებმა დღემდე ვერ გარდაქმნეს თავიანთი საქმიანობა თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად. ჯერ კიდევ ადგილი აქვს უპასუხისმგებლობასა და უკონტროლობას, ცვლავ შეიმჩნევა ფორმალიზმი და საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება. მიუხედავად არაერთგზის პრინციპული მოთხოვნისა, ცალკეული განათლების ორგანოები და სასწავლო დაწესებულებების პედაგოგიური კოლექტივები მოჩვენებითი კეთილდღეობის შექმნის მიზნით ჩქმალავენ მოსწავლეთა და სტუდენტთა მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ფაქტებს, არ რეაგირებენ ან არ აცნობებენ სამინისტროს შესაბამის სამსახურს ჩადენილი სამართალდარღვევათა შესახებ. ამასთან სრულიად არასაკმარისია სასწავლო დაწესებულებათა და ადგილობრივი სამართალდაცვითი ორგანოების ურთიერთთანამშრომლობა მოზარდთა შორის მოსალოდნელი დანაშაულებების თავიდან ასაცილებლად.

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. აფხაზეთისა და აჭარის სახალხო განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ხელმძღვანელებმა:

1.1. ადგილობრივი სამართალდაცვითი და სხვა დაინტერესებული ორგანოების წარმომადგენელთა მონაწილეობით. მ. წ. ნოემბრამდე გაანაღოზონ ადგილებზე შექმნილი ვითარება, დასახონ ერთობლივი კონკრეტული ღონისძიებანი მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის, განათლებისა და მათ



შორის მოსალოდნელი დანაშაულის დროული პროფილაქტიკის მიზნით.

1.2. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილონ დანაშაულებრივი ქმედების მიდრეკილების მქონე მოზარდთა დროულ გამოვლენაზე. ადგილობრივ დაინტერესებულ ორგანოებთან ერთად შკაცი კონტროლი დააწესონ ძნელად აღსაზრდელ და სკოლის რეჟიმს ძნელად შემგუებელ მოსწავლეთა საქმიანობაზე, როგორც სასწავლებლებში, ისე მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. უზრუნველყონ პედაგოგიურად მიშვებულ და ოჯახის ყურადღებას მოკლებულ მოსწავლეთა ჩაბმა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში.

1.3. გააანალიზონ მოსწავლეთა და სტუდენტთა გარკვეული ნაწილის მიერ ანტისაზოგადოებრივ ქცევათა გამოვლინების გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი პირობები. ყოველი დანაშაულებრივი ფაქტი გახადონ ფართო მსჯელობის საგნად.

სახალხო განათლების სამინისტროში ოპერატიულად წარმოადგინონ შეტყობინება სამართალდარღვევის შესახებ, ხოლო 10 დღის ვადაში ინფორმაცია მასზედ რეაგირების თაობაზე;

1.4. კვლავაც იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ სახალხო განათლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების 1989 წლის 11 მარტის ერთობლივი კოლეგიის გადაწყვეტილებით.

2. რესპუბლიკის პედაგოგიურმა და უმაღლესი სასწავლებლების მრავალტირაჟიანმა გაზეთებმა სისტემატურად გააშუქონ მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის პრობლემები, ამ საქმეში დაგროვილი მოწინავე პედაგოგიური გამოცდილება.

3. აღმზრდელობითი მუშაობის განყოფილებამ (ე. ზარქუა) და სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის აღმზრდელობითი მუშაობის ლაბორატორიამ.

3.1. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სასწავლო დაწესებულებებში მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის ფორმებისა და მეთოდების შემდგომ სრულყოფას. აამაღლონ სასწავლებლის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა მოსალოდნელი დანაშაულის თავიდან აცილების საქმეში;

3.2. სისტემატიურად შეისწავლონ ცალკეულ რეგიონებსა და სასწავლო დაწესებულებებში არსებული ოპერატიული ვითარება. ადგილებზე გაატარონ ქმედითი ღონისძიებები მოსწავლეთა და სტუდენტთა შორის სამართალდარღვევების ხელშემწყობი პირო-



ბებისა და გამომწვევი მიზეზების დროული აღმოფხვრისათვის სისტემატიურად განაზოგადონ და პრაქტიკაში დანერგონ სამართლებრივი აღზრდის დადებითი გამოცდილებანი, განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

4. აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის განყოფილებას (ე. ზარქუა).

მინისტრის მოადგილე კ. სუჭაშვილი

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს  
1989 წლის 11 ოქტომბრის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 605

რესპუბლიკის ზოგიერთ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში  
სწავლების ახალი ფორმისა და შინაარსის დანერგვის  
ღონისძიებათა შესახებ

1988-89 სასწავლო წელს რესპუბლიკის ზოგიერთ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში კვალიფიციურ მუშათა კადრების მომზადების თვისებრივი განახლების, წარმოების განახლებულ ტექნოლოგიურ პროცესთან სწავლების შინაარსის შესაბამისობაში მოყვანის, პროფესიების ინტეგრირების, სასწავლებლების მუშაობის ფორმისა და შინაარსის რადიკალურად გარდაქმნის მიზნით განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებებისა, რაც ქმნის წინაპირობას ახალი ტიპის სასწავლო დაწესებულებათა შექმნისათვის.

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. მიღებულ იქნეს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების განყოფილების (ამხ. ი. კვიციანი) წინადადება თბილისის მე-11 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ბაზაზე სამხატვრო კოლეჯის, თბილისის მე-18 და ბათუმის 44-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ბაზაზე სამშენებლო რეალური სასწავლებლების, თბილისის 24-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ბაზაზე საფეიქრო-სამკერვალო საოსტატო სასწავლებლის, კაპრეთის 137-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ბაზაზე პურპროდუქტების წარმოების ოსტატთა სასწავლებლის, ზუგდიდის 103-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ბაზაზე აგრომექანიზატორთა (ფერმერ-მეიჯარეთა) სასწავლებლის, თბილისის 71-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ბაზაზე მეავეჯეთა და ხალხური რეწვის ოსტატთა სასწავლებლის შექმნის თაობაზე.

2. ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველომ (ამხ. ამხ. ა. ეჯიბაძე, თ. კვიციანი) საგეგმო-



საფინანსო სამმართველოსთან (ამხ. ი. ისაშვილი) და სამეცნიერო მეთოდურ ცენტრთან (ამხ. ა. კაპანაძე) ერთად.

— უზრუნველყოს ახალი ტიპის სასწავლო დაწესებულებათა ჩამოსაყალიბებლად საორგანიზაციო ჯგუფების შექმნა და ხელმძღვანელობა გაუწიოს მათ მუშაობას.

— ორგანიზებულად წარმართოს მუშაობა სასწავლო-აღმზრდელთბითი პროცესის ახალი შინაარსის კომპლექსურ-მეთოდური უზრუნველყოფისათვის. განსახილველად წარმოადგინოს სასწავლებლების ახალი მოდელების ვარიანტები მიმდინარე წლის ბოლომდე.

3. ვეალებთ ზემოთ აღნიშნული პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ხელმძღვანელებს საბაზო საწარმოთა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მონაწილეობით მოსამზადებელი პროფესიების ინტეგრაციის საფუძველზე დაამუშაონ სასწავლო, თემატური გეგმები და პროგრამები.

4. საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. შ. ამონაშვილი) ქართული ეროვნული სკოლის განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით დახმარება გაუწიოს სასწავლებლებს ახალი ტიპის სასწავლო დაწესებულების შექმნასა და სასწავლო-აღმზრდელთბითი პროცესის ორგანიზაციაში.

5. ხელმძღვანელი, სამეცნიერო-პედაგოგიური კადრებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სამმართველომ (ამხ. ა. ჭაჭია), მომარაგება-გასაღების სამმართველომ (ამხ. გ. გოდერძიშვილი): სწავლების ახალი შინაარსის შესაბამისად დახმარება გაუწიონ სასწავლებლებს ინჟინერ-პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლები-სა და სასწავლო მატერიალური ბაზის განმტკიცებაში.

6. კონტროლი სასწავლებლებში სწავლების ახალი შინაარსის დანერგვის მიმდინარეობაზე დაევალოს მინისტრის მოადგილეს ნ. გურგენიძეს. ინფორმაცია მუშაობის მიმდინარეობის თაობაზე კვარტალში ერთხელ მოხსენდეს სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა ოპერატიულ თათბირს.

მინისტრი გ. ენუქიძე

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს  
1989 წლის 11 ოქტომბრის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 606

ქ. რუსთავის № 24 რუსული საშუალო სკოლიდან ქართული  
სექტორის გამოყოფისა და მის ბაზაზე ქართული საშუალო  
სკოლის გახსნის შესახებ

რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის  
მ. წ. 7 ივლისის № 502 წერილის საფუძველზე  
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოეყოს მიმდინარე სასწავლო წლიდან № 24-ე რუსულ  
საშუალო სკოლას ქართული სექტორი და ამავე სექტორის ბაზაზე  
გაიხსნას ქართული საშუალო სკოლა.

2. სკოლის გახსნასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება  
მოხდეს ქალაქის განათლების დაწესებულებებისათვის 1989/90  
წლებში გამოყოფილი საბიუჯეტო ასივნებიდან.

3. დაევალოს განათლების განყოფილების გამგეს, სკოლა უზ-  
რუნველყოს ინვენტარ-მოწყობილობით, თვალსაზრისით და კვა-  
ლიფიციური პედაგოგიური კადრებით.

4. ბრძანების შესრულების კონტროლი დაევალოს საგეგმო-სა-  
ფინანსო სამმართველოს (ამხ. ი. ისაშვილი).

მინისტრი გ. ე ნ უ ქ ი ძ ე

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს  
1989 წლის 16 ოქტომბრის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 609

საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა  
მშენებლობის რაზმის შექმნის შესახებ

სტიქიის შედეგად დაზარალებული აჭარელი მოსახლეობისათვის  
ახალქალაქის რაიონში საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში  
მონაწილეობის მიღებისა და მშენებლობის დაჩქარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეიქმნას ბორჯომის № 7 საშუალო პროფესიულ-ტექნიკუ-  
რი სასწავლებლის დამამთავრებელი კურსების — შემღესველის,  
მღებავისა და დურგლის პროფესიის მოსწავლეთა სამშენებლო რაზ-  
მი 60 მოსწავლისა და 6 საწარმოო სწავლების ოსტატის შემად-  
გენლობით და მიმდინარე წლის 12 ოქტომბრიდან ერთი თვის ვა-  
დით გაგზავნილ იქნეს ახალქალაქის რაიონის სოფ. ოკაშსა და კო-  
თელიაში, აჭარელი მოსახლეობისათვის საცხოვრებელი სახლების  
მშენებლობაზე;

2. ბორჯომის № 7 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავ-  
ლებლის დირექტორმა (ამხ. გ. მაისურაძე):

— ჩაატაროს სათანადო ახსნა-განმარტებითი საუბრები რაზმის  
მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან აღნიშნული ღონისძიების  
საპასუხისმგებლო და ეროვნულ-პატრიოტული მნიშვნელობის შე-  
სახებ;

— სასწავლო-საწარმოო პროცესის სრულყოფის მიზნით მოახ-  
დინოს შესაბამისი კორექტირება სასწავლო გეგმებსა და პროგრა-  
მებში თეორიული და საწარმოო სწავლების ერთი თვით მონაც-  
ვლების პრინციპით და მოსწავლეები გადაიყვანოს მუდმივ საწარ-  
მოო პრაქტიკაზე; უზრუნველყოს ისინი სამშენებლო იარაღებითა  
და სპეცტანსაცმლით;



— გააფორმოს ხელშეკრულება გენმოიჯარადრე ორგანიზაციასთან — „საქაგრომშენთან“ (თემჯდომარის მოადგილე, მშენებლობის შტაბის უფროსი — დ. კ. კოვზირიძე) მოსწავლეთა საცხოვრებელი ადგილით, კვებით, სამშენებლო ფრონტითა და შესაბამისი ანაზღაურებით უზრუნველყოფის გათვალისწინებით;

— რაზმის საერთო ხელმძღვანელობა დაავალოს სასწავლებლის უფროს ოსტატს (ამხ. მ. სალაღია), რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს მოსწავლეთა მიერ უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვასა და სამუშაო ნორმების შესრულებაზე.

3. ეთხოვოს რგ „საქაგრომშენის“ ხელმძღვანელობას (ამხ. დ. კოვზირიძე):

— შექმნას მოსწავლეთათვის ნორმალური საყოფაცხოვრებო და შრომითი პირობები, უზრუნველყოს სამშენებლო მასალების რიტმული მოწოდება.

4. დაევალოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების განყოფილებას (განყოფილების უფროსი ა. კიკნაძე, მთ. ინსპექტორი ა. შალამბერიძე);

— უზრუნველყოს სამშენებლო რაზმის შექმნასთან, მათ გადაყვანასა და სამშენებლო ობიექტებზე განაწილებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარება, თვალყური ადევნოს რაზმის მუშაობას.

5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ზოგადსაშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველოს (ამხ. ა. ეჯიბაძე).

მინისტრი გ. ენუქიძე



საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს  
 1989 წლის 17 ოქტომბრის  
 ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 612

1989/1990 სასწავლო წელს რესპუბლიკის უმაღლესი  
 სასწავლებლების მოსამზადებელ განყოფილებებზე  
 მიღების შესახებ

რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების რექტორატები გარკვეულ მუშაობას ატარებენ მოსამზადებელი განყოფილებების მოწინავე მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდებით გეგმაზომიერი დაკომპლექტებისათვის.

მოსამზადებელ განყოფილებებზე მშრომელი ახალგაზრდობის მიზნობრივი მომზადება ხელს უწყობს წარმოებებსა და უმაღლეს სასწავლებელს შორის კავშირების განმტკიცებას, სახალხო მეურნეობის დარგების მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებით უზრუნველყოფას.

1989/1990 სასწავლო წელს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების მოსამზადებელ განყოფილებებზე მიღებისათვის განსაზღვრულია 1305 ადგილი.

რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების მოსამზადებელ განყოფილებებზე ორგანიზებულად დაკომპლექტების მიზნით  
 ე ბ რ ძ ა ნ ე ბ :

დამტკიცდეს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების მოსამზადებელ განყოფილებებზე 1989/1990 სასწავლო წელს მიღების გეგმა (დანართი № 1).

1. სადირექტივო ორგანოების მითითებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან შემოსული წინადადებების შესაბამისად მოსამზადებელ განყოფილებებზე სპეციალისტთა მიზნობრივი მომზადებისათვის გამოეყოთ ადგილები: სტიქიით დაზარალებული რაიონებიდან გადმოსახლებულ და ამ რაიონების მკვიდრ ახალგაზრდებს, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, ქ. ორჯონიკიძის ქართული

სკოლების კურსდამთავრებულთ, ზოგიერთი მაღალმთიანი რეგიონის მაცხოვრებლებს, ინგილოებს; დანართი № 2

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მითითების შესაბამისად დაკმაყოფილდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის შუამდგომლობა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოსამზადებელი განყოფილების შექმნის შესახებ.

3. ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის მოსამზადებელი განყოფილება დაკომპლექტდეს აჭარის ასსრ ხულოს, ქედის, შუახევის, რაიონებიდან, ხელვაჩაურის რაიონის მაღალმთიანი ზონიდან მოვლინებული ახალგაზრდებით.

4. საკავშირო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1988 წლის 5 ივლისის № 528 ბრძანების შესაბამისად თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაზე შეიქმნას საღამოს სწავლების ფორმა.

5. საბჭოთა კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის 1989 წლის 7 ივნისის № 478 ბრძანების 1.1 პუნქტის შესაბამისად სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაზე წარმოებისაგან მოუწყვეტილ სწავლებაზე მიღებულ იქნენ ერთი წლის მუშაობის სტაჟის მქონე უმცროსი მედიკოსები და სანიტრები.

6. გორის ეკონომიკურ ინსტიტუტში სასწავლო პროცესის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ინსტიტუტის სპეციალური კაფედრების დახმარებით დაკმაყოფილდეს უმაღლესი სასწავლებლის რექტორატის შუამდგომლობა მოსამზადებელი განყოფილების გახსნის შესახებ.

7. რესპუბლიკაში შექმნილი დემოგრაფიული სიტუაციის გათვალისწინებით აბიტურიენტები მრავალშვილიანი ოჯახებიდან (5 და მეტი შვილი), ახალგაზრდა დედები, რომელთაც ყავთ 3 და მეტი შვილი გასაუბრების წარმატებით ვავლის შემთხვევაში ჩაირიცხონ კონკურსგარეშე.

8. დაევალოთ უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს, მოსამზადებელი განყოფილების გამგეებს:

8.1. მოსამზადებელი განყოფილებების დაკომპლექტება განახორციელონ საკავშირო სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის 1989 წლის 7 ივნისის № 473 და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს 1987 წლის 7 ივლისის № 504 ბრძანების შესაბამისად;

8.2. ორგანიზაციულად უზრუნველყონ მოსამზადებელ განყოფილებებზე აბიტურიენტთა საბუთების მიღება, გასაუბრება და ჩაირიცხვა დებულებით გათვალისწინებულ ვადებში:



8.3. მოსამზადებელ განყოფილებებზე მსმენელთა ჩარიცხვა ხა-  
ატარონ ობიექტურობის, კეთილგანწყობის ვითარებაში, საჯარო-  
ბისა და დემოკრატიის პრინციპების მკაცრად დაცვის მოთხოვნით;

8.4. უზრუნველყონ მსმენელები საჭირო მატერიალურ-ტექნი-  
კური ბაზითა და სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით;

8.5. გააუმჯობესონ მოსამზადებელ განყოფილებებზე მსმენე-  
ლებთან აღმზრდელობითი და სასწავლო-მეთოდური მუშაობა —  
სპეციალისტთა მომზადების ხარისხის ამაღლების მიზნით.

9. ეთხოვოს ვაზეთების „სახალხო განათლება“, „ახალგაზრდა  
ივერიელი“, „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქციებს დროულად გა-  
მოაქვეყნონ განცხადებები მოსამზადებელ განყოფილებების მი-  
ღების შესახებ.

10. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს განყოფი-  
ლების უფროსს ამხ. გ. ლასხიშვილს.

მინისტრის მოადგილე რ. ხუროძე



1989—1990 სასწავლო წელს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებთან  
არსებულ მოხაზუადებელ განყოფილებაზე მიღების გეგმა

| №№  | უმაღლესი სასწავლებლის დასახელება                          | გამოყოფილი ადგი-<br>ლების რაოდენობა |
|-----|---|-------------------------------------|
| 1.  | თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი                          | 336                                 |
| 2.  | საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი                       | 200                                 |
| 3.  | ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი                          | 120                                 |
| 4.  | თბილისის ს. ორბელიანის სახელობის პედაგოგიური<br>ინსტიტუტი | 111                                 |
| 5.  | თბილისის ს. ორბელიანის სახელობის პედაგოგიური<br>ინსტიტუტი | 86                                  |
| 6.  | თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი                 | 25                                  |
| 7.  | ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი                            | 81                                  |
| 8.  | ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი                            | 46                                  |
| 9.  | სამხრეთ-ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტი                      | 35                                  |
| 10. | ზათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი                             | 39                                  |
| 11. | გორის ეკონომიკური ინსტიტუტი                               | 49                                  |
| 12. | თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი                             | 69                                  |
| 13. | თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი                             | 125                                 |
| 14. | საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი                   | 125                                 |
| 15. | საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი                   | 100                                 |
| 16. | საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტი                     | 25                                  |
| 17. | საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტი-<br>ტუტი        | 50                                  |

ს უ ლ

1305



**საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს  
1989 წლის 24 ოქტომბრის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 630 .**

**საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების  
რეორგანიზაციის შესახებ**

საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტი-  
ვებიდან გამომდინარე, ეროვნულ მუშათა კადრების აღზრდის, პრო-  
ფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სპეციალიზაციის დაჩქარე-  
ვისა და საზოგადოებაში მათი პრესტიჟის ამაღლების უზრუნველ-  
საყოფად.

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. 1989-90 სასწავლო წლიდან რესპუბლიკის საშუალო პრო-  
ფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები რეორგანიზებულ იქნენ სა-  
ქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროსა და უწყებ-  
რივი დაქვემდებარების მიხედვით:

- 1.1. საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო
  2. ბათუმის № 1 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლე-  
ბელი — ბათუმის მრავალდარგოვან სასწავლებლად
  3. ენისელის № 2 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლე-  
ბელი — ენისელის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად
  4. რუსთავის № 3 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავ-  
ლებელი — რუსთავის № 1 მეტალურგიულ სასწავლებლად
  5. ქუთაისის № 4 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავ-  
ლებელი — თბილისის ლითონდამამუშავებელთა სასწავლებ-  
ლად.
  6. თბილისის მე-6 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავ-  
ლებელი — თბილისის ჩარხმშენებელთა სასწავლებლად;
  7. ბორჯომის № 7 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავ-  
ლებელი — ბორჯომის სამშენებლო სასწავლებლად;



8. ხონის № 8 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ხონის ავტომშენებელთა სასწავლებლად;
9. ხონის № 9 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ხონის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და საავტომობილო ტრანსპორტის სასწავლებლად;
10. გარდაბნის № 10 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — გარდაბნის № 1 სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
11. თბილისის მე-11 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის სამხატვრო-სამშენებლო სასწავლებლად;
12. ფოთის № 12 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ფოთის გემთმშენებელ-შემკეთებელთა სასწავლებლად.
13. ველისციხის № 13 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ველისციხის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად (ფერმერ-მეიჯარეთა სკოლად);
14. სურამის № 14 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — სურამის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
15. ხიდისთავის № 15 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ხიდისთავის № 1 სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
16. რუსთავის № 16 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — რუსთავის № 1 ქიმიკოსთა სასწავლებლად;
17. რუსთავის № 17 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — რუსთავის მშენებელ-რესტავრატორთა სასწავლებლად;
18. თბილისის № 18 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის მშენებელ-რესტავრატორთა სასწავლებლად;
19. ჭიათურის № 20 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ჭიათურის № 1 მრავალდარგოვან სამთო სასწავლებლად;
20. ქუთაისის № 21 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ქუთაისის მშენებელ-რესტავრატორთა სასწავლებლად;
21. თბილისის № 23 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის № 1 საფეიქრო-სამკერვალო სასწავლებლად;
22. თბილისის № 24 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავ-



ლებელი — თბილისის № 2 საფეიქრო-სამკერვალო სასწავლებელი;

23. კაზრეთის № 25 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — კაზრეთის მრავალდარგოვან სამთო სასწავლებლად.
24. თბილისის № 26 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის ელმავალმშენებელთა სასწავლებლად;
25. თბილისის № 27 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის მსუბუქი მრეწველობის სასწავლებლად;
26. სამტრედიის № 28 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — სამტრედიის სამშენებლო-სამონტაჟო სასწავლებლად.
27. ვალეს № 29 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ვალეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სასწავლებლად;
28. ნოჯიხევის № 30 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ნოჯიხევის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
29. თბილისის № 32 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის ელექტროვაგონმშენებელთა სასწავლებლად;
30. ქუთაისის № 33 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ქუთაისის ელექტროტექნიკოსთა სასწავლებლად;
31. თბილისის № 34 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის საბუღალტრო და მბეჭდავ-მემანქანეთა სასწავლებლად;
32. თბილისის № 35 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის № 1 სამკერვალო სასწავლებლად;
33. თბილისის № 36 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის № 3 საფეიქრო-სამკერვალო სასწავლებლად;
34. ქუთაისის № 37 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ქუთაისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკურ სასწავლებლად;
35. გორის № 39 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — გორის საფეიქრო სასწავლებლად;
36. ქარელის № 40 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ქარელის № 1 სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
37. თბილისის № 41 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავ-





- ლებელი — თბილისის სავაჭრო-კულინარულ სასწავლებელი;
38. ქუთაისის № 42 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ქუთაისის სამკერვალო სასწავლებლად;
  39. ბათუმის № 44 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ბათუმის № 1 სამშენებლო სასწავლებლად.
  40. სოხუმის № 45 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — სოხუმის სამშენებლო სასწავლებლად;
  41. ქუთაისის № 46 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, ქუთაისის № 172 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ქუთაისის საბუღალტრო და მბეჭდავ-მემანქანეთა სასწავლებლად;
  42. გარდაბნის № 47 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — გარდაბნის სამშენებლო სასწავლებლად;
  43. ლანჩხუთის № 48 საშუალო მექანიკური პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ლანჩხუთის ლითონდამუშავებელთა სასწავლებლად;
  44. თბილისის № 49 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის № 1 ელექტროტექნიკურ სასწავლებლად;
  45. გალის № 50 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — გალის № 1 სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
  46. თბილისის № 51 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის № 2 ელექტროტექნიკურ სასწავლებლად;
  47. თელავის № 52 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თელავის საფეიქრო-სამკერვალო სასწავლებლად;
  48. ოზურგეთის № 53 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ოზურგეთის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
  49. თბილისის № 54 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის სამშენებლო-ავტომექანიზაციის სასწავლებლად;
  50. საგარეჯოს № 55 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — საგარეჯოს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
  51. რუსთავის № 56 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — რუსთავის ქიმიკოსთა № 2 სასწავლებლად;
  52. დუშეთის № 57 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — დუშეთის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
  53. სოხუმის № 58 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — სოხუმის მრავალდარგოვან სასწავლებლად;



54. მარტვილის № 59 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — მარტვილის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი;
55. თბილისის № 60 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის მრავალდარგოვან სასწავლებლად;
56. რუსთავის № 61 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — რუსთავის მშენებელ-მემონტაჟეთა სასწავლებლად;
57. ზუგდიდის № 62 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ზუგდიდის სამშენებლო სასწავლებლად;
58. თბილისის № 63 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის სამშენებლო-მენავთობეთა სასწავლებლად;
59. ხაშურის № 64 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ხაშურის საფეიქრო-საგალანტერიო სასწავლებლად;
60. თბილისის № 65 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის კავშირგაბმულობის სასწავლებლად;
61. სენაკის № 66 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — სენაკის საფეიქრო-სამკერვალო სასწავლებლად;
62. ქუთაისის № 67 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, ქუთაისის № 149 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ქუთაისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სასწავლებლად;
63. ვანის № 68 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ვანის მშენებელ-რესტავრატორთა სასწავლებლად;
64. მაიაკოვსკის № 69 სასწავლებელი — მაიაკოვსკის მრავალდარგოვან სასწავლებლად;
65. მარნეულის № 70 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — მარნეულის მრავალდარგოვან სამშენებლო სასწავლებლად;
66. თბილისის № 71 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის ხის მხატვრული დამუშავებისა და მეავეჯეთა საოსტატო სკოლა;
67. წითელწყაროს № 72 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — წითელწყაროს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
68. თიანეთის № 73 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თიანეთის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
69. თბილისის № 74 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების № 1 სასწავლებლად;





70. თბილისის № 75 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის კვების მრეწველობის სასწავლებელი;
71. ბათუმის № 76 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ბათუმის მრავალდარგოვან სასწავლებლად;
72. ინჯირის № 77 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ინჯირის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
73. ცხინვალის № 78 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ცხინვალის სამშენებლო სასწავლებლად;
74. თბილისის № 79 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის მრავალდარგოვან-სამრეწველო სასწავლებლად;
75. თბილისის № 80 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების № 2 სასწავლებლად;
76. გორაბერეჯოულის № 81 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — გორაბერეჯოულის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
77. ლანჩხუთის № 83 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ლანჩხუთის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
78. აბაშის № 84 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — აბაშის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
79. სართიჭალის № 85 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — სართიჭალის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
80. რუსთავის № 86 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — რუსთავის № 2 მეტალურგიულ სასწავლებლად;
81. თერჯოლის № 87 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თერჯოლის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
82. ლაგოდეხის № 88 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ლაგოდეხის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
83. მცხეთის № 89 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი მცხეთის მრავალდარგოვან სასწავლებლად;
84. ქობულეთის № 90 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ქობულეთის სავაჭრო-კულინარულ სასწავლებლად;
85. ცაგერის № 91 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ცაგერის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
86. კულაშის № 92 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — კულაშის საფეიქრო-სამკერვალო სასწავლებლად;
87. ჩოხატაურის № 93 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სას-



წავლებელი — ჩოხატაურის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი

- 88. რუსთავის № 94 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — რუსთავის № 3 მეტალურგიულ სასწავლებლად;
- 89. თბილისის № 95 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის ავიამშენებელთა სასწავლებლად;
- 90. თბილისის № 97 საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელი — თბილისის ელექტროგამოთვლითი ტექნიკის სასწავლებლად;
- 91. წალკის № 98 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — წალკის № 1 სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
- 92. ზესტაფონის № 99 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ზესტაფონის № 1 მეტალურგიულ სასწავლებლად;
- 93. ახალციხის № 101 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ახალციხის № 1 სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად.
- 94. გალის № 102 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — გალის № 2 სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
- 95. ზუგდიდის № 103 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად (ფერმერ-მეიჯარეთა სკოლა);
- 96. რუსთავის № 104 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — რუსთავის № 3 ქიმიკოსთა სასწავლებლად;
- 97. ბათუმის № 105 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ბათუმის № 2 სამშენებლო სასწავლებლად.
- 98. ხიდისთავის № 106 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ხიდისთავის № 2 სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად.
- 99. თბილისის № 107 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების № 3 სასწავლებლად.
- 100. თბილისის № 108 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის სამშენებლო სასწავლებლად.
- 101. თბილისის № 110 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის ენერგეტიკულ-სამშენებლო სასწავლებლად;
- 102. თბილისის № 111 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის პოლიგრაფიულ სასწავლებლად.

- 
103. ქუთაისის № 112 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ქუთაისის № 2 ავტომშენებელთა სასწავლებელი;
  104. ბზიფის № 113 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ბზიფის სამშენებლო სასწავლებლად;
  105. ბოლნისის № 114 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ბოლნისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
  106. მარტყოფის № 115 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — მარტყოფის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
  107. ახალქალაქის № 116 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ახალქალაქის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
  108. წალკის № 117 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — წალკის № 2 სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
  109. ვანის № 118 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ვანის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
  110. ხეთის № 119 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ხეთის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
  111. თბილისის № 120 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის სატრანსპორტო საშუალებების ზეინკალ-მსოღოთა სპეციალიზებულ სასწავლებლად;
  112. გარდაბნის № 121 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — გარდაბნის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
  113. ახალციხის № 22 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ახალციხის № 2 სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
  114. თელავის № 127 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თელავის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
  115. თეთრიწყაროს № 128 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თეთრიწყაროს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
  116. ჭიათურის № 129 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ჭიათურის № 2 სამთო სასწავლებლად;
  117. ახმეტის № 130 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ახმეტის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
  118. ცხინვალის № 131 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ცხინვალის საფეიქრო-სამკერვალო სასწავლებლად;

- 
119. თბილისის № 132 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის მრავალდარგოვან ელექტროტექნიკურ სასწავლებლად;
  120. თბილისის № 133 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის რადიო-სატელევიზიო სასწავლებლად;
  121. ბოგდანოვის № 134 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ბოგდანოვის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
  122. კაჭრეთის № 137 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — კაჭრეთის პურპროდუქტების წარმოების ოსტატთა სასწავლებლად;
  123. თბილისის № 138 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის სატრანსპორტო საშუალებების ზეინკალ-მძღოლთა სპეციალიზებულ სასწავლებლად;
  124. სენაკის № 139 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — სენაკის სამშენებლო-სარესტავრაციო სასწავლებლად;
  125. თბილისის № 140 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის № 3 ელექტროტექნიკურ სასწავლებლად;
  126. ცხინვალის № 141 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ცხინვალის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
  127. რუსთავის № 142 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — რუსთავის № 2 სამშენებლო სასწავლებლად.
  128. ზესტაფონის № 144 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ზესტაფონის № 2 მეტალურგიულ სასწავლებლად;
  129. დმანისის № 147 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — დმანისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
  130. კასპის № 148 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — კასპის სამშენებლო სასწავლებლად;
  131. თბილისის № 150 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის ხელსაწყომშენებელთა სასწავლებლად;
  132. თბილისის № 151 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის სავაჭრო სასწავლებლად;
  133. ზესტაფონის № 152 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ზესტაფონის სამშენებლო სასწავლებლად;
  134. საჩხერის № 153 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — საჩხერის საფეიქრო სასწავლებლად;
  135. თბილისის № 154 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის გვირაბგამყვანთა სასწავლებლად;



136. ქარელის № 155 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ქარელის № 2 სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
137. ამბროლაურის № 156 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
138. მესტიის № 157 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — მესტიის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
139. ოჩამჩირის № 159 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ოჩამჩირის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
140. სოხუმის № 160 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — სოხუმის სავაჭრო-კულინარულ სასწავლებლად;
141. ქუთაისის № 161 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ქუთაისის სავაჭრო-კულინარულ სასწავლებლად;
142. რუსთავის № 162 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — რუსთავის საავტომობილო მანქანათმშენებლობის სასწავლებლად;
143. ჯვარის № 163 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ჯვარის მრავალდარგოვან სასწავლებლად;
144. თბილისის № 164 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტულ სასწავლებლად;
145. იყალთოს № 165 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — იყალთოს ხალხური რეწვის სასწავლებლად;
146. თბილისის № 168 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის კომუნალური მეურნეობის სასწავლებლად;
147. ალგეთის № 169 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ალგეთის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
148. გუდაუთის № 170 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — გუდაუთის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
149. თბილისის № 171 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის მბეჭდავ-მემანქანეთა და სტენოგრაფისტთა სასწავლებლად;
150. ადიგენის № 173 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ადიგენის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად;
151. ახალქალაქის № 174 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ახალქალაქის საბავირო გზების მშენებელთა სასწავლებლად.



II. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო

1. თბილისის № 31 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის რკინიგზის № 1 სასწავლებლად.
2. სამტრედიის № 166 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — სამტრედიის რკინიგზის სასწავლებლად;
3. თბილისის № 126 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — თბილისის რკინიგზის № 2 სასწავლებლად.
4. ხაშურის № 109 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ხაშურის რკინიგზის მრავალდარგოვან სასწავლებლად.

III. ს/გ „საქნახშირი“

1. ტყიბულის № 19 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ტყიბულის № 1 სამთო სასწავლებლად;
2. ტყვარჩელის № 22 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ტყვარჩელის სამთო სასწავლებლად;
3. ტყიბულის № 136 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი — ტყიბულის № 2 სამთო სასწავლებლად.

2. რეორგანიზებულ სასწავლებლებზე გავრცელდეს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების შესახებ არსებული ყველა ნორმატიული დოკუმენტი, დებულება, ინსტრუქცია და ზემდგომ ორგანოთა დადგენილება.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სახელწოდება არ ეცვლებათ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორებით დაწესებულებებთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს.

4. სამინისტროს საქმეთა სამმართველომ (დ. დეკანოზიძე) ორგანიზაცია გაუკეთოს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის ბეჭდის, აბრის, შტამბისა და ლერბიანი ქაღალდების ნიმუშების მზადებას.

5. კონტროლი აღნიშნული დადგენილებების შესრულებაზე დაევალოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების განყოფილებას (ამხ. თ. კიკნაძე).

მინისტრი გ. ენუქიძე



საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს  
1989 წლის 25 ოქტომბრის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 636

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულებების  
მოსწავლეთა მიერ სახალხო მოხმარების საგნების  
რესპუბლიკური გამოფენა-დათვალიერებაზე მონაწილეობისა  
და გამარჯვებული კოლექტივების საკავშირო  
გამოფენა-ბაზრობაზე წარდგენის შესახებ

მოსწავლე-ახალგაზრდობის, საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის სწორად ორგანიზაციის, სასწავლო-საწარმოო პროცესში სახალხო მოხმარების საგნების დამზადებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების, მუშათა კლასის ახალგაზრდა ცვლის მაღალ პროფესიულ დონეზე მომზადების მიზნითა და მუშური პროფესიების პროპაგანდისტების სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, საკავშირო პროფსაბჭომ, საკავშირო კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარმა კომიტეტმა 1989 წლის 7 აპრილის № 10/4—7—30—65/11 ა—15 დადგენილებით გადაწყვიტეს 1990 წლის მაისს-ივნისში ჩატარდეს პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა მიერ დამზადებული სახალხო მოხმარების საგნების საკავშირო გამოფენა-ბაზრობა. ამ მიზნით რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მუშაობის ფართოდ გაშლის, სასწავლებლის შიგა და რესპუბლიკური გამოფენა-დათვალიერების მოსაწყობად სახალხო განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ პროფსაბჭოსა და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის 19 მაისის № 6—75/29—3/28/1—ა დადგენილებიდან გამომდინარე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. მოეწყოს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეთა მიერ დამზადებული სახალხო მოხმარების საგნების რესპუბლიკური გამოფენა-დათვალიერება 1989 წლის ნოემბერ-დეკემბერში.

2. დამტკიცდეს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეთა მიერ დამზადებული სახალხო მოხმარების საგნების რესპუბლიკური გამოფენა-დათვალიერების საორგანიზაციო კომიტეტი (დანართი № 1) და სამუშაო გეგმა (დანართი № 2).

3. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ი. ისაშვილი) გაითვალისწინოს რესპუბლიკური და საქავეშირო გამოფენა-დათვალიერების მოსაწყობად საჭირო ფულადი სახსრები.

4. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ:

— გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა საქავეშირო და რესპუბლიკურ გამოფენა-დათვალიერების მიმდინარეობას და ოპერატიული დახმარება აღმოუჩინოს სასწავლებლის კოლექტივებს წამოჭრილი საკითხების მოგვარებაში;

— მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლომდე წარმოადგინოს წინადადება რესპუბლიკური გამოფენა-დათვალიერების ჩატარების ადგილისა და კონკრეტული ვადის შესახებ.

5. რესპუბლიკურმა სამეცნიერო-მეთოდურმა ცენტრმა (ამხ. ა. კაპანაძე), პროფტექნიკური სასწავლებლების განყოფილებამ (ამხ. ე. კიკნაძე) სასწავლო დაწესებულებების დირექტორებთან ერთად უზრუნველყოს საგამოფენო ექსპონატები ყველა საჭირო დოკუმენტაციით (ბუკლეტები, ფოტოები, შეკვეთის ბლანკები, ნაკეთობათა მოკლე დახასიათებები და სხვა).

6. მომარაგება-გასაღების სამმართველომ (ამხ. გ. გოდერძიშვილი) უზრუნველყოს სასწავლებლებისა და რესპუბლიკური გამოფენა-დათვალიერების ორგანიზაციისა და რეკომენდირებულ ნაკეთობათა მოსკოვში გამოფენა-ბაზრობაზე გაგზავნის საქმეში საჭირო მასალების გამოყოფა სპეციალური განაცხადით.

7. რესპუბლიკური გამოფენა-დათვალიერების ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტმა რესპუბლიკური გამოფენა-დათვალიერების შედეგების მიხედვით წარმოადგინოს ბრძანების პროექტი რეკომენდირებულ ნაკეთობათა და სასწავლო დაწესებულებათა წარმომადგენლობის წახალისებისა და მოსკოვში გამოფენა-ბაზრობაზე გაგზავნის შესახებ;

8. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ 1989 წლის 29 მაისის ერთობლივი დადგენილება № 6—75/21—3/128/1—ა დაყვანილია ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციამდე.

9. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მინისტრის მოადგილეს ამხ. რ. ხუროძეს:

მინისტრი გ. ენუქიძე

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულებების  
 მოსწავლეთა მიერ დამზადებული სახალხო მოხმარების საგნების  
 რესპუბლიკური გამოფენა-დათვალიერების საორგანიზაციო  
 კომიტეტის

**უ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ზ ა**

- ნ. ვ. ვორონოვი — საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრის მოადგილე — თავმჯდომარე;
- ა. ი. ეჯიბაძე — ზოგად-საშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველოს უფროსი — თავმჯდომარის მოადგილე;
- დ. მ. დავითაშვილი — საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი — თავ-რის მოადგილე;
- ა. პ. კაპანაძე — რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის დირექტორი;
- ი. მ. ისაშვილი — საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსი;
- დ. მ. დავითაშვილი — საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი;
- ჯ. ლ. ფერაძე — ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსის მოადგილე;
- ე. ი. კიკნაძე — პროფესიულ-ტექნიკური განათლების განყოფილების უფროსი;
- ა. გ. თხილაიშვილი — სოციალური ბაზის განვითარების განყოფილების უფროსი;
- ფ. ა. ნადარეიშვილი — საწარმოო-ტექნიკური განყოფილების მთავარი ინჟინერი;
- ვ. გ. აფხაზავა — სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების რესპუბლიკური ცენტრის დირექტორის მოადგილე;
- ე. ბ. სოლომონია — ქ. თბილისის № 36 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი;
- პ. ე. ლაგვილავა — ქ. თბილისის № 24 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი;
- მ. ვ. მამაცაშვილი — ქ. თბილისის № 74 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილე;
- ე. ლ. კოჭოხია — ქ. თბილისის № 107 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილე;



- შ. ა. პეპანაშვილი — საწარმოო-ტექნიკური განყოფილების ვანი ინჟინერი;
- თ. ქარუმიძე — ქ. თბილისის № 35 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის უფროსი ოსტატი;
- ა. ა. კიკნაძე — ქ. თბილისის № 11 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი;
- ნ. ა. ღლონტი — სახელმძღვანელოებისა და ინფორმაციის განყოფილების უფროსი;
- ე. ა. ზარქუა — აღმზრდელობითი მუშაობის განყოფილების უფროსი;
- მ. ა. მნათობიშვილი — ფიზაღზრდისა და სპორტის განყოფილების უფროსი;
- თ. ხანიაშვილი — ავტოსატრანსპორტო გაერთიანების უფროსი;
- თ. მდივანი — რესპუბლიკური ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის მეთოდური ცენტრის დირექტორი;
- კ. ცისკარიძე — სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების რესპუბლიკური ცენტრის დირექტორი.



პროფტექნიკური სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეთა მიერ დამზადებული  
სახალხო მოხმარების საგნების რესპუბლიკური გამოფენა-დათვალიერებისა  
და საკავშირო გამოფენა-ბაზრობაში მონაწილეობის საორგანიზაციო  
კომიტეტის სამუშაო

გ ე გ მ ა

| № | ლონისძიების დასახელება   | შესრულების<br>ვადა     | შემსრულებელი  | შენიშვნა |
|---|--|------------------------|---|----------|
| 1 | 2  | 3                      | 4   | 5        |
| 1 | საქართველოს სსრ სახალხო განათლების<br>სამინისტროს პროფესიულ-ტექნიკური<br>სასწავლებლების მოსწავლეთა მიერ დამ-<br>ზადებული სახალხო მოხმარების საგნე-<br>ბის რესპუბლიკური გამოფენა-დათვალი-<br>ერების თემატიური-ექსპოზიციური გეგ-<br>მის შედგენა. | 1989 წლის<br>ოქტომბერი | ფ. ნადარეი-<br>შვილი<br>ვ. აფხაზაეა<br>დ. დავითა-<br>შვილი        |          |
| 2 | განისაზღვროს რესპუბლიკურ გამოფენა-<br>დათვალიერების ექსპონატთა ჩამონათვა-<br>ლი  | 1989 წლის<br>ოქტომბერი | დ. დავითა-<br>შვილი<br>შ. ჰუბანა-<br>შვილი                        |          |
| 3 | რესპუბლიკური გამოფენა-დათვალიერე-<br>ბის ექსპონატების მიღება-აღრიცხვა და<br>დაცვა.   | 1989 წლის<br>ოქტომბერი | გამოფენა-და-<br>თვალიერების<br>ხელმძღვანე-<br>ლები<br>ვ. აფხაზაეა |          |
| 4 | რესპუბლიკური გამოფენა-დათვალიერე-<br>ბის გახსნის დღეს კულტურული, სპორ-<br>ტული ღონისძიებათა ჩატარება.  | 1989 წლის<br>ნოემბერი  | ვ. ხარქუა<br>მ. მნათობი-<br>შვილი                                 |          |
| 5 | გამოფენა-დათვალიერების გაშუქება რე-<br>სპუბლიკურ გაზეთებსა და რადიო-ტე-<br>ლევიზიაში.  | ნოემბერ-<br>დეკემბერი  | ნ. ლლონტი   |          |
| 6 | რესპუბლიკურ გამოფენა-დათვალიერე-<br>ბაზე გამარჯვებული კოლექტივებისა და<br>ინდივიდუალურ შემსრულებელთა და-<br>ჯილდოება.  | 1989 წლის<br>ნოემბერი  | საორგანიზა-<br>ციო კომიტეტი                                       |          |



| 1  | 2   | 3                        | 4   |
|----|---|--------------------------|---|
| 7  | რესპუბლიკურ გამოფენა-დათვალიერების მონაწილე ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენელთა დაბინავება და კვების ორგანიზაცია.   | ოქტომბერი-ნოემბერი       | ა. თხილაი-შვილი   |
| 8  | ფოტო მასალის შერჩევა, თემატური დამუშავება და შესრულება საკავშირო (თუ რესპუბლიკური) გამოფენისათვის.  | ოქტომბერი                | ვ. აფხაზავა<br>ა. კაპანაძე                                      |
| 9  | რესპუბლიკური გამოფენა-დათვალიერების პერიოდში ტრანსპორტის მიმაგრება სასწავლებლების განაცხადის შესაბამისად.   | ნოემბერი-დეკემბერი       | თ. ხანიაშვილი   |
| 10 | რესპუბლიკური გამოფენა-დათვალიერების გახსნის ორგანიზაცია.  | ნოემბერი                 | საორგანიზაციო კომიტეტის თავჯდომარე                              |
| 11 | რესპუბლიკური გამოფენა-დათვალიერების ქიურის შექმნა.  | ნოემბერი                 | საორგანიზაციო კომიტეტი  |
| 12 | რესპუბლიკურ გამოფენა-დათვალიერების პერიოდში მუშა ჯგუფზე ავტოტრანსპორტის მიმაგრება.  | ოქტომბერი-ნოემბერი       | თ. ხანიაშვილი   |
| 13 | საკავშირო გამოფენა-ბაზრობისათვის შერჩეულ ნაკეთობათა შეფუთვა და მისი გავზიგების ორგანიზაცია.   | 1990 წლის თებერვალ-მარტი | ბრძანების მიხედვით  |
| 14 | საკავშირო გამოფენა-დათვალიერებაზე გასაგზავნ ნაკეთობათა თვალსაჩინო დოკუმენტაციის (ბუკლეტი, სურათი, შეკვეთის ფურცლები, მოსწავლის დახასიათება) მომზადების ორგანიზაცია. | დეკემბერი                | ა. კაპანაძე<br>თ. კიკნაძე                                       |
| 15 | იმ პირთა ეკიპირების და ემბლემების შეკვეთა და დამზადება, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენი რესპუბლიკის ექსპონატთა წარდგენა-დემონსტრირებას ქ. მოსკოვში.                    | 1989 წლის დეკემბერი      | ა. თხილაი-შვილი<br>გ. გოდერძი-შვილი<br>სასწავლებლის დირექტორები |



| 1  | 2  | 3                   | 4                            |
|----|--|---------------------|------------------------------|
| 16 | მოსკოვში საქართველოს დღეების ჩასატარებლად მონაწილეთა შერჩევა (სპორტული, მხატვრული თვითშემოქმედება და სხვა).  | 1990 წლის<br>მაისი  | საორგანიზაციო<br>კომიტეტი    |
| 17 | რესპუბლიკური გამოფენა-დათვალიერების მოწყობისა და საკავშირო გამოფენაში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ხარჯთა აღრიცხვის შედგენა და საფინანსო ღონისძიებათა განხორციელება. | ოქტომბერი-<br>მაისი | ი. ისაშვილი<br>ზ. იანტბელიძე |

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს  
1989 წლის 2 ნოემბრის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 657

დუშეთის რაიონის სოფ. შუაფხოს არასრული საშუალო  
სკოლის სკოლაინტერნატად გადაკეთების შესახებ

დუშეთის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომისა და  
ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
შუამდგომლობების დასაკმაყოფილებლად

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

— სოფ. შუაფხოს არასრული საშუალო სკოლა მიმდინარე სას-  
წავლო წლიდან გადაკეთდეს საშუალო სკოლა-ინტერნატად.

— სკოლის რეორგანიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების  
დაფინანსება-მოხდეს დუშეთის რაიონის განათლების დაწესებუ-  
ლებებისათვის 1989/90 წლებისათვის გამოყოფილი სახსრებიდან.

— დაევალოს დუშეთის რაიონის სახალხო განათლების განყო-  
ფილებას (ვლ. გოგოლაური) უზრუნველყოს სკოლა სათანადო ინ-  
ვენტარ-მოწყობილობით, თვალსაჩინოებით, სასწავლო-მეთოდური  
დოკუმენტაციით და მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრე-  
ბით.

დაევალოს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს 1990 წლის ქსე-  
ლის, კონტინგენტისა და შრომის ანაზღაურების ფონდის განსაზღვ-  
რისას გაითვალისწინოს აღნიშნული სკოლა-ინტერნატისათვის სა-  
თანადო ლიმიტები.

კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საგეგმო-სა-  
ფინანსო სამმართველოს უფროსს აშხ. ი. ისაშვილს.

მინისტრის მოადგილე ნ. გურგენიძე



საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს  
1989 წლის 17 ნოემბრის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 680

რესპუბლიკის რიგი სოფლის პროფესიულ-ტექნიკური  
სასწავლებლების სასწავლო მეურნეობების ექსპერიმენტის  
სახით ახალ სისტემაზე გადაყვანის შესახებ

სოფლის მეურნეობაში პროგრესული, ინტენსიური ტექნოლო-  
გიის, ახალი ეკონომიკური და იჯარული ურთიერთობების პირო-  
ბებში კვალიფიციური მუშა კადრების მომზადების ხარისხის შემ-  
დგომი ამაღლების, სასწავლო მეურნეობების ნაკვეთების ინტენსი-  
ურად გამოყენებისა და შემოსავლების მკვეთრად გაზრდის, სამე-  
ურნეო მექანიზმის დაგეგმვის მართვის სრულყოფის გაუმჯობესე-  
ბის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ველისციხის, კახათის, ხიდისთავის, ხონის და ვანის სასოფ-  
ლო-სამეურნეო სასწავლებლების სასწავლო მეურნეობებში ექსპე-  
რიმენტის სახით 1990 წლიდან დაინერგოს მეურნეობრიობის ახა-  
ლი მეთოდი.

2. დავვალოს ზემოთ აღნიშნულ სასწავლებლის დირექტორებს —  
ერთი თვის ვადაში საკავშირო სახალხო განათლების სახელმწიფო  
კომიტეტის მიერ დაშვებული სანიმუშო დებულების საფუძვლით  
შეიმუშაონ თავიანთი სასწავლებლების სამეურნეო ანგარიშიანობის  
საწყისებზე მოქმედების დებულების პროექტი და წარმოადგინონ  
იგი სახალხო განათლების სამინისტროში დასამტკიცებლად.

3. სამინისტროს პროფესიულ-ტექნიკური განათლების განყო-  
ფილებამ (ამხ. თ. კიკნაძე) 1990 წლისათვის გათვალისწინებული  
სასოფლო სამეურნეო ტექნიკის განაწილებისას გაითვალისწინონ  
ექსპერიმენტში მონაწილე სასწავლებლების მატერიალურ-ტექნი-  
კური ბაზის გაუმჯობესების საკითხები და უზრუნველყოს ისინი  
შესაბამისი ტექნიკით.

4. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ ექსპერიმენტში მონაწილე სასწავლებლები უზრუნველყოს გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო, სამოსწავლო და სხვა სახის ტექნიკის შეძენისათვის საჭირო დაფინანსებით.

— გაუწიოს პრაქტიკული დახმარება სასწავლო მეურნეობებს საგეგმო მაჩვენებლების დაზუსტება-განსაზღვრაში, შრომის ანაზღაურების ფორმების დანერგვასა და მიმდინარე ფინანსური საქმიანობის წარმართვაში, რომელიც წამოიჭრება სასწავლებლებში ექსპერიმენტის პერიოდში.

— წლიური მონაცემების მიხედვით პროფესიულ-ტექნიკურ განყოფილებასთან (ამხ. თ. კიკნაძე) ერთად ანალიზი გაუკეთოს საფინანსო სამეურნეო საქმიანობას.

5. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების განყოფილებამ (ამხ. თ. კიკნაძე) სამეცნიერო მეთოდურ ცენტრთან ერთად (ამხ. ა. კაპანაძე) ზემოთაღნიშნულ სასწავლებლებს ადგილებზე გაუწიოს მეთოდური და პრაქტიკული დახმარება სასწავლო მეურნეობებში მოწინავე ინდუსტრიულ-ტექნოლოგიური მეთოდების დანერგვის საქმეში.

6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს პროფტექნიკური სასწავლებლების განყოფილებას (ამხ. თ. კიკნაძე).

მინისტრი გ. ე ნ უ ქ ი ძ ე

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს  
1989 წლის 24 ნოემბრის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 691

1989—1990 სასწავლო წელს რესპუბლიკური საგნობრივი  
ოლიმპიადების ჩატარების შესახებ

1989—1990 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა საგნობრივი ოლიმპიადების მაღალ ორგანიზაციულ და მეთოდურ დონეზე ჩატარების, მოსწავლეთა უკეთ მომზადებისა და ოლიმპიადებში მასობრივად ჩაბმის უზრუნველყოფის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასრ სახალხო განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა: ღრმა ანალიზი გაუკეთონ გასულ სასწავლო წელს ჩატარებულ საგნობრივი ოლიმპიადების შედეგებს, განახორციელონ ღონისძიებები გამოვლენილ ნაკლოვანებათა დაძლევისათვის, შექმნან ყველა პირობა იმისათვის, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების განსაკუთრებული ნიჭის დაჯილდოებული, საგანთა ღრმად შესწავლით დაინტერესებული თითოეული მოსწავლე სრულყოფილად მოემზადოს ოლიმპიადისათვის. ამ მიზნით:

— შეისწავლონ, რამდენად სწორად არის გამოყენებული სკოლებში ფაკულტატიური მეცადინეობისათვის განკუთვნილი საათები მოსწავლეთა ინტერესების დაკმაყოფილების, მათი თეორიული ცოდნის ამალგებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის. სასწავლებელთა ხელმძღვანელებთან ერთად მიიღონ ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.



— რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების კათედრების უშუალო მონაწილეობით და დახმარებით ჩამოაყალიბონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლები, კლუბები, სამეცნიერო გაერთიანებები, რომელთა მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ პროფესორ-მასწავლებლები, ასპირანტები, სტუდენტები.

— მიმდინარე სასწავლო წლიდან საგნობრივი ოლიმპიადების რაიონული და ზონალური ტურები ჩაატარონ პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა ფართო მონაწილეობით. გაითვალისწინონ, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX, X და XI კლასების პროგრამების შესაბამისად გამოვლენ პროფტექნიკურ სასწავლებლების I, II და III კურსების მოსწავლეები.

— დროულად დაიყვანონ ეს ბრძანება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და პროფტექნიკურ სასწავლებლებამდე, შეადგინონ და სკოლებს მიაწოდონ სასკოლო და რაიონული ტურების თარიღები, ჩამოაყალიბონ ოლიმპიადების რაიონული (საქალაქო) და ზონალური ტურების საორგანიზაციო კომისიები, რომელთა წევრები სხვა ფუნქციებთან ერთად პრაქტიკულ დახმარებას გაუწევენ სკოლებსა და სასწავლებლებს ოლიმპიადებისათვის მზადების პროცესში. განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცივენ დასკვნითი ტურების მონაწილე მოსწავლეებთან ინტენსიურ მეცადინეობას და მათ გამოგზავნას დასკვნით ტურებზე ხელმძღვანელთა აუცილებელი თანხლებით.

2. დამტკიცდეს ოლიმპიადების ხელმძღვანელობის საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

ნ. გურგენიძე — საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრის მოადგილე (კომიტეტის თევმჯდომარე);

ა. ეჯიბაძე — ზოგადი საშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველოს უფროსი (თევმჯდომარის მოადგილე).

**წევრები:**

შ. ამონაშვილი — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;

გ. ბარამიძე — საქართველოს ალკც ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერების განყოფილების გამგე;

ე. ზარქუა — აღმზრდელობითი მუშაობის განყოფილების უფროსი;



ა. კაპანაძე — საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამმართველო-მეთოდური ცენტრის დირექტორი;

ბ. კიკნაძე — პროფტექნიკური განათლების განყოფილების უფროსი;

გ. კორძაია — უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამმართველოს უფროსის მოადგილე;

დ. მგელაძე — ქ. თბილისის № 23 საშუალო სკოლის დირექტორი;

ე. სუჯაშვილი — ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსი;

ვ. ტატიშვილი — ზოგადი საშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველოს უფროსის მოადგილე;

ზ. ქურციკიძე — ზოგადი საშუალო განათლების განყოფილების უფროსი;

ი. ვეკუა — ვ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის დირექტორი;

კ. ცისკარიძე — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი.


3. დამტკიცდეს მშობლიური ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის (არარუსული სკოლები), მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და ინფორმატიკის ოლიმპიადების მოსამზადებელი რესპუბლიკური კომისიების შემადგენლობა (თან ერთვის).

4. 1989—1990 სასწავლო წელს ოლიმპიადების სასკოლო და რაიონული (საქალაქო) ტურები ჩატარდეს 1989 წლის ნოემბერ-დეკემბერში. თარიღები განსაზღვრონ რაიონების (ქალაქების) სახალხო განათლების განყოფილებებმა.

ინფორმატიკაში რაიონული ტურების მონაწილეებს ინდივიდუალური წესით შეარჩევენ სკოლებისა და სასწავლებლების პედაგოგიური კოლექტივები.

5. დამტკიცდეს ზონალური და დასკვნითი ტურების ჩატარების გრაფიკის (დანართი № 1), ინფორმატიკის, ბიოლოგიისა და ქიმიის ოლიმპიადების დებულებები (თან ერთვის), დანარჩენ საგნებში ისარგებლონ ადრე მოქმედი დებულებებით.

6. სახალხო განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. გ. გოდერძიშვილი) ოლიმპიადების დასკვნითი ტურების ჩასატარებლად გამოყოს ტოპოგრაფიული ქალაქი წარდგენილი განცხადების შესაბამისად.



7. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ი. ისაშვილი) ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის, ვ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის, რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის 1990 წლის ბიუჯეტებში გაითვალისწინოს ოლიმპიადების ჩატარებისათვის საჭირო ხარჯები დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

8. ზოგადი საშუალო და პროფტექნიკური განათლების სამმართველოს (ამხ. ე. ეჯიბაძე):

— 1989 წლის ბოლომდე საგეგმო-საფინანსო სამმართველოსთან ერთად დასამტკიცებლად წარმოადგინოს ოლიმპიადების ჩატარების ხარჯთაღრიცხვები.

— შეადგინოს ოლიმპიადების დასკვნითი ტურების ჩატარების კონკრეტული გეგმები, რომლებშიც გაითვალისწინოს დასკვნითი ტურების ჩატარების ორგანიზაციული საკითხები. უზრუნველყოს ზონალური და დასკვნითი ტურების დავალებების შერჩევა, გამრავლება და დადგენილ ვადებში დაგზავნა, ორგანიზაცია გაუკეთოს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტების მუშაობას, საკავშირო ოლიმპიადებზე გასაგზავნი გუნდების დაკომპლექტებას, ამ გუნდების წევრთა სისტემატურ მეცადინეობას და გამგზავრებას.

მანვე დააწესოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე.

მინისტრი გ. ე ნ უ ქ ი ძ ე

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს  
1989 წლის 20 დეკემბრის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 748

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს სისტემის  
მეცნიერთა სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობისა და  
საზღვარგარეთ სამეცნიერო მივლინებათა ეფექტიანობის  
ამაღლების ღონისძიებათა შესახებ

საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობისა და  
სამეცნიერო მივლინებათა ეფექტიანობისადმი კონტროლის გაძ-  
ლიერების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989  
წლის 22 სექტემბრის № 28/გვკ დავალების შესასრულებლად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განყოფილე-  
ბის უფროსმა (ამხ. კ. ლოლუა) თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახე-  
ლობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ვ. ი. ლენინ-  
ის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ქუთაისის  
ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექ-  
ტორებთან ერთად (ამხ. ამხ. ნ. ამაღლობელი, გ. ჩოგოვაძე) გაააქ-  
ტიუროს მუშაობა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის  
2 დეკემბრის დადგენილებით გათვალისწინებული საგარეო ეკო-  
ნომიკური რეფორმის ფარგლებში მართვის სისტემის რეორგანი-  
ზაციისათვის.

2. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოსა და  
ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტების პრორექტორებმა სა-  
მეცნიერო მუშაობის დარგში (ამხ. ამხ. ს. კეკელიძე, ა. ნოზაძე,  
თ. შუბლაძე):

2.1. აამაღლონ უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-კვლე-  
ვითი ნაწილებისა და სამეცნიერო-კვლევითი სექტორების, ფაკულ-  
ტეტების სამეცნიერო საბჭოებისა და კათედრების ხელმძღვანელთა  
პასუხისმგებლობა:

—საზღვარგარეთ მივლინებათა ეფექტიანობისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგებში შედეგებისა და მოწინავე საზღვარგარეთული გამოცდილების რეალიზაციის დაჩქარებისათვის;

2.2. ყოველწლიურად 10 იანვრამდე სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის და საგარეო ურთიერთობის განყოფილებებში წარმოადგინონ დაწერილებითი ანგარიში საქმიანობისა და სამეცნიერო-ტექნიკური კავშირების ეფექტიანობის ანალიზთან ერთად, საგარეო ურთიერთობის განვითარების ღონისძიებების გეგმა;

2.3. წლის ბოლომდე გააანალიზონ ცალკეულ სამეცნიერო ქვეგანყოფილთა არაეფექტური საქმიანობის მიზეზები და მიიღონ აუცილებელი ზომები;

2.4. წლის ბოლომდე მოამზადონ საზღვარგარეთის ქვეყნებთან სამეცნიერო-ტექნიკური კავშირების ეფექტიანობის ამაღლების კონკრეტულ ღონისძიებათა კომპლექსი 1990 წლისათვის.

3. სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განყოფილებამ (ამხ. კ. ლოლუა):

3.1. უზრუნველყოს კონტროლი:

— საზღვარგარეთ მივლინებათა შედეგების სარეალიზაციოდ დასახულ ღონისძიებათა შესრულებისადმი;

— საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის, სამეცნიერო მივლინებებისა და სტაჟირების თემატიკის აქტუალობისადმი;

3.2. გაუწიოს უმაღლეს სასწავლებლებს აუცილებელი დახმარება მივლინებებისა და სტაჟირების შედეგების მიხედვით უფრო ეფექტურ ღონისძიებათა რეალიზაციის საქმეში;

3.3. უმაღლესი სასწავლებლების რექტორებთან ერთად სისტემატურად ჩაატაროს მუშაობა პერსპექტიულ დამუშავებათა გამოსავლენად და ხელი შეუწყოს საზღვარგარეთის ორგანიზაციებთან ერთობლივი სამეცნიერო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების შექმნას.

4. საგარეო კავშირების განყოფილებამ (ამხ. გ. ნიკოლაიშვილი) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განყოფილებასთან ერთად გააძლიეროს კონტროლი საზღვარგარეთ სხვადასხვა ფორმის მივლინებაში გასამგზავრებლად რეკომენდებულ კანდიდატთა შერჩევისა და მომზადების ორგანიზაციისადმი.

5. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დაეკისროს მინისტრის მოადგილეს ამხ. რ. ხუროძეს.

მინისტრი გ. ენუქიძე



საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს  
1989 წლის 20 დეკემბრის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 744

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში  
საქართველოს ისტორიის სწავლების გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებული ისტორია — საზოგადოებათმცოდნეობის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს წარდგინების საფუძველზე, რომელიც ეხება რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საქართველოს ისტორიის საპროგრამო მასალის უკეთ შესწავლისა და მიღებული ცოდნის შემდგომ გაღრმავება-განმტკიცებას,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. მიმდინარე სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან რესპუბლიკის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის XI კლასში საქართველოს ისტორიის სწავლებისათვის დამატებით გამოიყოს ერთი კვირეული საათი ისტორიისათვის გათვალისწინებული საათების საერთო რაოდენობიდან, მოხდეს მისი ფიქსაცია გაკვეთილების ცხრილში, ხოლო სემესტრის ბოლოს აკადემიური წარმატებების შეფასება საქართველოს ისტორიაში გაფორმდეს ცალკე ნიშნით, ასევე, ცალკე აისახოს იგი საშუალო განათლების ატესტატში.

2. ზოგადი საშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველომ (ა. ეჭიბაძე, ე. ქურციკიძე) უზრუნველყოს აღნიშნული ბრძანების შესაბამისად მეთოდური რეკომენდაციების მომზადება საქართველოს ისტორიაში და მისი სკოლებამდე დაყვანა;

3. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ვ. ევანია), ქ. თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (დ. თოდუა) ჩაატარონ ისტორიის მასწავლებელთა დახელოვნების კურსები იანვრის არდადეგების პერიოდში.

4. აღნიშნული ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში“ (ა. სილაგაძე), დაიბეჭდოს სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციების კრებულში.

5. სახელმძღვანელოებისა და ინფორმაციის სამმართველომ (ნ. ლლონტი) მიიღოს ზომები „საქართველოს ისტორიის“ კურსის მეორე ნაწილის გამოცემის დაჩქარებისათვის (X—XI კლასებისათვის).

მინისტრი გ. ე ნ უ ქ ი ძ ე



**საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს**  
**1989 წლის 27 დეკემბრის**  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 754**

**მშობელთა მზრუნველობას და მეურვეობას მოკლებულ ბავშვთა ინტერესებისა და უფლებების დაცვაში კანონმდებლობის გატარების ღონისძიებათა შესახებ**

სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის 1989 წლის 15 სექტემბრის № 21/1 გადაწყვეტილების „მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა და მოზარდთა უფლებების და ინტერესების დაცვის საქმეში მოლდავეთის სსრ და ლატვიის სსრ სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის გამოცდილების შესახებ“ შესასრულებლად

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის 1989 წლის 15 სექტემბრის კოლეგიის № 21/1 გადაწყვეტილება „მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა და მოზარდთა უფლებების და ინტერესების დაცვის საქმეში მოლდავეთის სსრ და ლატვიის სსრ სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის გამოცდილების შესახებ“.

აღნიშნული გადაწყვეტილება დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებს, ს/ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. ქ. თბილისის და ქუთაისის სახალხო განათლების სამმართველოს, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, ს/ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. ქ. თბილისისა და ქუთაისის სახალხო განათლების სამმართველოებმა:

გადამჭრელი ზომები მიიღონ მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა და მოზარდთა გამოვლენის, მოწყობისა და მეურვეობის საქმის სათანადო დონეზე დაყენებისათვის. განუხრე-



ლად დაიცვან ბავშვთა გაშვილების, მეურვისა და ზედახედიანების შერჩევის, ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში გაგზავნის დადგენილი წესები და კანონით არსებული მოთხოვნები.

მუდმივ კონტროლზე იყოლიონ გაშვილებული, მეურვისა და მზრუნველთათვის გადაცემული აღსაზრდელები, სათანადო მეთვალყურეობა დააწესონ მათ საყოფაცხოვრებო და სასწავლო-აღმზრდელობით პირობებზე, მკაცრი რეაგირების გარეშე არ დატოვონ მათი უფლების შელახვის არცერთი შემთხვევა.

უმოკლეს ვადაში მოაწესრიგონ ბავშვთა უფლების დაცვის სასკოლო ინსპექტორის შერჩევისა და დამტკიცების საკითხი. უზრუნველყონ მათთვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნა. საქმიანობა წარმართონ მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების ცხოვრებისა და აღზრდის ინტერესების განხორციელებისათვის.

3. დაევალოს რესპუბლიკის ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სხვა ტიპის ინტერნატული დაწესებულებების დირექტორებს:

— მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდონ ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ აღსაზრდელებთან მუშაობას, იზრუნონ მათი სასწავლო-სააღმზრდელო, გამაჯანსაღებელი და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

4. აღნიშნულ საქმიანობას საფუძვლად დაედოს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 31 ივლისის № 872 და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 12 თებერვლის № 71 დადგენილება „ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა აღზრდის სწავლებისა და მატერიალური უზრუნველყოფის ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

5. დაევალოს ინტერნატული, დამხმარე სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებების და ბავშვთა უფლებათა დაცვის განყოფილებას (ამხ. გ. ქუმბურიძე) და მიიღოს ზომები სახალხო განათლების საკავშირო სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის გადაწყვეტილებაში მითითებულ ღონისძიებათა შესასრულებლად — დააწესოს კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე.

მინისტრი გ. მ. ნ. უ. ქ. ი. ძ. ე.

სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო  
კომიტატი

კოლეჯის გ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა და მოზარდთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საქმეში მოლდავეთის სსრ და ლატვიის სსრ სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის გამოცდილების შესახებ

მოისმინა და განიხილა რა ინტერნატულ, დამხმარე სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებათა და ბავშვთა უფლებების დაცვის სამმართველოს უფროსის აშხ. გ. მაკაროვის ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე, კოლეჯიამ გადაწყვიტა:

1. აღინიშნოს მოლდავეთისა და ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახალხო განათლების სამინისტროებისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების დადებითი მუშაობა მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა და მოზარდთა გამოვლენისა და მოწყობის, მათი პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვის საქმეში (ცნობა თან ერთვის).

2. მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების სამინისტროებმა (კომიტეტმა):

2.1. გამოიყენონ პრაქტიკულ საქმიანობაში მოლდავეთისა და ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახალხო განათლების სამინისტროების მუშაობის გამოცდილება და მიიღონ ქმედითი ზომები მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ და იმ არასრულწლოვანთა გამოვლენის, მოწყობის, სწავლებისა და აღზრდის და უფლებების დაცვისათვის, რომლებსაც სახელმწიფოს დახმარება ესაჭიროებათ.

2.2. შეისწავლონ მოკავშირე რესპუბლიკაში არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის საქმის მდგომარეობა და განსაზღვრონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ მუშაობის სრულყოფისათვის, განახორციელონ მუდმივი და ქმედითი კონტროლი, რათა სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა და მოზარდთა და იმ არასრულწლოვანთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, რომლებსაც სახელმწიფოს დახმარება ესაჭიროებათ.

3. ინტერნატულ, დამხმარე სასწავლო-აღმზრდელობით დაწესე-



ბუღალტერული და ბავშვთა უფლებების დაცვის სამმართველომ (აშხ. გ. მაკაროვი):

3.1. მოამზადოს წინადადებები, რომლებიც შეტანილი უნდა იქნეს განსახილველად:

3.1.1. სადირექტივო ორგანოების მიერ:

— არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის მოქმედი კანონმდებლობის შეცვლისა და დამატების შესახებ;

— იმ ოჯახებისათვის სახელმწიფო დახმარების გაფართოების შესახებ, რომლებიც თბოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს ზრდიან;

— თბოლ, მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ და ზრუნვის (მეურვეობის) ქვეშ მყოფ ბავშვებზე იგივე შეღავათებისა და მატერიალური უზრუნველყოფის წესის გავრცელების შესახებ, რაც დადგენილია იმავე კატეგორიის არასრულწლოვანთათვის, რომლებიც სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე იმყოფებიან;

— თბოლი და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის საცხოვრებელი ფართობის მიცემის წესის შესახებ.

3.1.2. სსრ კავშირის პროკურატურის მიერ:

— არასრულწლოვანთა თაობაზე კანონმდებლობის შესრულებისადმი საპროკურორო ზედამხედველობისა და არასრულწლოვანი შვილების აღზრდისა და მათი სიცოცხლის დაცვისადმი მშობელთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ;

3.2. სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედობისა და ბავშვობის დაცვის სამმართველოსთან ერთად შეიმუშაოს:

— ბავშვთა შვილად აყვანის საინსტრუქციო-მეთოდოლოგიური რეკომენდაციები მათ აღსაზრდელად ოჯახებისათვის გადაცემის წესის სრულყოფის მიზნით (1989 წლის IV კვარტალი).

3.3. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს არასრულწლოვანთა და ახალგაზრდობას შორის სამართალდარღვევათა ბროფილაქტიკის სამმართველოსთან ერთად შეიმუშაოს:

— საინსტრუქციო-მეთოდოლოგიური რეკომენდაციები მშობელთა უფლებების ჩამორთმევის წესის შესახებ (1989 წლის IV კვარტალი).

4. მთავარმა საგეგმო-ეკონომიკურმა სამმართველომ (აშხ. ს. ვალუევი) და ინტერნატულ, დამხმარე სასწავლო-აღმზრდელით დაწესებულებათა და ბავშვთა უფლებების დაცვის სამმართველომ (აშხ. გ. მაკაროვი):

— იმ ბავშვთა შესახებ სრულყოფილი ცნობების მიღების მიზნით, რომლებიც სახელმწიფოს დახმარებას საჭიროებენ, შეიტანონ



წინადადებები სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტში რიკ—103 სტატისტიკური ანგარიშის ფორმის შესატანად და მასში დამატებების შესატანად.

5. პედაგოგიური კადრების მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების სამმართველომ (ამხ. ე. ბელოზერცევი):

5.1. 1990—1991 სასწავლო წლის დაწყებისათვის შეიმუშაოს არასრულწლოვანთა სოციალურ-სამართლებრივი დაცვის სპეციალისტთა გადამზადების სასწავლო გეგმა და პროგრამები მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების ბაზაზე კურსების მოწყობის გზით.

5.2. სახალხო განათლების ორგანოებისა და დაწესებულებების ყველა კატეგორიის პედაგოგიურ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების სასწავლო გეგმებში გაითვალისწინოს „სსრ კავშირში არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის“ კურსის სწავლება.

6. მთავარმა საგეგმო-ეკონომიკურმა სამმართველომ (ამხ. ს. ვალუევი) და მოსკოვის ძ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა (ამხ. ა. ლოგუნოვი):

— განიხილოს საკითხი ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ასაკობრივი ფსიქოლოგიის კათედრასთან „ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური ადაპტაციის“ პრობლემური ლაბორატორიის ორგანიზაციის შესახებ (1989 წლის IV კვარტალი).

7. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაეკისროს თაქვდომარის პირველ მოადგილეს ამხ. ე. შადრიკოვს.

**ც ნ ი ა ა**

**მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა და მოზარდთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საქმეში მოლდავეთისა და ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის გამოცდილების შესახებ**

სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის გეგმის შესაბამისად ინტერნატულ, დამხმარე სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებათა და ბავშვთა უფლებების დაცვის სამმართველომ შეისწავლა მოლდავეთისა და ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის გამოცდილება მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ



არასრულწლოვანთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საქმეში. შესწავლილი მასალის განზოგადებამ ნათელყო ის დიდი ყურადღება, რომელსაც რესპუბლიკური დირექტიული ორგანოები სახალხო დეპუტატების საბჭოების აღმასკომები და სახალხო განათლების ორგანოები იჩენენ ამ პრობლემებისადმი.

სახალხო განათლების სამინისტროების ინიციატივები ხელს უწყობენ არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის კანონმდებლობის შემდგომ სრულყოფას, რესპუბლიკებში მოცემული მუშაობისადმი პასუხისმგებელი ყველა ორგანიზაცია-დაწესებულების საქმიანობის კოორდინაციას.

სამინისტროებმა შეიმუშავეს და დაამტკიცეს რიგი ნორმატიული დოკუმენტებისა, რომლებითაც თავიანთ მუშაობაში სახალხო განათლების ორგანოები ხელმძღვანელობენ, ასეთებია: დებულება ბავშვობის დაცვის საზოგადოებრივი ინსპექტორის შესახებ; დებულება სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან მზრუნველთა საბჭოს შესახებ; საინსტრუქციო-მეთოდური რეკომენდაციები სახალხო განათლების რაიონულ და საქალაქო განყოფილებებში, სახალხო დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებში დოკუმენტაციის წარმოების შესახებ; გამოსცეს ნორმატიული დოკუმენტების კრებული ბავშვობის დაცვის შესახებ.

რესპუბლიკებში ბავშვობის დაცვის ხაზით მიმდინარე მუშაობის სრულყოფის საქმეში ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად იქცა სახალხო განათლების ყველა რაიონულ და საქალაქო განყოფილებაში ბავშვობის დაცვის სასკოლო ინსპექტორის თანამდებობის შემოღება (მოლდავეთის სსრ-ში 1979 წელს და ლატვიის სსრ-ში 1983 წელს). ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რაგ ტერიტორიებზე შემოღებულია ორი თანამშრომლის თანამდებობა — ინსპექტორის და მეთოდისტისა.

ბავშვობის დაცვის ინსპექტორების საქმოდ მაღალი კვალიფიკაცია განისაზღვრება რესპუბლიკებში ჩამოყალიბებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სისტემით. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების ბაზაზე ყოველ 2 წელიწადში ტარდება სამკვირიანი კურსები, რომლებზეც მოიზიდებიან კვალიფიციური სპეციალისტები სახალხო განათლების, იუსტიციის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებებისა და ორგანიზაციებიდან. მოლდავეთის სსრ-ში, გარდა ამისა, ყოველწლიურად ტარდება ერთკვირიანი პრაქტიკული სემინარები ბავშვობის დაცვის ინსპექტორებისათვის.





სახალხო განათლების განყოფილებებს არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვის საქმეში მნიშვნელოვან დახმარებას ბავშვობის დაცვის საზოგადოებრივი ინსპექტორები, რომლებიც ყველა სკოლამდელ დაწესებულებაში, სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, პროფტექნიკურ სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში საქმიანობენ. სტატუსის ასამაღლებლად მნიშვნელოვანია მათი დამტკიცება სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებებით. მათთან სისტემატურად ტარდება შეხვედრები, ხოლო დაუგეგვილის რაიონში (ლატვიის სსრ), მაგალითად, პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტთან მოქმედებს ბავშვობის დაცვის საზოგადოებრივ ინსპექტორთა ფაკულტეტი სწავლების სამწლიანი ვადით.

იმასთან დაკავშირებით, რომ მოლდავეთისა და ლატვიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში გაიზარდა არაკეთილსამედო ოჯახების რაოდენობა, ამ რესპუბლიკების სახალხო განათლების ორგანოები სხვა დაწესებულებებთან და უწყებებთან ერთად ღებულობენ სათანადო ზომებს ასეთი ოჯახების გამოსაგლეწად და მათთან პროფილაქტიკური მუშაობის ჩასატარებლად. შემუშავებულია პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სახალხო განათლების განყოფილებების მუშაკები აღმასკომების სამსახურებთან, ექიმ-პედიატრებთან, არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციასთან და საზოგადოებრივ ინსპექტორებთან ერთად ატარებენ რეიდებს და პრაქტიკულ დახმარებას უწყვენ ამ ოჯახებს ბავშვთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ამ მუშაობის ერთ-ერთი მიმართულებაა ბავშვების იმ ოჯახებისათვის დროული ჩამორთმევა, რომლებშიც მშობლები არამართალზომიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს და არღვევენ არასრულწლოვანთა ინტერესებს. ამასთან, მშობელთა უფლებების ჩამორთმევა განიხილება როგორც უკიდურესი ზომები, რომელიც ეფექტურია უპირატესად პატარა ბავშვების მიმართ.

მოლდავეთისა და ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახალხო განათლების ორგანოებში შეიქმნა თბოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დროული გამოვლენის გარკვეული სისტემა. მოგვარებულია კავშირი სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სამსახურებთან, რომლებიც თავიანთი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე პირველნი ვებულობენ იმ ბავშვების შესახებ, რომლებსაც სახელმწიფოსაგან დახმარება ესაჭიროებათ.



ცნობები ამ ბავშვების შესახებ შეაქვთ დადგენილი ნიმუშის პირველადი აღრიცხვის ყურნალში, რომელიც სახალხო განათლების ყოველ განყოფილებაშია. სახელმწიფო სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებაში ბავშვის მოთავსებისა და მეურვეობის (მზრუნველობის) ან შვილად აყვანის გაფორმების შემდეგ ცნობები მის შესახებ შეაქვთ სამეურვეოდ და შვილად აყვანილთა სამაგიდო რეესტრში. აღრიცხვის დოკუმენტაციის ასეთი ზედმიწევნითი წარმოება შესაძლებლობას იძლევა დაწესდეს ზომების თავისდროული მიღება და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული თითოეული ბავშვის მოწყობის დასაბუთებელი ფორმები.

მოლდავეთისა და ლატვიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში შეინიშნება ინტერნატული ტიპის სახელმწიფო დაწესებულებებში გასაგზავნი ობოლი და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების რაოდენობის შემცირების ტენდენცია. წლიდან წლამდე იზრდება ოჯახებზე აღსაზრდელად გადაცემულ ბავშვთა რაოდენობა.

რესპუბლიკებში ოჯახებს აღსაზრდელად მეურვეობის (მზრუნველობის) ქვეშ და შვილად აყვანისათვის გადაეცემათ გამოვლენილ ბავშვთა 80%-მდე (სსრ კავშირში — 72%).

ლატვიის სსრ-ში ბავშვთა მოწყობის ძირითადი ფორმაა მათი შვილად აყვანა. ჩვილ ბავშვთა სახლებისა და საბავშვო სახლების ადმინისტრაცია დროულად ატყობინებს სახალხო განათლების რაიონულ განყოფილებებს იმ ბავშვთა შესახებ, რომლებიც სამედიცინო და იურიდიული ჩვენებებით შეიძლება შვილად იქნენ აყვანილნი. უკანასკნელ ხანებში რესპუბლიკაში პრაქტიკაში შემოვიდა აგრეთვე ოჯახებზე შენელებული ფსიქიკური განვითარების მქონე ბავშვთა გადაცემა, ასე მაგალითად, უშუალოდ რაიონის სახელობის საბავშვო სახლიდან 1987—1988 წლებში ოჯახებზე გადაცემულ იქნა 13 ასეთი ბავშვი. აღსანიშნავია, რომ ასეთი ბავშვების შემდგომი აღზრდისაგან უარის თქმას ან მათ კვლავ საბავშვო დაწესებულებებში დაბრუნებას ადგილი არ ჰქონია.

მოლდავეთის სსრ-ში გამოვლენილ ბავშვთა მოწყობის უფრო მეტად გავრცელებულ ფორმას მეურვეობის (მზრუნველობის) ქვეშ აღსაზრდელად მათი გადაცემა წარმოადგენს.

„ოჯახური ტიპის საბავშვო სახლების შექმნის შესახებ“ მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 30 სექტემბრის № 301 დადგენილების გამოსვლასთან დაკავშირებით, რომლითაც სახალხო დებუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს უფ-



ლება მიენიჭათ გადაუხადონ ფული ოჯახებს, რომლებმაც ტერიტორია და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების აღზრდა იკისრეს, თითოეულზე 100 მანეთის ოდენობით სახალხო განათლებაზე გამოყოფილ ასიგნებათა ხარჯზე, მეურვეობის (მზრუნველობის) ქვეშ გადაცემულ ბავშვთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა (1987 წელს — 2991 კაცი, 1988 წელს — 5055 კაცი), რამაც სახალხო განათლების ორგანოებისგან ასეთი ოჯახების მიმართ ტაქტიკური თვალყურის დევნებისა და მათთვის აუცილებელი დახმარების გაწევის გაძლიერება მოითხოვა. მოლდავეთის სსრ-ის რაიონის ბავშვობის დაცვის ინსპექტორები იყენებენ მეურვეთა ოჯახებში ობოლი და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების ცხოვრებისა და აღზრდის პირობების გაკონტროლების არატრადიციულ ფორმებს.

ასე მაგალითად, იალოვენსკის რაიონის ბავშვობის დაცვის ინსპექტორი ამხ. გ. ზინარი საზოგადოებრივ ინსპექტორებთან ერთად არდადეგების პერიოდში სკოლების სპეცსახსრების ხარჯზე აწყობს მეურვეობის (მზრუნველობის) ქვეშ მყოფი უფროსკლასელი ბავშვების კოლექტიურ ტურისტულ მგზავრობებს, რაც მოზარდის პიროვნების, მეურვესთან (მზრუნველთან) მისი ურთიერთობის გამოყვანილებისა და ოჯახში ფსიქოლოგიური კლიმატის შესწავლის საშუალებას იძლევა.

მნიშვნელოვანი როლი ამ მუშაობაში საზოგადოებრიობას ეკუთვნის. ასე მაგალითად, ბენდერის საქალაქო საბჭოს აღმასკომებთან მოქმედებს მეურვეთა საბჭო 27 კაცის შემადგენლობით, რომელშიც შედიან სახალხო განათლების სამმართველოს უფროსი (თავმჯდომარე), ქალთა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე, სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელები, ოჯახისა და სკოლისათვის დახმარების გაწევის საბჭოების თავმჯდომარეები და სხვა.

მზრუნველთა საბჭო კოორდინაციას უწევს და წარმართავს ქალაქის ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობას, ყოველთვიურად განიხილავს არასრულწლოვანთა პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვის, ბავშვთა აღსაზრდელად ოჯახებისთვის დახმარების გაწევის საკითხებს, ხოლო ყოველკვარტალურად „ზრუნვის“, „ოჯახის“, „იურისტის“ რეიდების შედეგებს. არსებული „გულმოწყალების“ ფონდები მზრუნველთა საბჭოს გადაწყვეტილებით გამოიყენება იმ ოჯახებისთვის დახმარების გასაწევად, რომლებმაც ობოლი და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების აღზრდა იკისრეს, აგრეთვე მრავალშვილიანი და ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახებისა და მარტოხელა დედებისათვის



დახმარების გასაწევად, მეურვეობისა (მზრუნველების) და ბავშვთა მოვლის დაცვის საზოგადოებრივი ინსპექტორების წასახალისებლად.

რესპუბლიკებში დიდია საბავშვო ინტერნატულ დაწესებულებათა ქსელი. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკებში ბავშვთა მოწყალობის სხვადასხვა ფორმაა, მათ ერთი მიზანი აქვთ — ბავშვის პიროვნების ნორმალური აღზრდისა და განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა და აღრეული სკოლამდელი ასაკიდან მოქალაქეობრივ სიმწიფემდე მისი ერთი სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებაში მოთავსება.

მოლდავეთის სსრ-ში პრიორიტეტული განვითარება ჰპოვა ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ინტერნატული დაწესებულებების ქსელმა სკოლამდელი განყოფილებებით.

სულ რესპუბლიკაში 6 სკოლა-ინტერნატია და 7 სკოლამდელი საბავშვო სახლია, რაც ბავშვთა დროული მოწყობისა და აღზარდელთა დიდერეცირების პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა მათი გონებრივი და ფიზიკური განვითარების დონის, მიდრეკილებებისა და თავისებურებების გათვალისწინებით.

ლატვიის სსრ-ში ბოლო დროს შეიმჩნევა მცირე კონტინგენტიანი (60 კაცი) საბავშვო სახლების შექმნისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების საბავშვო სახლებად გადაკეთების ტენდენცია, რომლებშიც ყველა აუცილებელი პირობა და ფსიქოლოგიური ატმოსფეროა შექმნილი გარკვეულ წილად ოჯახური მიკროკლიმატის უზრუნველსაყოფად.

ამჟამად სახალხო განათლების ორგანოებმა რესპუბლიკებში გააძლიერეს ყურადღება ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური ადაპტაციის პრობლემებისადმი. მოლდავეთის სსრ-ში სახალხო განათლების რაიონული და საქალაქო განყოფილებების ბავშვობის დაცვის ინსპექტორები აკონტროლებენ მოქმედი კანონმდებლობის შესრულებას მათ ტერიტორიაზე განლაგებულ დაწესებულებებში ამ კატეგორიის არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.

ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა რიცხვიდან შექმნილია ყველა ტიპის სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულების კურსდამთავრებულთა აღრიცხვის ერთიანი ფორმა, რომელშიც აისახება მათი შრომითი მოწყობა, პროფესიული ზრდა და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფა.

მოწონებას იმსახურებს მოლდავეთის სახალხო განათლების  
მინისტროსა და ვ. ი. ლენინის სახელობის საბჭოთა ბავშვთა ფონ-  
დების რესპუბლიკური განყოფილების ერთობლივი მუშაობა სა-  
შუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გა-  
მოცდებისათვის ამ კატეგორიის კურსდამთავრებულთა მოსამზადე-  
ბლად, რომლებიც როგორც სახელმწიფო დაწესებულებებში იზრ-  
დებიან, ასევე მეურვეობის (მზრუნველობის) ქვეშ იმყოფებიან.

რესპუბლიკებში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა არასრულ-  
წლოვანთა ქონებრივი უფლებების დაცვას.

არასრულწლოვანის ფულადი სახსრების გამოყენების, ქონების  
გახვისებისა და გაყოფის, საცხოვრებელი ფართობის გაცვლისა-  
თვის ნებართვების გაცემის დროს სახალხო განათლების რაიონუ-  
ლი და საქალაქო განყოფილებებისა და სახალხო დემუტატების  
ადგილობრივი საბჭოების კომპეტენციის განსაზღვრა ხდება მეურ-  
ვეობისა და მზრუნველობის ორგანოების შესახებ რესპუბლიკური  
დებულებების ზუსტი შესაბამისობით. მოლდავეთის სსრ სახალხო  
განათლების სამინისტრომ ბავშვობის დაცვის ინსპექტორთა დასაზ-  
მარებლად შეიმუშავა არასრულწლოვანთა ქონებრივი უფლებების  
დაცვის საინსტრუქციო-მეთოდური რეკომენდაციები.

მუშაობის გამოცდილების შესწავლამ ცხადყო მოლდავეთისა  
და ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახალხო  
განათლების ორგანოების მიზანმიმართული საქმიანობა, რომელსაც  
ისინი ეწევიან ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ  
ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესების, მათი უფლებებისა და ინ-  
ტერესების დაცვისათვის.

ჩვენს ქვეყანაში არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის მი-  
მართულებით მუშაობის სრულყოფის მიზნით იქმნება იმის დაეი-  
ნებული აუცილებლობა, რომ: ადგილებზე შეიქმნას ერთიანი სა-  
ხელმწიფო ორგანო, რომელიც განაზორციელებს ამ არასრულ-  
წლოვანთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას, რომლებსაც  
სახელმწიფოსა და საზოგადოების დახმარება ესაჭიროებათ; შეტა-  
ნულ იქნეს ცვლილებები და დამატებები მოქმედ კანონმდებლობა-  
ში; შეიცვალოს შეილად აყვანისა და მშობლებისათვის მშობელთა  
უფლებების ჩამორთმევის საკითხებზე მოქმედი საინსტრუქციო-  
მეთოდოლოგიური რეკომენდაციები; მიღებულ იქნეს წინადადებები იმ  
ბავშვთათვის შეღავათებისა და უპირატესობების მინიჭების შესა-  
ხებ, რომლებიც მეურვეობის (მზრუნველობის) ქვეშ იმყოფებიან;  
მიღებულ იქნეს წინადადებები ობოლ და მშობელთა მზრუნველო-



ზას მოკლებულ ბავშვთათვის საცხოვრებელი ფართობის მიცემის  
წესის შესახებ, არასრულწლოვანთა სოციალურ-სამართლებრივი  
დაცვის მუშაკთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სის-  
ტემის შესახებ; ბავშვობის დაცვისა და ოჯახისათვის სოციალური  
დახმარების პრობლემის სამეცნიერო-მეთოდური უზრუნველყოფის  
შესახებ.

საქართველოს სსრ სხვალხო განათლების სამინისტროს  
1989 წლის 29 დეკემბრის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 768

